მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 22 დეკემბერი, 2017წ. №3-4 (21-22)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი



„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა:

ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავისა, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი – სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას, პიპა.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ეღალატნათ, იქაც ვძლევდი ბასილი კეისარს, იცოდე.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მსტოვარებს."

კონსტანტინე გამსახურდია.

უძღები შვილი

ვით უძღები შვილი სოფლად,
ვერ წაუველ ვერსადაო,

თვალთა შენთა მშანთავ
ნათელს, მეუფეო ზეცათაო!

ქვესკნელს დამნთქა სულთა
მტერმა, სად შენა და მე
სადაო,

მომიძიე კრავი შენი, მეუფეო
ზეცათაო!

გულისთქმათა განმგებელო,
მსურს, ამლაგმო, მესადავო,

სულთა მწეო,
ყოვლისმძლეო, მეუფეო
ზეცათაო!

სინანულის ცრემლთა რუებს
აწ კი უნდა ესათაო,

მოხვედ ჩვენად სინანულად,
მეუფეო ზეცათაო!

22 დეკემბერი

1991 წლის 22 დეკემბრის ღამე ხომ ისედაც ყველაზე ხანგრძლივი ღამეა . . .

სწორედ აქედან დაიწყო დიდი ღამე საქართველოს ისტორიაში . . .

ქართულ კალენდარზე, აგერ უკვე 26 წელია, თარიღი არ შეცვლილა . . .

ეს დღე უგამორჩეულესად შავი თარიღია საქართველოს ისტორიაში . . .

სამწუხაროდ, კვლავ ნერვიულად ადგილზე ტოკავს ენერგიაგამოცლილი საქართველოს ჟამიერი, გაჩერებული საათის წამების ისარი . . .

იმ ერთ ღამეს, მართლაც, უამრავი ადამიანი გახდა გმირი . . .

გმირი გახდა ყველა, რომლებსაც არ შეეშინდათ და არ დათმეს ლეგიტიმურობა . . .

სამუდამო გმირი გახდა მთავრობის სასახლის დამცველი ის ასობით თავმდაბალი მებრძოლი, რომელთა სახელი დღეს ნაკლებად ახსოვთ . . .

გმირი გახდა ის ათასობით უიარაღო, მაგრამ უსაზღვრო რწმენით აღჭურვილი ჩვეულებრივი, დღეს უსახელო ადამიანი, რომლებმაც ის ღამე მთავრობის სასახლის ეზოში, მისადგომებთან, დერეფნებში და ოთახებში თეთრად გაათიეს და თავისი იქ ყოფნით, თანადგომით ამხნევებდნენ მებრძოლებს . . .

ისინი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეთაურობით იცავდნენ მართალ, კაცურ, ამაყ საქართველოს თვითონ კაცები და ამიტომაც, მუდამ გამარჯვებულები იქნებიან, იმის მიუხედავად, რომ ვერც სიცოცხლეში და ვერც მერე ვერ ეღირსებიან იმ დაფასებას, რომელიც მათ ერგებათ . . . და, დარწმუნებულები ვართ, ამას არც ელოდებოდნენ, არც ელოდებიან და არც სჭირდებათ . . . ესაა სწორედ მათი თავგანწირვისა და გმირობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი!

იმ ღამეს გმირი გახდა მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც არ თქვა უარი საკუთარ არჩევანზე, გმირი გახდა ქართველობა ზოგადად, რომელიც ტყვიითა და სიკვდილით ვერ შეაშინეს და ვერ დააჩოქეს!

ეს საქართველოს უდიდესი გამარჯვება იყო.

ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა...

კიდევ ერთხელ თავგანწირვითა და უკანმოუხედავად შეებრძოლა ბოროტს . . .

კიდევ ერთხელ არ დათმო სიმართლე, სამართალი, კაცობა, არ აიტანა სულში ჩაფურთხება . . .

იმ ღამეს დათესილი რწმენა და სისხლი, საქართველოს სულსა და გულში იმ ღამეს ჩანერგილი გმირობა და თავგანწირვა ბოროტი ცეცხლითა და მახვილით, მასობრივი სასტიკი რეპრესიებითა და წამებით, ცილისწამებისა და სიცრუის ვულკანით დღემდე ვერ ამოშანთა არაკაცური ძალაუფლების ოცდაექვსმა წელიწადმა და ვერც ვერასოდეს არაკაცური მიჩუმათება და ჩამოხურდავება ამოშანთავს! . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და ეკონომიკის აღმავლობას!

1991 წლის 22 დეკემბერი, ჩვენი ტრაგიკული ისტორიის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია . . . თუმცა ეს ისტორია როდია მხოლოდ – ეს დღევანდელობაა, რადგანაც პროცესი, მტკივნეული და საშინელი, დღესაც გრძელდება . . .

მიუხედავად ზღვა მასალისა, აუცილებელია, ღრმად-უღრმესად გავაანალიზოთ, ჩვენი ტრაგედიის ყველა ეტაპი – სოციოლოგებმაც, პოლიტოლოგებმაც, პუბლიცისტებმაც, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმაც, ერთი სიტყვით მთელმა საზოგადოებამ კომპლექსურად. აქცენტი უნდა დავსვათ იმ საშინელი მუტაციის მიზეზებზე, რომლებმაც ქვეყანა „გამესამესამყაროების" სინდრომის მოქმედების ქვეშ დააყენა, შედეგად კი, „ბანანის რესპუბლიკისა" და „მსოფლიოს გადამრჩენელის" სიმბიოზად გადააქცია.

. . . სამშობლოს მოღალატეებთან ერთად, ცრუ დემოკრატიის თამაშით ცრუ დემოკრატიის შირმაში შეხვეულები, მაშინაც და დღესაც, ყოველგვარი მორიდების გარეშე იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენ უნდა დავასრულოთ 22 დეკემბრის დიდი ღამე . . .

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა გავათენოთ 23 დეკემბრის დილა.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ თარიღთა კანონზომიერი ცვლა ქართულ ჟამთსაბრუნავში . . .

ჩვენ უნდა ავაღორძინოთ 9 აპრილის სული. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საწყევრად არ დავუტოვოთ სახელი შთამომავლობას.

„ეროვნება არა აქვს ცხოველს“

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან

(„ნაროდნაია პრავდა“ №41, 3 ოქტომბერი, 1992 წელი, სანკტ-პეტერბურგი)

როცა სადღაც აფრიკაში ამხობენ მორიგ დიქტატორს, დაახლოებით ბოკასას ტიპისას, კაციჭამიაობაში მხილებულს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მთავრობები ამას განიხილავენ, როგორც „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლების უხეშ დარღვევას“ და დიქტატორის საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს გზავნიან. მაგრამ როცა საქართველოში იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამოვლინება.

იმის გასარკვევად, თუ რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების ბედისადმი, მივმართეთ თავად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას.

- მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გალენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი, თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

- ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

- კაცობრიობის მტრებს - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

- რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

- ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე. შევარდნაძის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში-მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე. წ. „ახალი მსოფლიო წესრიგი". ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი.

ამ ზრახვათა განცხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი.

დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

ასეთია არსი ახალი მსოფლიო წესრიგისა და დასავლეთის პოლიტიკის, რომელიც მიმართულია მსოფლიოს ყველა ხალხის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახლემწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?

- პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის, როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს აბსურდამდე;

მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

- რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

- სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

- რა ძალები აღუდგნენ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

- საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდებისა. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება. ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

- რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

- ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. სწორედ ამ გეგმის ხორცშესხმისათვის - კავკასიის მეორე ლიბანად გადაქცევისათვის არის გამოგზავნილი შევარდნაძე. მან, მაგალითად, ამასწინათ პირდაპირ მოუწოდა ნატოს ჩაერთოს კავკასიის საქმეში. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

– როგორ აფასებთ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას და მის პოლიტიკას კავკასიაში?

– ხელისუფლება, რომელიც ღალატობს საკუთარ ხალხს, ვერ იქნება სხვა ხალხთა მოყვარე. . . . რუსეთის პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს არა მხოლოდ კავკასიის ხალხებს, არამედ თავად რუსეთის სამომავლო ინტერესებსაც. ასე მაგალითად, ელცინის ხელისუფლება არ სცნობს ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამით ამწვავებს ანტირუსულ განწყობილებას რეგიონში.

ამ დროს კი, საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, და პირველისადმი აშკარად არაკეთილგანწყობის საპირისპიროდ გარკვეულ მისწრაფებას განიცდიან რუსეთისადმი, როგორც მფარველისადმი დასავლური ექსპანსიისაგან.

– ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

- ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავსმოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულსაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე.

მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

3 октябрь 1992 г. Народная правда

Новая кавказская война — не за горами?

ЗВИАД ГАМСАХУРДИА:

«У ЖИВОТНЫХ НЕТ НАЦИОНАЛЬНОСТИ...»

ДЖОХАР ДУДАЕВ:

«Зарево над Кавказом — результат политики российского руководства. Оно — заложник Запада»

ზვიად გამსახურდია – „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები"

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი წინაპრები თვით უკიდურესი პოლიტიკური ვნებათაღელვის დროსაც არ ივიწყებდნენ მეცნიერებას, პოეზიას, შემეცნებას. თვით ომის დროსაც კი ისინი ზრუნავდნენ სულიერი კულტურის განვითარებაზე. ასეთი იყო საქართველოს ისტორია. ჩვენ რომ დღეს თავი იმით გავიმართლოთ, პოლიტიკურ ბრძოლაში ვართ ჩაბმულნი და მეცნიერებისა და კულტურისათვის არა გვცალიაო, ამით ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს ვუღალატებთ, ჭეშმარიტად.

ყოველივე ეს მსურს დავასაბუთო იმ პიროვნების მაგალითით, რომელსაც მინდა მივუძღვნა დღევანდელი ლექცია, რომლის სახელმწიფოებრივი, ეროვნული ღვაწლი საქართველოში განუზომელია და რაც უმთავრესია, რომელიც იყო მაგალითი ყოველივე ამისა: რომლის სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი და რომლის მიერ არის დაარსებული უდიდესი სულიერი ცენტრი – გელათი. ეს პიროვნება უნდა იყოს მაგალითი ჩვენთვის დღესაც იმით, რომ საქართველოს მტერთან ომს, საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ათავსებდა უდიდეს რელიგიურ, ფილოსოფიურ, მეცნიერულ მოღვაწეობასთან და ეს ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია. სხვა ასეთი მაგალითი ჩვენს ისტორიაში არ მოგვეპოვება, რომ მეფე, მხედართმთავარი ამავე დროს ყოფილიყო ესოდენ დიდი მეცნიერი, ესოდენ დიდი სწავლული, პოეტი და სულიერი კულტურის შემქმნელი.

გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტერი (XII ს.)



და ჩვენი იდეალი, დღესაც, ამგვარი საქმიანობა, ამგვარი მოღვაწეობა უნდა იყოს. ჩვენი დიდი მეფეებიც ხომ ამ ტრადიციას მისდევდნენ არა მხოლოდ იმ დროს, როდესაც საქართველო ბედნიერი და თავისუფალი, ძლიერი სახელმწიფო იყო, არამედ თვით მისი ისტორიის შავბნელ ხანაშიც კი.

მაგალითად, მეფე-პოეტი ვახტანგ **VI**, რომელიც იყო მეცნიერი, „ვეფხისტყაოსნის" კომენტარების ავტორი, მისი გამომცემელი. ე.ი. თვით უკიდურესი ისტორიული ძნელბედობის დროსაც კი არ ცივდებოდა მეცნიერული და სულიერი კულტურის კერა საქართველოში და დღეს, როდესაც

საქართველო მოიცვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, პოლიტიკურმა მოძრაობამ, არც დღეს უნდა დავივიწყოთ ეს, მეგობრებო. თუ დავით აღმაშენებელი, ომის დროს ცხენზე მჯდომი თან დაატარებდა გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის წიგნებს, ფილოსოფოსთა ნაშრომებს და საფარში მჯდომი, შეჭურვილი, მტრისთვის მოდარაჯე კითხულობდა და ამუშავებდა ამ წიგნებს, ცალ ხელში მშვილდ-ისარი ეჭირა, მეორეში – კალამი.

იყო ერთი შეთხვევა ასეთ დროს, როდესაც მტერი კინაღამ საფარში შეეჭრა და მეფემ იქვე განგმირა ერთ-ერთი მათგანი. ასეთი სიტუაციაა დაახლოებით დღეს. ჩვენ გვიხდება ომი მრავალ ფრონტზე, გვიხდება ომი საქართველოს თავისუფლებისათვის, მისი სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის და ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რელიგია, კულტურა, ფილოსოფია, მეცნიერება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გავიმარჯვებთ და შევინარჩუნებთ ერის სახეს, ერის იმგვარ სახეს, რომელიც მას ჰქონდა ისტორიულად, რომელიც ჰქონდა პრეისტორიულ ხანიდან მოყოლებული. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კოლხეთი იყო უძველესი კულტურის კერა, უძველესი სიბრძნის კერა. ელინური კულტურა, შეიძლება ითქვას, ზედნაშენია კოლხური კულტურისა, ელინური კულტურა აღმოცენდა კოლხური კულტურიდან. ეს შესანიშნავად ჩანს არგონავტების მითში.

ოქროს საწმისი

რა არის ოქროს საწმისი? ოქროს საწმისი არის სიმბოლო ძველი სიბრძნისა, მისტერიალური სიბრძნისა, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში. ოქრო სიმბოლოა უმაღლესი სულიერებისა, უმაღლესი სიწმინდისა, ხოლო ვერცი სიმბოლოა აგრეთვე უზენაესი სიწმინდისა, აზრის სიწმინდისა, აზროვნების კულტურისა და ოქროს საწმისი არის იმ ქვეყანაში, რომელიც ფლობს ამ სიბრძნეს. იგი ჰკიდია მუხაზე და ეს მუხა არის უძველესი კულტის გამოხატულება, რომელიც დაიწყო კოლხეთიდან და შემდეგ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მათ შორის საბერძნეთშიც.

მუხის კულტი, მოგეხსენებათ, ევროპაშიც გვხვდება, შემდეგ საბერძნეთშიც, მაგრამ უპირველესი და უმთავრესია ის უძველესი კოლხური მუხა, რომელზედაც იყო დაკიდებული ოქროს საწმისი და რომლის მოსაპოვებლად საბერძნეთის უდიდეს გმირს იაზონს უნდა გაევლო მრავალი ეტაპი თვითგანვითარებისა, განწმენდისა, რათა შემდგომ ზიარებოდა ამ სიბრძნეს. აი, სიმბოლურად ეს არის მოთხრობილი ამ მითში. და უძველესი დროის ბრძენნი, ბრძენკაცნი თავის სარქმელს სიმბოლურად გამოხატავდნენ. სინი პირდაპირ არასოდეს გვთავაზობდნენ ამ სიბრძნეს, ისინი ამას გვაძლევდნენ სიმბოლურად. აი, რისი სიმბოლოებია ეს დიდი მუხა, ეს ოქროს საწმისი და ის გამოცდები, რომელიც გაიარა საბერძნეთის უდიდესმა გმირმა იაზონმა, რათა ზიარებოდა ოქროს საწმისს.

რა დახვდა მას კოლხეთში? მას კოლხეთში დახვდა სამყარო ანტიური სიბრძნისა, უძველესი პრეისტორიული სიბრძნისა, შეიძლება ვთქვათ, კაცობრიობის ყველაზე უფრო ძველი სიბრძნისა. იმჟამად საბერძნეთში ეს ყოველივე დაკარგული იყო. საბერძნეთი იმჟამად გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, კულტურისა და განვითარების გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე, ვიდრე კოლხეთი. მაგრამ ის ფაქტი, რომ იაზონი შეიყვანეს კოლხურ მისტერიაში, მას ჩაუტარეს გარკვეული გამოცდები იქ, მას დახვდნენ მებრძოლნი, მას დახვდა დრაკონი, მას დახვდა ცეცხლისმფრქვეველი ხარები – ყოველივე ეს მოწმობს იმაზე, რომ კოლხებმა, უძველესმა კოლხებმა აღზარდეს საბერძნეთი, აღზარდეს ელინური კულტურა და არა მარტო კოლხებმა, არამედ ქართველური მოდგმის სხვა ხალხებმა, ვინაიდან ქართველური მოდგმა იმ უძველეს ხანაში ლოკალიზებული იყო არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ გადაჭიმული იყო პირინეებიდან ინდოეთამდე და უძველესი ქართველური მოდგმა, ეს უძველესი იბერიული მოდგმა წარმოდგენილია სხვადასხვა კულტურების სახით, სხვადასხვა ხალხების სახით, რომლებიც არიან ამ ერთი ძირითადი იბერიული რასსის განშტოება. ეს იყო პირინეების ისტორიული სამყარო, ეს იყო ხმელთაშუა ზღვის სამყარო, მინოსის კულტურა, ეს იყო ტროას სამყარო, ეს იყო პელაზგების სამყარო, რომლებიც იყვნენ პირველადი მოსახლეობა დღევანდელი საბერძნეთისა, ელადისა და რომლებიც დახვდნენ იქ ელადაში მისულ ვედურ ბერძნებს და რომელთაც უფრო უმაღლესი კუოტურა ჰქონდათ, ვიდრე ბერძნებს და ყოველივე ეს გამოხატულია პრომეთეს მითში; პრომეთე არის სწორედ სიმბოლო იმ უძველესი სიბრძნისა, იმ უძველესი ქართველური ტომების – პელაზგების სიბრძნისა, რომელიც კოლხეთთან ერთად ქმნიდა ერთიან სამყაროს. ვერავინ იფიქრებს, რომ კოლხეთი და კავკასია იყო ერთადერთი კერა ამ კულტურებისა და, საერთოდ, ქართველური ტომებისა. ქართველური ტომები, ვიმეორებ, გაბნეულნი იყვნენ პირინეებიდან ხმელთაშუა ზღვის სამყაროში, ეგეოსურ სამყაროში, მცირე აზიაში, სადაც მოგვიანებით იყო კაპადოკიური და მესხური, ანუ მოსხური ტომები, რომლებიც იხსენიება ბიბლიაში. კავკასიის უძველესი ბრძენნი, უძველესი მისტერიების ქურუმნი იყვნენ ალქიმიკოსები, რომლებიც ამ მისტერიული სიბძნიდან იყვნენ წამოსულნი და ამ მისტერიული სიბრძნის პრაქტიკა გამოიტანეს შუა საუკუნეებში. ალქიმია იყო არა მარტო ფიზიკური ოქროს მოპოვება, არამედ იყო სულიერი ოქროს მოპოვება, ეს იყო იგივე, რაც ოქროს საწმისის მოპოვება. ალქიმიას ჰქონდა იდეალი ოქროს ქვისა. ეს ფილოსოფიური ქვა იგივეა რაც ოქროს საწმისი, რომელსაც მიელტვოდნენ იმ წარმართულ ეპოქაში საბერძნეთის ბრძენნი და შუასაუკუნეთა ალქიმიკოსები, ჰერმეტული ალქიმიკოსები (ამას ერქვა ჰერმეტული გზა, ვინაიდან ჰერმესის სიბრძნიდან მომდინარეობდა).

კავკასიას უწოდებდნენ ფილოსოფოსთა მთას, სადაც, მათი სიმბოლური გამოთქმით, იყო ზეციური რწმენის მადანი, ანუ ოქროს საწმისი. ე. ი. შუა საუკუნეებში კავკასია ითვლებოდა ზეციური სიბრძნის ქვეყნად, ვინაიდან იქ იყო ზეციური რწმენის მადანი. მადანი, რა თქმა უნდა, სიმბოლურად ნიშნავდა ამ სიბრძნეს და ამ სიბრძნეში იგულისხმებოდა ძველი კოლხური მისტერიების სიბრძნე, ოქროს საწმისის სიბრძნე. და ტროაშიც იმიტომ ილაშქრეს ბერძნებმა, მეგობრებო, ტროა იგივეა, რაც კოლხური სამყარო, იქაც იმიტომ ილაშქრეს, ბერძნებმა, ის სიბრძნე წამოეღოთ, ის სიბრძნე აეთვისებინათ, რომელიც ბერძნებს არ ჰქონდათ და ეს სიბრძნე გამოხატულია სიმბოლურად პალადიუმის სახით, ანუ ათენას ქანდაკების სახით, რომელიც იყო მხოლოდ და მხოლოდ ტროაში და არ იყო საბერძნეთში. აი, ასე არის ანტიურ მითოსში, ანტიურ პოემებში საქართველო, ქართული სამყარო, ძველკოლხური სამყარო. თქვენ იცით, ოდისევსის მოგზაურობაში როგორ მოხვდება ოდისევსი კირკესთან, აეტესის დასთან და ლატინოსი, ანუ ლათინთა წინაპარი, რომაელთა წინაპარი არის კირკესა და ოდისევსის შვილი. სიმბოლურად მიუთითებს იმაზე, რომ ლათინებიც, რომაელებიც წარმოშობია ნახევრად ქართველური მოდგმისანი არიან, ვინაიდან კოლხი კირკე, მედეას მამიდა, აეტესის დაი არის მშობელი ლატინოსისა, ანუ ლათინთა წინაპრისა.

ასევე ჩავიდა ათენელი თეზეოსი კრეტაზე, მინოსის სამეფოში, სადაც მან დაამარცხა ურჩხული მინოტავრი. რომელიც იქ მკვიდრობდა ლაბირინთოსში. და იგი გამოვიდა ლაბირინთოსიდან იმ ძაფით, რომელიც მას არიადნემ მისცა. ეს მინოსი, როგორც ცნობილია, არის აეტესის სიძე, აეტესის დაი პასიფეა იყო ცოლი ამ მინოსისა – ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს დაახლოებით ერთი და იგივე პერიოდია და ერთი და იგივე მონათესავე ხალხებია. მინოსის კულტურა არის უძველესი, ძვ. წ. ა. **III** ათასწლეულის კულტურა და კოლხეთის კულტურაც არის ასეთივე ძველი კულტურა. და როდესაც განსაზღვრავენ, თითქოს ქუთაისი არის დაახლოებით სამიათასი წლისა (ზოგიერთი **2500** ასახელებს), ეს არის აშკარა ბავშვური შეცდომა. ქუთაისის ასაკის განსაზღვრა შეუძლებელია.

ქუთაისი არის გაცილებით უფრო ძველი ქალაქი, გაცილებით უფრო ძველი ცენტრი და ჩვენი მოსაზრებებით ძვ. წ. ა. ათასწლეულობით განისაზღვრება მისი ასაკი, თუმც ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ ამ ასაკს. აქ უკვე ლაპარაკი არის არა **4000-5000** წელზე, არამედ გაცილებით უფრო მეტ ხანზე და პირველი სახელი ქუთაისისა, თქვენ კარგად იცით, ეს არის აია. აია არის მისტერიების კულტურის სიმბოლო, ეს ბგერები გამოხატავენ ძველ მისტერიებს. ძველ მისტერიებში იყო ბგერათა შეხამება და აი ეს შეხამება გამოხატავდა გარკვეულ სიბრძნეს, გარკვეულ ხასიათს მისტერიებისას და ამიტომ ერქვა აია. ეს იყო უძველესი კერა მისტერიებისა, ანუ სიბრძნის ცენტრებისა.

კოლხეთი, მისი დედაქალაქი და მისი წარმოშობა უნდა ვეძიოთ ჩვ. წ. ა. მრავალი ათასწლეულით ადრე, ხოლო ის ხანა, როდესაც შეიქმნა ოქროს საწმისის მითი, არის ხანა, შეიძლება ითქვას, უკვე გვიანდელი, ძალზე გვიანდელი, როდესაც კნინდება ის სიბრძნე, ის კულტურა აღარ იყო იმ უძველეს დონეზე, მაგრამ, რასაკვირველია, გაცილებით მაღლა იდგა მის თანამედროვე ბერძნულ კულტურაზე. ე. ი. უკვე მწუხრი იყო დამდგარი, უკვე დეკადანსის გზაზე იდგა ეს კოლხური მისტერიები და ეს ქალაქი აია, როდესაც მასში მოვიდა იაზონი. კვიტ-აია – ეს ორი ფუძე ერთმანეთს შეერწყა.

ასე რომ, უძველესი კოლხური დედაქალაქი, როგორც ჩანს, იყო აქ. მოგეხსენებათ, რომ მეცნიერებაში არის დიდი დავა იმის შესახებ, სად მდებარეობდა ფაზისი. ფაზისის ლოკალიზაცია შეუძლებელია დღესდღეობით იმიტომ, რომ ზღვამ იცვალა თავისი ადგილმდებარეობა. მაგრამ არქეოლოგიური გათხრები გვაძლევენ იმის საშუალებას, განვსაზღვროთ, რომ ეს იყო დაახლოებით ის ზონა, რომელიც იწყება ვანიდან. დაახლოებით ნოქალაქევის, ვანის და ქუთაისის მიდამოები. ეს არე იყო სწორედ ამ უძველესი კოლხური კულტურის ცენტრი და როგორც ჩანს ფაზისი იწყებოდა სწორედ იქიდან და არა იმ ზოლიდან, სადაც დღეს არის ზღვის ნაპირი. ეს გვიანდელი ფაზისი სხვა არის, მეგობრებო, და უძველესი, პრეისტორიული ფაზისი კიდევ სხვა. ზღვა იცვლიდა თავის ადგილმდებარეობას. **I** და **II** საუკუნეების ავტორები გვესაუბრებიან იმ ფაზისზე, რომელიც, რასაკვირველია, ფოთის მიდამოებში იყო. პალიასტომის ფსკერზეც აღმოჩენილია ძველი ნაქალაქარი, მაგრამ უძველესი ფაზისი იყო დაახლოებით რკინიგზის მარჯვენა მხარეს. რკინიგზის მარცხენა მხარეს, როგორც ჩანს, იყო უფრო ზღვა, ხოლო მარჯვენა მხარეს იწყებოდა ხმელეთი. სწორედ ამ მიდამოებში იწყებოდა ფაზისი, კოლხური დასახლებები და უძველესი კულტურის ცენტრები. ასეთი ვითარება იყო პრეისტორიულ ხანაში.

შემდეგ, როგორც მოგახსენთ, ეს ტრადიცია შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა. ანტიურ სამყაროში ცნობილი იყო, რომ კოლხეთი არის ოქროს საწმისის ქვეყანა, უძველესი მისტერიების ქვეყანა, აიეტ მეფის ქვეყანა, მედეას ქვეყანა, რომელიც არის შემქმნელი პირველადი მისტერიალური მეცნიერებისა, რომელიც საფუძვლად დაედო მედიცინას და ამის გამო თვით მედიცინის სახელი მედეასთან არის დაკავშირებული, გამომდინარე მედეას სახელიდან, იმიტომ რომ ის იყო პირველი ფუძემდებელი ამ მეცნიერებისა. რასაკვირველია, იმჟამად მედიცინა ბალახებით მკურნალობის დონეზე იყო და უმაღლესი დონე სწორედ აქ, კოლხეთში იყო. აქ დახვდათ არგონავტებს ის ბალახი – პრომეთეს სისხლი, რომლითაც მედეა კურნავდა; ის ჰეკატეს ბაღი, რომელიც იყო უძველესი სამკურნალო მცენარეების სამკურნალო ბაღი, სადაც მედეამ შეიყვანა არგონავტები და სადაც ისინი აზიარა იმ ცოდნას, იმ სიბრძნეს, იმ სამკურნალო სიბრძნეს, რომელიც კოლხეთში არსებობდა. და ეს უძველესი სამკურნალო სიბრძნე სწორედ აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში, ისევე როგორც მეტალურგიის კულტურა გავრცელდა კოლხეთიდან და ქართველური ტომებიდან, მცირე აზიის ქართველური ტომებიდან, ტუბალებიდან და შუა საუკუნეებში გადმოვიდა ეს ტრადიცია.

ასე რომ, თუ ადრეულ სამყაროში იცოდნენ, რომ პირველადი მისტერიალური სიბრძნის სამშობლო იყო კოლხეთი, შუა საუკუნეებშიაც კავკასიას, როგორც მოგახსენეთ, უწოდებდნენ ფილოსოფოსთა მთას, სადაც იყო ზეციური რწმენის მადანი და ფილოსოფიური ქვის სამშობლო, ანუ მონს ფილოსოფორუმ. და ამ ფილოსოფიურ ქვას მეორენაირად ევროპაში, ევროპის ქრისტიანულ მიმდინარეობაში ეწოდებოდა გრაალი. გრაალი სემანტიურად არის იგივე, რაც ფილოსოფიური ქვა. ეს არის წმინდა თასი, რომელიც ედგა მაცხოვარს უკანასკნელი საიდუმლო სერობის დროს და რომელშიც ესხა ღვინო, რომელშიც იყო პური და როდესაც მან მიმართა მოწაფეებს: მიიღეთ, სჭამეთ – ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული მისატევებლად ცოდვათა და როდესაც უთხრა პურზე – ესე არს ხორცი ჩემი, სვით ამისგან ყოველთა, მაშინ მან აღმართა ეს თასი და უჩვენა თავის მოწაფეებს და ეს თასი ჩვეულებრივი თასი კი არ იყო, ეს იყო ძვირფასი ქვისაგან შექმნილი

თასი, იასპის ძვირფასი ქვის სუბსტანციისაგან შექმნილი თასი, რომელიც მისი ჯვარცმის შემდეგ მისმა ფარულმა მოწაფემ იოსებ არიმათიელმა მართლაც აღავსო მაცხოვრის სისხლით. ჯვარცმის დროს ჯვარცმას ესწრებოდნენ არა მზოლოდ მოციქულები და მენელსაცხებლე დედანი, არამედ მისი ფარული მოწაფე იოსებიც, რომელიც სახარებაში მოხსენიებულია როგორც ფარული მოწაფე მაცხოვრისა და ჩვენს ფრესკებზე, ჩვენს ხატებზე იოსებ არიმათიელი თასით ხელში (ხშირია ეს მოტივი ჩვენს ჭედურ ხელოვნებაშიც) დგას და აგროვებს მაცხოვრის სისხლს ამ თასში.

შემდეგ, გადმოცემის თანახმად, იოსებ არიმათიელმა ეს თასი წაიღო დასავლეთში, ირლანდიაში. შემდეგ შუა საუკუნეების ევროპაში ეს თასი ჰქონდათ ევროპელ რაინდებს, მრგვალი მაგიდის რაინდებს და ევროპის გრაალის რაინდებს, ხოლო მას შემდეგ, როდესაც დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები, ევროპელი რაინდები ჩამოვიდნენ იერუსალიმში და ეზიარნენ იერუსალიმის სიბრძნეს, აღმსავლურ სიბრძნეს და ეს სიბრძნე შეერთდა. ისინი მოადგნენ კავკასიასაც და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს დავით აღმაშენებლის საქართველოსთან. სწორედ ამ ურთიერთობის შედეგად შეერთდა ეს ორი სიბრძნე – ის სიბრძნე, რომელიც მათ აქ დახვდათ და ევროპული სიბრძნე. ისინი მოვიდნენ სწორედ იმ კავკასიაში, რომელიც იყო ფილოსოფოსთა მთა, სადაც იყო ზეციური რწმენის მადანი და სწორედ აქ შეერთდა ეს ორი მიმდინარეობა და როგორც ჯვაროსანთა ქრონიკებში ვხვდებით, როგორც ვოლფრამ ფონ ეშენბახის – **XII** საუკუნის გერმანელი პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით ამას, ეს გრაალის თასი, რომელიც ედგა მაცხოვარს უკანასკნელი საიდუმლო სერობის დროს, გადმოტანილ იქნა საქართველოში, დავით აღმაშენებლის საქართველოში.

ამას ჩვენ ვხვდებით ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემაში, სადაც დავით აღმაშენებელს ეწოდება მეფე-ხუცესი იოანე. ე. ი. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი" არის ნაწარმოები, სადაც ყოველივე აღწერილია სიმბოლურად, მინიშნებით. იქ ქვეყნების სახელი არ არის მოხსენიებული, იქ არის ლეგენდარული, მითიური ქვეყნები. პირდაპირი დასახელებით არც ერთი ქვეყანა არ ფიგურირებს და მათ შორის არც საქართველო, მაგრამ საქართველოზე არის ნათქვამი, რომ ის არის ქვეყანა კავკასიის ქედის მიმდებარე, სადაც არის საწყისი სულიერი სიბრძნისა, სადაც არის საწყისი ყოველივესი, რაც შემდეგ განვითარდა ევროპაში, მსოფლიოში და რომ გრაალის თასი – ეს უმაღლესი სიმბოლო ქრისტიანობისა, ეს უზენაესი სიმბოლო არის სწორედ ამ ქვეყანაში, სადაც მეფობს მეფე-ხუცესი იოანე, რომელიც თავის თავზე აერთიანებს მეფეს და ხუცესს.

რას ნიშნავს მეფის და ხუცესის შეერთება? გავიხსენოთ, რომ გელათის ფრესკაზე დავით აღმაშენებელს ხელზე უდგას ეკლესია. რატომ უდგას დავით აღმაშენებელს ხელზე ეკლესია? იმიტომ, რომ იგი იყო ისეთივე დიდი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც სასულიერო მოღვაწე. ის იყო ისეთივე დიდი მეფე, როგორც ღვთისმეტყველი, როგორც სასულიერო პიროვნება, ოღონდ ჩვენ ოფიციალური ცნობა მისი სასულიერო წოდების შესახებ არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, ეს იყო უფრო საიდუმლოდ. ღიად და აშკარად ამას არ ჰქონია ადგილი, თუმცა შემორჩა ჯვაროსნების ქრონიკებში, სადაც მას უწოდებენ მეფე-ხუცეს იოანეს და იმ ხანად იყო ტრადიცია საიდუმლო მონაზვნობისა, საიდუმლო ბერობისა. ხშირად მეფეები ფარულად ხდებოდნენ ბერები და ირქმევდნენ საიდუმლო სახელს. როგორც ჩანს, ასეთი საიდუმლო სახელი ჰქონდა დავით აღმაშენებელსაც, ვინაიდან ჯვაროსნები მას ერთხმად უწოდებენ იოანეს და თან მეფე-ხუცეს იოანეს. ეს მოასწავებს იმას, რომ იგი იყო ისეთივე ბურჯი რელიგიისა, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, როგორც პოლიტიკური ცხოვრებისა საქართველოში და მან ეს ორი საწყისი შეაერთა.

ვინ იყო დავით აღმაშენებელის მოძღვარი? ვინ იყო დავითის სახელმწიფოში, ასე ვთქვათ წამყვანი პიროვნება, მამა მეფისა, მამა სახელმწიფოსი? ეს იყო ჭყონდიდელი ეპისკოპოსი. რატომ მაინც და მაინც ეს სახელი დაერქვა ჭყონდიდელის ინსტიტუტს, ე. ი. სასულიერო და პოლიტიკური ძალაუფლების გამაერთიანებელ ინსტიტუტს, რომელიც იყო ფაქტიურად უმაღლესი ხელისუფლება იმდროინდელ საქართველოში? მართალია, მეფე იყო აბსოლუტური მონარქი, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლო იყო ჭყონდიდელი და ამიტომ იყო ნათქვამი კარზე, რომ ჭყონდიდელი მამაა მეფისა და როგორც მამა მეფისა არის იგი მოხსენიებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. ასე ვიცით ჩვენ ისტორიიდან და ამიტომ არის, რომ სახელი ჭყონდიდი, დიდი მუხის (ჭყონი ნიშნავს მუხას) კულტის სახელი ეწოდებოდა უკვე ქრისტიანულ ეპოქაში ამ ინსტიტუტს. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთში ამ უძველესი კულტურის ქვეყანაში შემონახული იყო ამ დიდი მუხის კულტი და ქრისტიანულ ეპოქაში ეს უკვე იყო ეპარქიის წოდება. და იმ ტრადიციული ერთიანობის გამოსახატავად, რომელიც არსებობდა წარმართული ეპოქის სიბრძნესა და

ქრისტიანული ეპოქის სიბრძნეს შორის, შემორჩო სახელი ჭყონდიდელი. მათ ამ თანამდებობისათვის შეეძლოთ ეწოდებინათ, ვთქვათ, მარტვილი ან რაიმე ქრისტიანული სახელი, მაგრამ მათ შემოინახეს ეს იმ ტრადიციული, ორგანული ერთიანობის გამოსახატავად, რომელიც იყო იმ ანტიურ მიბრძნესა და ქრისტიანულ სიბრძნეს შორის და ამიტომ დავით აღმაშენებელმა სწორედ შეგნებულად ჭყონდიდელს მიანიჭა ასეთი პრიორიტეტი, რომელიც მას თითქოს მეფის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა, მაგრამ აქ მთავარი იყო არა მაღლა დაყენება, არამედ ორგანული შერწყმა სასულიერო და საერო ხელისუფლებისა.

და, აი, ეს ორგანული შერწყმა საცნაურია თვით დავით აღმაშენებლის პიროვნებაში და ამიტომაც არის იგი ფრესკაზე გამოხატული ეკლესიით ხელზე. ასეთი პატივი არც ერთ მეფეს არ რგებია, მეგობრებო. გადახედეთ მეფეების გამოსახულებებს ფრესკებზე. თქვენ ვერსად ვერ ნახავთ, რომ საქართველოს რომელიმე მეფეს ხელზე ედგას ეკლესია, ვინაიდან ჩვენ სხვა მსგავსი მეფე არ გვყოლია, რომელმაც ამრიგად გააერთიანა სასულიერო და საერო სიბრძნე. დიახ, სასულიერო და საერო სიბრძნის კერა იყო გელათი, გელათი იყო ის კერა, სადაც აღორძინდა ეს ყოველივე. გელათი იყო კერა, სადაც ქრისტიანული, ბიბლიური სიბრძნე შეუერთდა, დაუკავშირდა ანტიურ, წარმართულ სიბრძნეს, ვინაიდან ეს საქართველოში არასოდეს იყო განთვისებული, განცალკევებული. ჩემი ლექცია დღეს მე გელათს იმის გამო დავუკავშირე, რომ ქუთათურებმა იცოდნენ, თუ სად ცხოვრობენ, რა ქალაქში ცხოვრობენ და რა ადგილია გელათი. მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ მსგავსი ცენტრი შუასაუკუნეობრივი სიბრძნისა, შუასაუკუნეობრივი განათლებისა მსოფლიოში არ არსებულა და ამას ვაღიარებთ არა მარტო ჩვენ, არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ უცხოელებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსებიც. მე წაგიკითხავთ ყველაზე დიდი თანამედროვე რუსი მეცნიერის აკადემიკოს ლოსევის აზრს გელათისა და ქართული ნეოპლატონიზმის შესახებ, რომელიც საერთოდ უპრეცედენტოა მსოფლიოში. ეს პიროვნება, ღრმა მოხუცებულ ასაკს მიღწეული, იყო ჩამოსული გელათში, მას შემდეგ იგი შემხვდა მე, მესაუბრა და გამოაქვეყნა წერილი საქართველოს ერთ-ერთ ჟურნალში.

მე მინდა თქვენ გაეცნოთ ამას. და ვიდრე გაგაცნობდეთ, მოგახსენებთ, რომ იმჟამინდელ ევროპაში არსად არ იყო მსგავსი კულტურის კერა, მსგავსი სიბრძნის კერა, არც ბიზანტიაში. ევროპაში დაახლოებით იმავე პერიოდში იყო შარტრის აკადემია, შარტრის პლატონური აკადემია, იგი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც შეიძლება შეედაროს გელათს, მაგრამ იოანე პეტრიწის დარი ფილოსოფოსი არ ჰყოლია იმ აკადემიას და არც ერთ კულტურულ კერას იმჟამინდელ მსოფლიოში. რას გვამცნობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი? დავუკვირდეთ ჩვენ ამ გამოთქმებს:

„მუნვე შეკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა პოვნილნი, არამედ ქვეყნის კიდეთა, სადაც ესმის ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე სულიერთა და ხორციელთა სათნოებათა აღსავსეობა.

იძინა და ყველათ გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვიდრა მას შინა და მამული ლიპარიტეთი უმკვიდროთ დარჩენილი იყო, არამედ სხვა მრავალთა სოფლებთა თანა მისცა დედასა ღვთისასა და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა წინამდებარე არს ყოველი აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ფრიად უაღრეს მისსა საღვთოთა შინა წესთა". ე. ი. გელათი იყო ისეთი რელიგიური ცენტრი, ისეთი დონის სასულიერო ცენტრი, როგორც იერუსალიმია ქრისტიანული კულტურის თვალსაზრისით და მეორე მხრივ ანტიური ელინური სიბრძნის ისეთი უდიდესი კერა, როგორიც იყო ათინა, ათენი – საბერძნეთის დედაქალაქი და თან „ფრიად უაღრეს მისსა", ე. ი. მასზე უფრო დიდი, ვინაიდან ათენი იყო წარმართული, ხოლო გელათი საღვთო წესებით, ქრისტიანული წესებით გამდიდრებული და აღზევებული. ე. ი. ათენი, ათინა მოცემული ქრისტიანულ დონეზე. აი, ეს იყო გელათი. რა ისწავლებოდა გელათში და რით არის დიდი ეს კულტურული ცენტრი? თქვენ იცით, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანობა, კერძოდ დასავლეთის ქრისტიანობა, ჩრდილავდა ყოველივე ადამიანურს, იგი ადამიანის პიროვნების ემანსიპაციის წინააღმდეგი იყო, მხოლოდ საღვთო მომენტი გამოჰქონდა წინა პლანზე და ადამიანური სიბრძნე იჩრდილებოდა; ასევე იჩრდილებოდა ანტიური სიბძნე, იგი გამოცხადებული იყო კანონგარეშე, თუმც დიდი ქრისტიანი მამები, მაგალითად, ბასილი დიდი, მოითხოვდნენ ანტიური სიბრძნის შესწავლასაც და ამბობდნენ, რომ ამ წიგნებიდანაც შეიძლება მივიღოთ ის სიბრძნე, რომელიც დაგვეხმარება სულის ხსნაშიო. იუსტინე ფილოსოფოსი, პირველი ქრისტიანი მამა, ამბობდა, რომ სოკრატე და პლატონიც ისეთივე ლოგოსის, ქრისტეს მსახურები იყვნენ, როგორც ჩვენო, ოღონდ ისინი იმჟამად წარმართულ ეპოქაში

ცხოვრობდნენ და მათ მხოლოდ ნაწილობრივ ჰქონდათო ამის საშუალება. ამას ყოველივეს ებრძოდა ბიზანტიის ეკლესია, მაგრამ იმ ეპოქაში, როდესაც გელათი აღმოცენდა, ბიზანტიაში უკვე დაძლეული იყო ეს და იგრძნობოდა უდიდესი ინტერესი ანტიური სიბრძნისადმი, ანტიური ფილოსოფიისადმი და დოგმატური წარმომადგენლები ეკლესიისა ვეღარ ახერხებდნენ ამასთან ბრძოლას და სასულიერო აკადემიებში ბიზანტიისა უკვე დაიწყო ანტიური სიბრძნის შესწავლა, ანტიური ფილოსოფიის შესწავლა. მაგრამ იმ დონეზე, როგორც ამას ვხედავთ გელათში, ეს წარმოუდგენელი იყო გინდ ბიზანტიაში, გინდ ევროპაში, ვინაიდან აქ მოხდა გაერთიანება მთელი ანტიური სიბრძნისა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ პეტრიწის ნაშრომებიდან. მთელი ანტიური სიბრძნე ისწავლებოდა გელათში.

აღორძინდა არა მხოლოდ ბერძნული ანტიური ტრადიციები, არამედ ქალდეური, ეგვიპტური, ძველი მსოფლიოს ყველა ის კულტურის კერები, მისტერიული სიბრძნის კერები, რომლებიც უწინ არსებობდნენ, და გელათის ბრძენნი ყოველივე ამას ორგანულად უთავსებდნენ ქრისტიანობას, ბიბლიას. მათთვის ბიბლიური სიბრძნე განუყოფელი იყო ამ ანტიური სიბრძნისაგან. აი, ამიტომ იყო ეს „ახალი ათინა ფრიად უაღრეს მისსა", როგორც ამბობს ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ეხლა მე გაგაცნობთ აკადემიკოს ლოსევის სიტყვებს გელათის შესახებ:

„ქართული ნეოპლატონიზმი ანთროპოცენტრიზმი გახლავთ. აქ ადამიანი ყველაფრის საფუძველია, მაგრამ აქვეა ღრმა განსხვავება ერთი მხრივ ქართულ ნეოპლატონიზმსა და გერმანულ ნეოპლატონიზმს შორის, აღმოსავლურ და დასავლურ ნეოპლატონიზმს შორის. ნეოპლატონიზმი, რომელსაც მისდევდნენ ქართული რენესანსის წარმომადგენლები (და სხვათა შორის ეს მეცნიერი იზიარებს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებებს, რომ რენესანსი გაცილებით ადრე დაიწყო საქართველოში, ვიდრე ევროპაში, რომ ის აქ დაიწყო უკვე **XI** საუკუნის მიწურულში, **XII** საუკუნის დასაწყისში, მაშინ როდესაც ევროპაში დაიწყო **XIII-XIV** სს-დან) – იოანე პეტრიწი და რუსთველი – ანთროპოცენტრიზმია, მაგრამ ამასთან იგი როდი აუქმებს ბუნების მეუფებას, იმ ბუნებისას, რომელსაც თაყვანს სცემდა ანტიურობა, იმ ბუნებისას, იმ ვარსკვლავებისას, მასი სწორი მიმოქცევისას. აქ ანთროპოცენტრიზმი ბუნებას როდი ანადგურებს, როგორც ამას დასავლეთში ჰქონდა ადგილი, არამედ ბუნება მდიდრდება იმით, რომ ადამიანი იქცა პიროვნებად, რომელსაც სურს შეგრძნება ყოველივესი, თავისებურად გარდაქმნა ყოველივესი. იყო ცალკეული კვლევა ნეოპლატონიზმისა, მაგრამ არ ყოფილა ასეთი მაღალი, სიღრმისეული წვდომა ამ ფილოსოფიური მოძღვრებისა, ასეთი გაგება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან და რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო გაიზრდება რუს-ქართველთა მეგობრობა".

აი, რას აღნიშნავს რუსი მეცნიერი, რომ რუსეთი ჩვენ ზევიდან კი არ უნდა დაგვცქეროდეს, როგორც უფროსი ძმა, არამედ პირიქით – ჩვენ უნდა დავცქერდეთ მას, როგორც უფროსი ძმა. აი, თვით რუსი აღიარებს ამას, უდიდესი მეცნიერი, უდიდესი სპეციალისტი ძველბერძნული ფილოსოფიისა, საერთოდ ძველი საბერძნეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტი თანამედროვე მსოფლიოში. ამასვე აღიარებდა უდიდესი რუსი მწერალი ანდრეი ბელი, რომელიც ძალიან ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. მას ძლიერ იზიდავდა ქუთაისი, რამეთუ იცოდა, რომ ეს არის უძველესი კოლხური კულტურის ცენტრი. ანდრეი ბელი ამბობდა: როდესაც ჩვენ ტყეებში დავეხეტებოდით, ქართველები უმაღლეს კულტურას ქმნიდნენ და ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან და ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ყოველგვარი საუბარი მათ ვითომდაც ნაციონალიზმზე, შოვინიზმზე და ყურად ვიღოთ ის ყოველივე, რაც მოდის რუსთველიდან, რაც მოდის ქართული კულტურიდან. აი, ასეთი არის შეგნებული და მაღალგანვითარებული რუსების შეხედულება საქართველოზე, განსხვავებით იმ იმპერიული და ბოგანო რუსეთისაგან, რომელიც ზევიდან დასცქერის საქართველოს.

აი, ეს არის ჭეშმარიტება და ამას კიდევ იმიტომ მოგახსენებთ, რომ მეგობრებო, რომ იცოდეთ, რა კულტურის ცენტრია ქუთაისი, რომ შეწყდეს ეს დენა ინტელიგენციისა ქუთაისიდან თბილისში და რომ აღარ იყოს ეს ტენდენცია, რომ ყველა ინტელექტუალური ძალები საქართველოსი მხოლოდ თბილისში გაერთიანდნენ. ეს არის ეროვნული ტრაგედია. ასეთი უძველესი სიბრძნის ცენტრი, ინტელექტუალური კულტურის ასეთი ცენტრი, როგორიც არის ქუთაისი, რატომ უნდა დაიცალოს ინტელიგენციისაგან? ეს არ არის განა ეროვნული ტრაგედია? თუ ყველამ თბილისში მოვიყარეთ თავი, რა ეშველება დანარჩენ საქართველოს? აი, ესაა საკითხავი. და ბოლოს ის თბილისიც აღარ დაგვრჩება, იმიტომ რომ იქაც გაძლიერდა ანტიქართული ტენდენციები და არაქართველთა მოძალება. სწორედ ამიტომ მე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, რომ ის ტრადიცია, რომელიც მომდინარეობს

უძველესი კოლხიდან, რომელიც მომდინარეობს გელათიდან, აქ არ უნდა შეწყდეს. ეხლა მე მინდა დეტალურად გესაუბროთ, თუ რა სახის დისციპლინები ისწავლებლდა გელათის აკადემიაში და რა გვაძლევს საფუძველს იმის თქმისა, რომ მართლაც უპრეცედენტო იყო სიბრძნისა და სწავლულობის ეს კერა შუა საუკუნეების მსოფლიოში. აქ, უწინარეს ყოვლისა, ისწავლებოდა **7** დარგი მეცნიერებისა, რომელიც იყო გავრცელებული იმჟამინდელ მსოფლიოში, კერძოდ, ბიზანტიაშიც, დასავლეთ ევროპაშიც და ამ **7** დარგს ეწოდებოდა ტრივიუმი და კვადრივიუმი, ანუ სამეული და ოთხეული, ე. ი. შვიდეული. სამეული არის: გეომეტრია, არითმეტიკა, და მუსიკა. ოთხეული: გრამატიკა, ფილოსოფია, როტორიკა და ასტრონომია. აი, დარგები, რომლებიც ისწავლებოდა ისეთ დონეზე, როგორც არსად. და ეს ყოველივე იყო იმ დიდი მეფის, დიდი ბრძენი მეფის დამსახურება, რომელმაც თავი მოუყარა მსოფლიოში ყველა უდიდეს მეცნიერს იმ დროისას, უდიდეს ბრძენთ და მათ მოძღვართ-მოძღვრად დაუყენა იოანე პეტრიწი, უდიდესი მნათობი მსოფლიო ფილოსოფიისა და მეცნიერებისა. სხვათა შორის, როდესაც თვით აკადემიკოსი ლოსევი იყო ჩამოსული თბილისში, მე მას ვესაუბრე მათი ფილოსოფოსის სოლოვიოვის შესახებ დიდი აღტაცებითა და დიდი პატივისცემით.

სოლოვიოვი იყო **XIX** საუკუნის დიდი მართლმადიდებელი ქრისტიანი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, რომელიც მართლაც უბადლოა ამ ეპოქაში (ეს ჩემი მხრივ ტაქტი იყო, რომ მე მათი მეცნიერებისა და ფილოსოფიის წარმომადგენელი შემექო). მან გაიღიმა და მითხრა: თქვენ, პეტრიწის პატრონნი, ვისზე ლაპარაკობთ საერთოდ. მე ეს ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ ტაქტის გამო უფროს ადამიანს მე ეს პირველმა ვერ ვუთხარი. მაგრამ მან ეს თვითონ თქვა და მითხრა, გუშინ ვიყავი გელათში, მივედი აკადემიაში, დავიჩოქე და ვლოცულობდი (ის ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო ამავე დროს), ვლოცულობდი და ვამბობდი: ღირსო მამაო იოანე, ევედრე ღმერთსა ჩემთვის. იოანე პეტრიწის სულს შევევედრე და იმისთვის ჩავედი გელათში, რომ მენახა ის ადგილი, სადაც ეს უდიდესი ადამიანი მოღვაწეობდა. სხვათა შორის, აკადემიკოს ლოსევის დამსახურებაა, რომ „პროკლეს კავშირნი" პეტრიწის კომენტარებითურთ გამოვიდა რუსულად, მაგრამ, სამწუხაროდ, თარგმანი არასრულყოფილია. ამას ყველაფერს ეშველება, თუმც უნდა ითქვას, რომ პეტრიწის შესწავლა ჯერ არ დაწყებულა.

ეს არის, შეიძლება ითქვას, უდიდესი სფინქსი ყველა ჩვენგანის წინაშე, ვინც ვსწავლობთ, ვიკვლევთ მას და იმდენად დიდი და განდიოზული, რომ მიახლოებულიც არ ვართ მის სიმაღლესთან და მის სამყაროსთან, ვინაიდან ეს არის ურთულესი სამყარო და უძნელესია ის გზა, რომელიც მიდის პეტრიწისაკენ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ენა, მისი ტერმინოლოგია არის იმდენად რთული, რომ დღეს, სამწუხაროდ, მთლიანად ვერც ხერხდება განსაზღვრა მისი ზოგიერთი ტერმინისა და გამოთქმისა და ვერც ხერხდება ამაღლება იმ დონემდე, რა დონეზეც იდგა პეტრიწი. ამრიგად, მეცნიერების შვიდი დარგი ისწავლებოდა აქ, თან ისწავლებოდა ისე, როგორც ეს შუა საუკუნეებს ახასიათებდათ და, ამავე დროს, ადამიანის პიროვნებისადმი ინტერესი, ადამიანის უნარებისადმი ინტერესი იყო ძირითადი, განსხვავებით იმდროინდელი შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკური ქრისტიანობისაგან, რომელიც მხოლოდ ღმერთზე აკეთებდა აქცენტს და ადამიანის პიროვნებას ივიწყებდა. გარკვეული გაგებით შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკა მონოფიზიტობისკენ იხრებოდა, ვინაიდან მხოლოდ ღვთისადმი ინტერესი არ არის სრული ქრისტიანობა. სრული ქრისტიანობა მოითხოვს ღვთისა და ადამიანის გაერთიანებას, ვინაიდან მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იყო ღმერთკაცი და არა მხოლოდ ღმერთი. ორივე ეს მხარე თანაბრად მახლობელი უნდა იყოს ქრისტიანული სიბრძნისათვის და ეს ყოველივე გამოჩნდა სწორედ გელათში.

გელათის სკოლის წარმომადგენელი გახლავთ დიდი რუსთველიც. ის, შეიძლება ითქვას, გელათის სკოლის ისეთივე დიდი წარმომადგენელია, როგორც იოანე პეტრიწი და ადამიანის პიროვნება, ყოველივე ადამიანური მოგეხსენებათ როგორ არის რუსთველთან ყველაფრის ცენტრში. ქრისტიანული მოძღვრების ეს მხარე არის ჭეშმარიტი დიოფიზიტიზმი, სადაც ღვთაებრივი და ადამიანური სრულყოფილ ჰარმონიაშია მოცემული და, როგორც მოგეხსენებათ, რენესანსმაც ეს წამოსწია წინა პლანზე – ადამიანის პიროვნებისადმი ინტერესი, ადამიანური სიბრძნე საერთოდ. და ეს რენესანსი დაიწყო სწორედ რუსთველიდან, დაიწყო პეტრიწთან. უფრო გვიან განვითარდა ყოველივე ეს ევროპაში. ეს სიბრძნე ამ შვიდ მეცნიერებას უსახავს სწორედ მიზნად ღმერთის, ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიულ შემეცნებას, რომ ღვთის შემეცნება არ უნდა იყოს გათიშული ადამიანის შემეცნებისაგან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ევროპის სქოლასტურ ფილოსოფიაში, რომ

ღვთის შემეცნება და ადამიანის შემეცნება განუყოფელია და, ამავე დროს, ეს ყოველივე განუყოფელია სამყაროს შემეცნებისაგან, რომ სამყაროს შემეცნება, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ევროპაში **XVI-XVII** საუკუნეებში დაიწყო ნამდვილად და რეალურად, გელათში უკვე ჰყვაოდა **XII** საუკუნეში. ამას გვაძლევს ჩვენ ისევ იოანე პეტრიწის შრომების შესწავლა. აქედან ჩანს, თუ სამყაროს შემეცნება, ვარსკვლავთა შემეცნება რა დონეზე იდგა გელათის აკადემიაში.

უკვე პეტრიწი საუბრობს ქალდეველთა სიბრძნეზე, აბრაამის სიბრძნეზე, რომელიც იყო აგრეთვე ვარსკვლავური სიბრძნე და ყოველივე ამას მიზნად უსახავს აკადემიას; რომ ქალდეველთა სიბრძნე არ ეწინააღმდეგება ბიბლიას, ვინაიდან ბიბლიაში და ფსალმუნებში მოხსენებულია მნათობები ცისა, რომელთაც აქვთ გონება, რომელთაც აქვთ სული და რომ „მზემან სცნა ჟამი დასლვისა თვისისა" და უკეთუ მან სცნო დასლვისა თვისისა ჟამი, აღმოსლვისაცა უმეცარ არ იქნებოდაო. ე. ი. მზე გონიერი არსებაა, ვარსკვლავები გონიერი არსებები არიან და ეს ყოველივე მოცემულია ბიბლიაში. ეს ყოველივე არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ, ბიბლიურ სიბრძნე. „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასაო" – მოცემულია ფსალმუნში, რასაც პეტრიწი იშველიებს სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვისაც მიაჩნია იმჟამად (როგორც ჩანს, იყო გარკვეული დოგმატური მოსაზრებები), რომ ასტროლოგია, ვარსკვლავთა სიბრძნე მიუღებელია და ჩვენ ეს უნდა უკუვაგდოთ. რასაკვირველია, ასტროლოგია მიუღებელი იყო ქრისტიანობისათვის, მაგრამ ასტროსოფია – ვარსკვლავური სიბრძნე ლეგალიზებული იყო საქართველოში და ქრისტიანობა ამას არ ებრძოდა იმიტომ, რომ მამა იოანე იყო წინამძღვარი გელათის მონასტრისა.

ამავე დროს იგი იყო არა მხოლოდ ბრძენი, ფილოსოფოსი, მასწავლებელი, არამედ მოძღვარი, სასულიერო პირი და საკმაოდ დოგმატიკოსი ქრისტიანი, კარგი გაგებით. დოგმატიზმი ყოველთვის ცუდი გაგებით კი არ უნდა გავიგოთ, არსებობს შეზღუდული დოგმატიზმი, ხოლო დოგმების პატივისცემა – ეს არ არის უარყოფითი მოვლენა და იოანე ყოველივე ამას ათავსებდა. ადამიანურ სიბრძნეს პეტრიწი ათავსებდა საღვთო სიბრძნესთან და ამავე დროს მოითხოვდა რომ შევისწავლოთ ანტიური მითოლოგია, ანტიური სამყარო, ანტიური სიბრძნე, რომ გავამთლიანოთ კაცობრიობის სიბრძნე. აი, ამას მოითხოვდა პეტრიწი თავის შრომებში და მე შემიძლია წაგიკითხოთ რამოდენიმე ადგილი მისი შრომებიდან, თუ რით მტკიცდება ეს ყოველივე.

თავის განმარტებებში პეტრიწი გვესაუბრება ძველ ბერძნული და, კერძოდ, ორფიული მისტერიების როლზე. ვინ იყო ორფეოსი? დღესდღეობით არ არის კარგად ცნობილი მეცნიერული საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტება, რომ ძველბერძნული კულტურა, ძველბერძნული მითოლოგია და მისტერიები მომდინარეობენ წინაბერძნული სამყაროდან, ანუ პელაზგური სამყაროდან, რომელიც იყო სინამდვილეში ქართველური სამყარო, კოლხურის მონათესავე. ძველბერძნული პანთეონის ღმერთები იგივე ქართველური წარრმოშობის ღმერთებია, პელაზგური წარმოშობის ღმერთებია და ძველბერძნული გმირები ყველანი დაკავშირებულნი არიან პრეისტორიულ საქართველოსთან: ჰერაკლე დაკავშირებულია პრეისტორიულ იბერიასთან, ის ლაშქრობს, ის მიდის და ეს არის იმ უზენაესი სიბრძნის სიმბოლო. თეზეოსი მიდის ისევ ქართველურ სამყაროში, კუნძულ კრეტაზე, მინოსის სამყაროში, რათა მოიპოვოს ის სიბრძნე ისევ და ისევ ლაბირინთოსის სახით. იაზონი და სხვა ბერძენი გმირებიც მოდიან კოლხეთში, რათა მოიპოვონ ეს სიბრძნე. ორფეოსიც სწორებ ის გმირია, რომელიც დაკავშირებულია ძველ კოლხეთთან, კერძოდ ეგროსთან. ორფეოსის მამა მოხსენიებულია როგორც ეგროსი, ეგრი. ორფეოსის მიზანი იყო სწორედ იმ უძველესი პელაზგური, ანუ პროტოქართული სიბრძნის აღორძინება და საბერძნეთისათვის გადაცემა. ამიტომ პეტრიწისათვის ანტიურობის ეს დიდი ხელოვანი ყველაზე მახლობელია და ის ორფიული სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის შერწყმის მომხრეა და პავლე მოციქულს „ჩემს ორფეოსს" უწოდებს. ასეთი რამ უპრეცედენტო იყო იმ ხანაში, იმიტომ რომ ყოველივე წარმართული დაგმობილი იყო ეკლესიის მიერ ერთ პერიოდში, მაგრამ სწორედ პეტრიწის მსგავსი დიდი სასულიერო პირები ახერხებდნენ იმას, რომ წარმართული სიბრძნე, ანტიური სიბრძნე აეღორძინებინათ და ის ქრისტიანობისათვის მიესადაგებინათ, ისევე როგორც წარმართული ფილოსოფია, ნეოპლატონიზმი მიესადაგებინათ ქრისტიანობისათვის და ქრისტიანულად განემარტათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ხედავდნენ საფრთხეს, რომ ქრისტიანული სიბრძნე მოსწყდებოდა ანტიურ სიბრძნეს და ეს იქნებოდა დაუშვებელი გახლეჩა. ქრისტესთან პარალელურად პეტრიწი საუბრობს ორფეოსზე, მაშინ როდესაც ის საუბრობს ლოცვის სიკეთეზე და გვეუბნება:

„ვინაიცა ამის სიბრძნისა ორღანოისა თქვას სატყვამან ვითარმცა შეწყობა ორფეოსის წიგნსა, სიკეთენირაი რამდენი ვინ გარდასცნეს, ვითარ რაი ზესთა მძლისანი". ე. ი. უდიდესი სიკეთე არისო ორფეოსის წიგნში. შემდგომ ამისა იგი გადადის ძვთის სულის მიერ ძის დავითის არჩევაზე, მის მიერ დავითნის შექმნაზე და ამბობს: „და ამას წიგნსა შორის კაცსა და მეფესა შესძრა სამოსთა თვისთა ძალები მოსლუად წიგნსა ამას შორის გზასა სულთა მამისა მიმართ" და აქვეა ნახსენები „ზენაი სიბრძნე" აბრაამისა, ქალდეველთა და ბოლოს ეკლესიისა ჩვენისა მემოძღვრე პავლე მოციქული ქადაგებდაო „სიბრძნესა ღვთისასა საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელ იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნოთა სადიდებლად ჩვენდა, რომელი იგი არავინ მთავართაგან ამის სოფლისაგან იცნა" – აი, რას ამბობს პავლე მოციქული, რომ ეს სიბრძნე არსებობდა სამყაროს დასაბამიდან და იყო დაფარულიო, ე. ი. ეს არის ის სიბრძნე რომელიც ჰქონდა კაცობრიობას, რომელიც იყო კოლხეთში, რომელიც იყო ძველ მისტერიებში და ამას უწლდებს პავლე მოციქული დასაბამიერ, დაფარულ სიბრძნეს და ეს სიბრძნე კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ უნდა განვაახლოთ და ამ დასაბამიერ სიბრძნეში არა მხოლოდ ძველი აღთქმის სიბრძნე იგულისხმება, არამედ წარმართული, ანტიური სიბრძნე, ორფიზმი, ქალდეველთა მოძღვრება, პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი. პავლეო, ამბობს პეტრიწი – „ზე ერთ ჰყოფს გონებითთა ამათ გოდლებთა". გოდოლი – ციხე-სიმაგრეა. ამ გონებისმიერ ციხე-სიმაგრეებს, ამ გოდოლებს პავლე აერთიანებსო.

პავლე მოციქული, რომელიც ნაზიარები იყო სწორედ ანტიურ, ბერძნულ კულტურას, როდესაც ის მივიდა არეოპაგში და იქ ბერძენ ფილოსოფოსებს უქადაგა ქრისტიანობა, მას გვერდით დაუდგა დიონისე არეოპაგელი, სწორედ ამ არეოპაგის წევრი, სწორედ ამ პავლე მოციქულზე ამბობს, რომ დღე ერთ ყოფს ყოველივე ამას და აერთიანებს. ე. ი. ქრისტიანული სიბრძნე აერთიანებს ყოველივე იმას, რაც იყო წარმათობაში, ანტიურობაში და ეს ყოველივე გაერთიანებული არის გელათის აკადემიაში და იოანე პეტრიწის პიროვნებაში.

ამ თვალსაზრისით ღვთის სიტყვაა სწორედ დასაბამი ორფეოსის წიგნის შეწყობისა, ე. ი. ორფეული ჰიმნებისა, რომელიც ხელთ ჰქონდა იოანე პეტრიწს, დავითის ფსალმუნთა საღვთო პოეზიისა, აბრაამისა და ქალდეველთა სიბრძნისა და ყოველივე ეს დაგვირგვინებულია ქრისტიანობით, პავლე მოციქულის მოძღვრებით და თვით პავლეს პეტრიწი ორფეოსს უწოდებდა – ჩემი ორფეოს, რაც სავსებით უჩვეულოა სასულიერო მოღვაწის პირიდან. „ხოლო ქალდეველთაი, რომელიმე ჭეშმარიტეობდა და ნაღბლი თნებისა მათისაი ვითარ მსხვერპლთათვის, ვითარ შვიდთა ამათ მნათთათვის, რამეთუ ესეცა იტყვის ვითარმედ მზემან იმეცნა დასვლაი თვისი, ვინაი ვინათგან იმეცნა დასვლასა არცა თუ აღმოსვლასა უმეცარ ექმნა და ამათ შორის მექმე დრეკათა თვისთა ქცევითა, რომელთა დრეკათა მიერ განუკავდების ყოველივე. ჟამი საზომთ მიერ დრეკასა და მთვარე ქმნაო ჟამთათვის". ფსალმუნში, მოგეხსენებათ, ნათქვამია, რომ მთვარე არის მზომელი ჟამისა, ე. ი. დროისა და ეს ყოველივე არის საფუძველი ასტრონომიისა. „ესეობს ძალი სიტყვაი, რამეთუ ყოველთა ზენათგან თავის შორის მიმთვალველი მთოვარე ესე ვითავე ნათელთა და ეგრეცათა ძალთა" (ე. ი. მთვარის როლი ჟამის მზომელისა).

ახლა, როგორც ხმარობს პეტრიწი ანტიური მითოსის სახელებს და პერსონაჟებს. მე მოგახსენეთ წელან, რომ მისი მიზანია შექმნას სიბრძნე ადამიანის შესახებ და ეს სიბრძნე მოცემულია არა ისეთი მშრალი ტერმინებით, როგორც თანამედროვე მეცნიერებაში – ციფრებით და ფორმულებით, არამედ მოცემულია მითოლოგიური სახელებით, მათოლოგიური შესატყვისებით და აგრეთვე მოცემული არის იმ დისციპლინების გადმოცემისას იმის საჭიროება, რომ ამ დისციპლინებმა დაასაბუთონ ღვთის არსებობა, სამების არსებობა და სამების ჭეშმარიტება. გეომეტრია იმჟამად ისწავლებოდა არა ისე, როგორც თანამედროვე კაცობრიობა სწავლობს მას, მშრალად – ფორმულებით და სქემებით, არამედ გეომეტრიის მიზანი იყო სწორედ ღვთის არსებობის დასაბუთება. როგორ ასაბუთებდა გეომეტრია ღვთის არსებობას?

პეტრიწს მოჰყავს სფეროს მაგალითი, ყველაზე უფრო მარტივი გეომეტრიული მაგალითი: რამდენი ელემენტი აქვს სფეროს? ცენტრი, რადიუსი და გარშემოწერილობა. ცენტრი არის მამა ღმერთი, რადიუსი არის ძე-ღმერთი, ხოლო გარშემოწერილობა არის სულიწმიდა ღმერთი. სინამდვილეში ეს მთელი სფერო არის ერთობა ამ სამებისა. ამიტომაც არის ნათქვამი, რომ სამება არის ერთი, ერთარსება და მას აქვს სამი ელემენტი. სამება სამი ღმერთი კი არ არის, ერთი ღმერთია, ოღონდ განსხვავებულ მოდუსებში, განსხვავებულ ჰიპოსტასებში მოცემული. აი ამ გზით ასაბუთებს გეომეტრია სამების არსებობას, ვინაიდან ცენტრის გარეშე არ არსებობს განფენილობა წერტილისა და აი ამ

სფეროს მოცულობის გარეშე არ არსებობს სივრცე, ე. ი. სივრცის ამ სამ ელემენტში მჟღავნდება სამება. სამება არის ის, რაც მოცემულია ცენტრის, რადიუსის და გარშემოწერილობის ურთიერთობაში. ამით მტკიცდება ის, რომ სამყაროს აქვს საწყისი, რომ სამყაროს აქვს სამებრივი საწყისი და რომ სამყაროს საფუძველი არის სამება. მართალი რომ იყოს ის, რასაც მატერიალისტები და ათეისტები ამტკიცებენ, მაშინ არც ცენტრი იარსებებდა, არც რადიუსი იარსებებდა, არც სფერო იარსებებდა და ყოველივე იქნებოდა არარაობა.

როგორ ამტკიცებს ღვთის არსებობას შემდეგი დისციპლინა – არითმეტიკა, რომელიც ისწავლებოდა გელათში და როგორ ისწავლებოდა იგი? არა იმგვარად, როგორც დღეს ასწავლიან ბავშვებს მშრალად შეკრება-გამოკლებას და ა. შ. პირველი სამი რიცხვი არის თუ არა საფუძველი ყველა რიცხვისა? წარმოიდგინეთ რიცხვი, შესაძლებელი რიცხვი სამყაროში, რომელიც არ შედგებოდეს ერთისგან, ორისგან, სამისგან. არის თუ არა ყოველივეს საფუძველი ერთი, მისგან ნაწარმოები ორი, ვინაიდან ერთისაგან იწარმოება ორი, ორისგან იწარმოება სამი და სამისგან იწარმოება ყველა რიცხვი. ე. ი. რიცხვთა მთელი სამყარო იწარმოება ამ სამი ელემენტისაგან: ერთისგან, ორისგან და სამისგან. ისევე როგორც მამისგან, ძისგან და სულიწმინდისაგან. სამება აქ არის ერთი, ორი, სამი, როგორც საფუძველი ყველა რიცხვისა, საფუძველი სამყაროსი. მათემატიკა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყაროში რეალურია მხოლოდ რიცხვები, რომ სამყარო დაფუძნებულია რიცხვებზე, რომ მთელი ვარსკვლავეთი – პლანეტები, გალაქტიკები, ყველაფერი შეიძლება რიცხობრივად გამოისახოს. ყველაფერს აქვს თავისი რიცხვი, ყველა ატომს აქვს თავისი რიცხვი. მთელი შემადგენლობა მატერიისა, სამყაროსი არის რიცხვი და ერთადერთი რეალობა არის რიცხვი, რომ ყოველივე შეიძლება გაქრეს, მაგრამ რიცხვი არ გაქრება, ვერ გაქრება, იმიტომ რომ რიცხვი არის მარადიული, პირველი სამი არის მარადიული საწყისი და ეს არის სამება. სწორედ პეტრიწისეული არითმეტიკის საფუძველი არის სამების არითმეტიკული, მათემატიკური გადმოცემა და მისი როლი სამყაროს შექმნაში.

ახლა, როგორ ისწავლებოდა მუსიკა გელათის აკადემიაში. ეს ტრივიუმი – სამი დარგი მეცნიერებისა და მუსიკაც, როგორც ხელოვნებნების დარგი, ისე არის მოცემული, ე. ი. არა მხოლოდ როგორც ხელოვნება, ვინაიდან იმჟამად დღევანდელ მსოფლიოშია. პეტრიწი ახსენებს სამ ხმას: მზახ, ჟირ და ბამ. ჟირ, შეხეთ ორი – ჟირ მეგრულ ენაში როგორ ემთხვევა. ჟირ უძველესი კოლხური ძირია ორის გამომხატველი. მეორე ხმას მუსიკაში ჰქვია ძველქართულად ჟირ, მზახ ჰქვია პირველ ხმას, ხოლო ბამ, ანუ ბან – მესამე ხმას. აბა წარმოიდგინეთ თუ არსებობს რამე მუსიკა სამი ხმის გარეშე, სამხმოვანების გარეშე? მთელი მუსიკის საფუძველი არის სამი ხმა. ე. ი. ის რაც იყო იქ – წერტილი, რადიუსი და გარემოცულობა, რაც იყო როცხვი **1**, რიცხვი **2**, რიცხვი **3**, მუსიკაში არის ეს სამი ხმა, ანუ სამ-ხმოვანება: მზახ, ჟირ და ბამ და ამით საბუთდება ის, რომ მუსიკის საფუძველიც არის სამება. მუსიკაც ადასტურებს იმას, რომ სამება არის საფუძველი ყოველგვარი ყოფიერებისა და სამების პრინციპზე არის დამყარებული ყოფიერება.

ამრიგად, ეს სამი მეცნიერება ასაბუთებს ღვთის არსებობას.

შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ ასაბუთებს ღვთის არსებობას გრამატიკა, რომელიც, სხვათა შორის, ისე კი არ ისწავლებოდა, როგორც დღეს, მხოლოდ გრამატიკული კანონები, დოგმები, წესები. გრამატიკა სწორედ გამომდინარეობდა სიტყვის სიღრმიდან, სიტყვის პირველადი მნიშვნელობიდან, არსიდან, გრამატიკა მოიცავდა ყოველივეს, რაც შეიძლება სიტყვას და მეტყველებას დაუკავშირო და ყველაფრის საფუძველი იყო პირველი საფუძველი – ღვთაებრივი სიტყვა. არსებობს პირველსიტყვა. ყველა სიტყვას, ისევე როგორც ყველა რიცხვს, აქვს თავისი საფუძველი, თავისი პირველსიტყვა. პირველსიტყვისგან იშვა ყველა სიტყვა და ეს პირველი სიტყვა იყო ის, რომელიც იოანეს სახარებაში მოცემულია როგორც ქრისტე, როგორც ლოგოსი, როგორც ღმერთი. „პირველითგანვე იყო სიტყვაი და სიტყვაი იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვაი იგი" – აი ამას ასაბუთებდა გრამატიკა.

რას ასაბუთებდა ფილოსოფია, ანუ დიალექტიკა? ისევ და ისევ ღვთის არსებობას. რას ემსახურებოდა რიტორიკა? რიტორიკა ემსახურებოდა სწორედ ღვთის არსებობის დასაბუთებას და ადამიანში ღვთაებრივი საწყისისა და ნაპერწკლის გაღვიძებას და ამგვარი თვალსაზრისით ისწავლებოდა ის.

და ბოლოს ყველაზე უმნიშვნელოვანესი დარგი – ასტრონომია, რომელიც აგრეთვე მიზნად ისახავდა არა ისეთი მშრალი ასტრონომიის შექმნას, რომელიც დღეს აქვს კაცობრიობას, არამედ

განსულიერებული ასტრონომიისას. ეს იყო უკვე არა ასტრონომია, არამედ ასტროსოფია. თქვენ ყველას გახსოვთ „ვეფხისტყაოსნიდან", რომ რუსთველი მნათობებს ისე მიმართავს, როგორც ცოცხალ არსებებს. რომ ავთანდილი თავის წიგნებში მნათობებს ესაუბრება როგორც ცოცხლებს, როგორც სულებს, რომელნიც მას უნდა დაეხმარონ ცხოვრების გზაზე და მზეს მიმართავს, როგორც ყველაზე უმაღლეს მნათობს, ოღონდ არა იმ მზეს, რომელიც თვალით სახილველია, არამედ სულიერ მზეს – ქრისტეს, რომელიც არის სამყაროს შემოქმედი და ყოველივეს საწყისი.

აი, ასეთი ასტრონომია ისწავლებოდა იმჟამად გელათის აკადემიაში, რომელიც მნათობების არსებობით ასაბუთებდა ღვთის არსებობას, რომ შეუძლებელია ეს უშველებელი, გონიერი სამყარო, გონიერი კოსმოსი იყოს უაზრო, რომ მას არ ჰყავდეს წარმმართველი, არ ჰქონდეს საფუძველი, გონიერი საფუძველი, რომ გონება არ იყოს გაბატონებული ამ კოსმოსში.

აი ამას ისახავდა მიზნად გელათში ასტრონომიის შესწავლა, იმ ასტრონომიისა, რომელიც ისევ და ისევ ღვთის არსებობას ასაბუთებდა.

შეიძლება მრავალი რამ ითქვას იმ სიბრძნეზე, რომელიც ჰყვაოდა გელათში, მეგობრებო, და როგორც მოგახსენეთ, სწორედ უპრეცედენტო იყო ეს ყოველივე და დავით აღმაშენებლის დარი მონარქიც ნამდვილად იმჟამინდელ მსოფლიოს არ ჰყავდა, არ ჰყავდა არც მისი განათლების დონით, მისი ცოდნის დონით და მისი მეცნიერული განსწავლულობით და არც, სხვათა შორის, იმით, რომ ის აერთიანებდა ორ უზენაეს ხელისუფლებას თავის თავში – სასულიეროს და საეროს. დასავლეთ ევროპაში ამ დროს ჩვენ ვხვდებით მონარქებს, რომლებმაც წერა-კითხვა ძლივს იცოდნენ. ერთადერთი გამონაკლისია ალბერტ დიდი, ინგლისის მეფე, რომელიც შეიძლება შეედაროს, მხოლოდ დავით აღმაშენებელს. ისიც მწიგნობარი იყო, მთარგმნელი იყო, მაგრამ როგორც მოაზროვნე, როგორც ფილოსოფოსი და განმმარტებელი საღვთო წერილისა ნამდვილად იმ დონის ვერ არის. ეს ყოველივე აირეკლა, როგორც გითხარით, ჯვაროსნების ქრონიკებში, დასავლეთ ევროპის იმჟამინდელ პოემებში, სადაც დავით აღმაშენებელი იხსენიება როგორც მეფე-ხუცესი იოანე და ჯვაროსნულ ქრონიკებში ნათქვამია პირდაპირ – მეფე დავითი, რომელიც ცნობილია ჩვენ შორის როგორც მეფე-ხუცესი იოანე. ეს ორი რამ გაერთიანებულია.

გრაალის ბარძიმის წამოღება საქართველოში ფაქტია და ჩვენის ვარაუდით გელათი უნდა ყოფილიყო სწორედ ის ცენტრი, სადაც იყო გრაალის ბარძიმი დასვენებული და ამიტომაც როდესაც მოიხსნება ის ხარაჩოები, აბრძანდით და ნახეთ – ყოველი ფრესკული ანსამბლი დაკავშირებულია ამ ბარძიმთან. მთავარანგელოზებს ხელში უჭირავთ ბარძიმი და მიჰყვებათ უკან პროცესია, მოციქულებს ხელში უჭირავთ ბარძიმი და ყველა მოტივი დაკავშირებული არის ამ ბარძიმთან და მაცხოვარს, რომელიც ხელში უჭირავს ღვთისმშობელს, შუბლზე თასი ახატია. ეს თასი არის სწორედ გრაალის ბარძიმი. ეს არის სიმბოლო თასისა, რომელიც უთუოდ აქ იყო წამოღებული და რაც აღნიშნული არის დასავლურ პოემებში და ჯვაროსანთა ქრონიკებში. ამ თასის აქ არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ეს იყო უმთავრესი ცენტრი ქრისტიანული კულტურისა შუა საუკუნეებში, უმთავრესი კერა სასულიერო და საერო განათლებისა. ვიმეორებ, სასულიერო და საერო არ იყო განყოფილი, არ იყო გათიშული და აქ საერო ცოდნასაც ისევე ღებულობდა ადამიანი, როგორც სასულიერო ცოდნას და ღებულობდა ამას ყოველივეს ერთ მალიანობაში, ერთ ჰარმონიაში.

აი ძირითადად ის ყოველივე, რაც უნდა მეთქვა თქვენთვის გელათის, როგორც სიბრძნის ცენტრის შესახებ, იმ დიდი ტრადიციების შესახებ, რომელიც აქვს კოლხეთს, ანტიური და ქრისტიანული სიბრძნისა, საქართველოს და მის უძველეს კულტურის ცენტრს, გელათს.

თვალისმომჭრელია სინათლე ბნელთათვის!

„დიდი სჯულის კანონი“ ამხელს!

ჩვენ, ყველამ კარგად ვიცით, რომ უფლის ბრძანებით მისმა წმიდა მოციქულებმა იქადაგეს სახარება, დააარსეს ეკლესიები და ხელი დაასხეს სამღვდელოებას, დაგვიდგინეს ეკლესიის დოგმატები, კანონები და მკაცრად აკრძალებს ამ დოგმატებიდან და კანონებიდან მცირედი გადახვევაც კი, როგორც გადაცდენა ჭეშმარიტების გზიდან და წარწყმედა. ხოლო დამრღვევნი კი, ყველა ეპოქისა და დროის მართლმადიდებელ ეკლესიაში, შეჩვენებას გადასცეს. წმიდა პავლე მოციქული ბრძანებს: „შეჩვენება მათ, ვინც უკუღმა ახარა: როგორც უკვე ვთქვით, ახლა კვლავ ვამბობ: თუ ვინმემ გახაროთ თქვენ არა ის, რაც მიიღეთ, შეჩვენებულ იყოს“(გალატ., **1: 8-9).**

*დიდი სჯულისკანონი, ნაწილი **IX:** „ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა ცოდვებისა და მსჯავრის შესახებ...”; თავი **XXXIII:** „სამღვდელო დასის წარმომადგენელთა ცოდვა თუ იცის ვინმემ და არ განაცხადოს:*

*ბასილი დიდის კანონი **71:** „ვინც მოწმე იყოს ყველა ზემოჩამოთვლილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, იმდენ ხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებული იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი”.*

ახლა, ვნახოთ, წმიდა პავლე მოციქულის, სხვა მოციქულებისა და მათგან ხელდასხმული წმიდა სამღვდელოების მიერ შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებულ ღვთაებრივ განჩინებათა საწინააღმდეგოდ, უკუღმა რას „გვახარებს“ საქართველოს სამღვდელოება თავიანთი ქადაგებითა და საქმეებით და თვალნათლივ დავინახავთ, თუ როგორ გმობენ ისინი და არაფრად მიიჩნევენ ამ კანონებს, ამ უწმიდეს განჩინებებს; თანაც, რა უსინანულოდ, ჯიუტად აგრძელებენ „უკუღმა ხარებას“, მიუხედავად ეკუმენიზმის ერესთა-ერესში მათზე წაყენებული ბრალდებისა და მრავალწლიანი მხილებისა.

ვეკითხებით მათ აპოლოგეტებს: რატომ იტყუებენ და წარიწყმიდავენ საკუთარ თავს ამ ერეტიკოსთა უსაგნო დაცვით მაშინ, როდესაც ისინი საკუთარი პირით აღიარებენ და ადასტურებენ საკუთარ უსჯულოებას**?!**: „ჩვენი ეკლესია წევრია ისეთი საერთაშორისო ეკუმენური ორგანიზაციებისა, როგორებიცაა „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“, „ევროპის ეკლესიათა კონფერენცია“ და ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენცია... ჩვენს ეკლესიას აქვს ორმხრივი დიალოგი რომის კათოლიკურ, ანგლიკანურ და სხვა ეკლესიებთან... ჩვენ მაინც მივაღწიეთ რაღაცას, კერძოდ იმას, რომ შეგვიძლია ერთად ლოცვა“ (ილია მეორეს საუბრიდან ერთ-ერთ ერეტიკოსთან, „ჯვარი ვაზისა“, **1988, N2,** გვ. **72/ #1).**

მართლაც, განსაცვიფრებელია, რომ ერესში მხილებული ეს სამღვდელოება არანაირ სინანულს, არანაირ შიშს ღვთისას არ განიცდიდეს ჩადენილ უმძიმეს ცოდვათა გამო. მხოლოდ სიჯიუტითა და ცბიერებით ცდილობს საკუთარი „სიმართლის“ დაცვას და არაფრად აგდებს ღვთაებრივ სამართალს. პირიქით, მიმდინარეობს მოციქულთა და წმიდა მამათა კოდექსის ერთგულთა ცილისმწამებლური დადანაშაულება სქიზმაში და საკუთარი თავის გამოცხადება მართლმადიდებლობის ნიშან-სვეტად. სად არის აქ ლოგიკა**?** თუ მართლმადიდებელ კანონებს უგულვებელყოფს ეს სამღვდელოება, მოძველებულად თვლის და არაფრად მიიჩნევს მის განუხრელ და უკომპრომისო დაცვას, მაშინ, მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიას რანაირად წარმოადგენს**?!** ასე ხომ რომის საყდარიც იყო ერთ დროს მართლმადიდებელი და სწორედ, მართლმადიდებელი დოგმატიკისა და კანონმდებლობის რღვევის შედეგად ჩამოყალიბდა ღვთისთვის საძაგელ და საშინელმწვალებლობად**?!**

თუკი მართლმადიდებელ კანონებს უგულვებელყოფენ, მაშინ, მართლმადიდებლურ ტაძრებს რატომღა ისაკუთრებენ**?** ე. ი. გამოდის — მხოლოდ ვერცხლის სიყვარულის გამო; შემოსავლის გამო ამოფარებიან სიწმიდეებს; მიწიერი კეთილდღეობის გამო უპყრიათ კვერთხები და მიტრები; შემოსილან ბრწყინვალე შესამოსლებით; უძვირფასესი მანქანებით ემსახურებიან საკუთარ ოჯახებს; ბრწყინვალე ტაძრები მდიდრულ სასახლეებად განუწესეს საკუთარ თავს; დააწესეს იქ ტარიფები — სულიწმიდის მადლით ვაჭრობენ და ფარისევლური ქადაგებებით მგელმტაცებლობენ და „აცდენენ

უმანკოთა სულებს"; მოციქულთა კანონების მაგივრად საკუთარი კანონები დაიდგინეს და მათ ანგარებიან მიზნებს როცა და როგორც აწყობს, კანონსაც ისეთს მოირგებენ; ღმერთის ყველა მოწინააღმდეგესთან (ცრუ რელიგიათა ლიდერები იქნებიან ისინი, თუ ტაძრების ამაოხრებელი საერო ხელისუფალნი), მათი გმობის საპასუხო განკანონების მაგივრად, უმალ, საერთო ენას გამონახავენ, სიყვარულით „აღინთებიან" მათი უსჯულოებისადმი, გვერდით მიუსხდებიან, ფეხქვეშ გაეგებიან... და ასე და ამგვარად, მარად უზრუნველ კეთილდღეობაში ცხოვრობენ. არადა მართლმადიდებელი ეკლესია ხომ ყოველთვის დევნილი იყო, ყოველთვის სისხლს ღვრიდა ჭეშმარიტების დაცვისთვის, მწვალებელთა მხილებისთვის წმიდანებს თავებს კვეთდნენ, ჯვარზე აკრავდნენ, ენას აჭრიდნენ, ცეცხლში წვავდნენ; იოანე ნათლისმცემელი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი, წმიდა გიორგი, იოანე დამასკოელი განა მწვალებელთა და ღვთის მტერთა მხილებისთვის არ აღესრულნენ?! ან ელია და ენუქი ანტიქრისტემ, განა, მხილების გამო არ უნდა მოკლას?!

დიახ, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ყოველთვის მოძულებულნი და დევნილნი იყვნენ ამა სოფლისაგან, ხოლო ეს ერესიერარქები არასოდეს იდევნებიან თავიანთი ეკუმენისტური სიყვარულისა და ყველა მწვალებლობასა და ღვთისმბრძოლობასთან მშვიდობიანი, მეგობრული თანაარსებობის გამო, რადგან აქვე, დედამიწაზევე მოიწყვეს, სხვა მწვალებელთა მსგავსად, სამოთხე; მათი სადარდებელი და სიძულვილის საგანიც მხოლოდ ერთადერთია: არ უნდა გაბედოს და ვინმემ მათ არ უნდა დაუშალოს მიწიერ სამოთხეზე ფიქრი და ზრუნვა. მათ მხოლოდ რწმენისათვის დევნილთა მიმართ გააჩნიათ მძულვარე განაჩენი: მოლა, ბაპტისტი, კათოლიკე, იეღოველი სიყვარულის ღირსია, ხოლო წმიდა მამათა და ეკლესიის მნათობ მოძღვართა სწავლების მორჩილნი დედაეკლესიიდან განკვეთილები, სქიზმატები და ყოველგვარი სასჯელის ღირსნი არიან... და როგორი სიყვარულითაც მოლებისა და სხვა სექტების მიმართ არიან აღვსილნი, ასეთივე სიძულვილით არიან აღვსილნი უფლის კანონთა ერთგულების მისწრაფების მქონეთა მიმართ! მოკლედ, მოძველებულად მიაჩნიათ უფლის კანონები. მოციქულები ბრძანებენ, შეაჩვენებდეთ მწვალებლებსო; ესენი კი, პირიქით, სექტათა ლიდერებს სიყვარულს ეფიცებიან და მათ ჯოჯოხეთურ საქმეებს „მაღალ მსახურებას" უწოდებენ; უფლის კანონები რასაც მკაცრად კრძალავენ, ერესიერარქები მათზე ლოცვა-კურთხევას და ნებართვებს უხვად გასცემენ.

და მაინც, ყველაფერს ის აჯობებს, რომ წმინდა სინოდის უმთავრესი დანაშაულის მტკიცებულებებს მოვუხმოთ და მივუსადაგოთ ამ დანაშაულს შესაბამისი კანონი; თანამიმდევრულად, ყველა ძირითად ასპექტში განვიხილოთ, რას კრძალავს უფლის კანონი და რა ქმედებებით გმობენ ამ კანონს ერესიერარქები, რათა საქართველოს ეკუმენისტური ეკლესიის აპოლოგეტთა ბოროტი ცილისწამება ავლაგმოთ. ხოლო ამის შემდეგ, თუკი კიდევ გაბედავს ვინმე, საეჭვო გახადოს შემცოდე ერესიერარქთა დანაშაული და მაინც დაიწყებს მათ უკანონო და უსაფუძვლო დაცვას, მაშინ, გამოდის, რომ იგი ეკამათება მოციქულებს, წმიდა მამებს, საკუთარი ჭკუა მათ სამართალზე მეტი სიბრძნით შემოსილი ჰგონია და თავისი კაცთმოყვარება — ღვთაებრივ მამათა სიყვარულზე მაღალი. ასეთი ურჩი გონებით ისინი ლუციფერის ამპარტავნებით შემოსილან და ნებაყოფლობით სურთ, რომ საკუთარი თავი შერაცხონ სულიწმიდის გმობით შემცოდე ერეტიკოს სამღვდელო იერარქთა რიგებში. ასეთ ადამიანთა წინაშე ვეღარაფერს გავაწყობთ, რადგან მათ ნებაყოფლობით საკუთარი თავისთვის თავადვე გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენი.

კანონიკური განაჩენი:

საეკლესიო კოდექსის ფონზე განვიხილოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს ილია მეორე - შიოლაშვილის სარწმუნოებრივი გადაცდომა, თუ დანაშაული და გამოვიტანოთ სრულიად მიუკერძოებელი კანონიკური განაჩენი: არის თუ არა იგი, მართლაც, სულ მცირე (მხოლოდ რამოდენიმე საეკლესიო კანონის თანახმად), სულიწმიდის მადლით განკვეთილი მართლმადიდებელი ეკლესიიდან? და რათა არანაირ პირად მოსაზრებაში, მიკერძოებაში არ დაგვედოს ბრალი, ამისათვის საჭიროა, გადავხედოთ მისი ლოცვა-კურთხევით გამოცემულ საპატრიარქოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს „ჯვარი ვაზისა"-ს ორიოდ ნომერს და განვიხილოთ, ამ უმაღლესი ერესიერარქის და მისი სინოდის მხოლოდ რამოდენიმე დანაშაულის შემცველი ქმედება მართლა არის თუ არა მძიმე სახის საეკლესიო კანონდარღვევა?! თანაც, სრული

სიცხადისათვის, ამ ბეჭდვით გამოცემებში აღწერილ სამართალდარღვევით ქმედებებში გავაკეთოთ კანონიკური ჩანართები, რომლის მიხედვითაც, ნათლად წარმოჩინდება, რომ საქართველოს საპატრიარქოს თავად ღმერთი სდებს ბრალს და არა ჩვენ, ადამიანები; ბრალს სდებს და განკვეთას გადასცემს იმ ანტიეკლესიური ქმედებებისთვის, რომელიც ცვლის და არყევს შვიდი მსოფლიო კრების მართლმადიდებელი რწმენის დოგმატებსა და წმიდა სამოციქულო და წმიდამამათამიერი კანონიკური განჩინებების უწმიდეს კოდექსს. და თუკი ღმერთია ბრალმდებელი, ვინ ბედავს, რომ ეჭვი შეიტანოს ღვთის მიერ ბრალდებულთა დანაშაულში?!

I დანაშაული

„საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მოწვევით **3/16**-დან **17/30** აპრილამდე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ვენის უნივერსიტეტის კათოლიკურ-თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პატროლოგიის პროფესორი, კათოლიკე მღვდელი, დოქტორი ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მისი თანმხლები პირი — აღმოსავლეთის ეკლესიათა ინსტიტუტის თანამშრომელი, ავგუსტინელთა ორდენის წევრი, ვიუცბურგის მონასტრის წინამძღვარი მამა ცელესტინ პატოკი. ვიზიტის პირველ დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ტაძრები და ესაუბრნენ ამ ეკლესიათა წინამძღვრებს, ხოლო საღამოს სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ დიდი სამშაბათის ლოცვას".

*ა) ამ დანაშაულის მსჯავრმდებელი მოციქულთა **45**-ე კანონი: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდელო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს".*

კომენტარი: ე. ი. წარსულში საქართველოს საპატრიარქომ საკუთარი ინიციატივით მოიწვია მწვალებლები ერთობლივი ლოცვისათვის და აღავლინა მათთან ლოცვა და მოციქულთა კანონით განკვეთისა და შეჩვენების მსჯავრი განიწესება. შეაქვს ვინმეს ეჭვი ამ დანაშაულში? ან ბედავს ვინმე ამ დანაშაულის მსჯავრმდებელ წმიდა კანონთან კამათს? ერესიერარქთა მორჩილ მრევლს თუ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ამ კანონიკურ განაჩენთან, მაშინ, განკვეთილთან და შეჩვენებულთან რა საერთო აქვს? ან როგორ ბედავს მოციქულთა ურჩ ერესიერარქთა მორჩილებას? ან არის რაიმე უკანონო ჩვენს ამ შეკითხვაში?

II დანაშაული

„დიდ ხუთშაბათს — ფეხთბანვის დღეს მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და მამა ცელესტინ პატოკი (არამართლმადიდებლები — ავტ.) თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში დაესწრნენ საღმრთო- სადღესასწაულო ლიტურღიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ხელიდან მიიღეს წმიდა ზიარება, ხოლო დიდ შაბათს — ლიტონიობის დღესასწაულზე საქართველოს ეკლესიის სასურველი სტუმრები (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.) სრულიად საქართველოს პატრიარქთან და სიონის ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად ღამის **12** საათიდან დილის **7** საათამდე აღავლენდნენ ლოცვებს ბრწყინვალე აღდგომის სადიდებლად".

*გ) ამ დანაშაულის მსჯავრმდებელი ანტიოქიის კრების **II** კანონი: „თუ ეპისკოპოსთა, მღვდელთა, დიაკონთა ან სხვა სამღვდელოთაგან აღმოჩნდება ვინმე უზიარებელთა (უზიარებლები ეწოდებათ მოუნანიებელ ერეტიკოსებს — ავტ.) მაზიარებელი, ისიც უზიარებელი უნდა იყოს, როგორც საეკლესიო კანონებში არევ-დარევის შემტანი".*

<u>კომენტარი:</u> საქართველოს საპატრიარქოს იერარქია მწვალებლებს სასურველ სტუმრებად აცხადებს (გაუგონარი მკრეხელობაა) და აზიარებს მათ. ამ დანაშაულის გამო კი მას განკვეთის და შეჩვენების სასჯელის გარდა უზიარებლობის სასჯელიც განეწესება. ასევე, არის ამ დანაშაულსა და მის მსჯავრდებელ კანონში რაიმე საკამათო?

III დანაშაული:

„პატრიარქმა ილია მეორემ ქ. ბერნში, ძველ კათოლიკურ ტაძარში, აღასრულა მწუხრის ლოცვა, რომლის შემდეგ უამრავი მრევლის წინაშე წარმოსთქვა ქადაგება" („ჯვარი ვაზისა", **1981**წ. **N1**).

*გ) ამ დანაშაულის მსჯავრმდებელი მოციქულთა **65**-ე კანონი: „თუ ვინმე სასულიერო პირი ან ერისკაცი ურიათა ან მწვალებელთა შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, სასულიერო პირი განიკვეთოს, ერისკაცი უზიარებლობით დაისაჯოს".*

IV დანაშაული:

„საქართველოში ვიზიტის დასასრულს ქართული ეკლესიის სტუმრები კვლავ შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელმაც კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების დაახლოების საქმეში სასიკეთო წვლილის შეტანისთვის ვენის უნივერსიტეტის პროფესორი მამა ერნსტ ქრისტოფ სუტნერი და ვიუცბურგის ტაძრის წინამძღვარი ცელესტინ პატოკი (არამართლმადიდებლები — ავტ.) დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით".

დ) ამ დანაშაულის მსჯავრმდებელი წმიდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინება: „ყველა მწვალებელი შეჩვენებულ-იყოს! ყველა მართლმადიდებელი კურთხეულ-იყოს! ყველა მწვალებლის საუკუნო იყოს წყევლა და დაუსრულებელი შეჩვენება!".

კომენტარი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი, წმიდა რუის-ურბნისის კრების განჩინებით დაუსრულებელ წყევლასა და შეჩვენებას გადაცემულ მწვალებლებს ოქროს ჯვრის ტარების უფლებით რომ დააჯილდოვებ, ამას რა ეწოდება? არის კი ასეთი პატრიარქი და ამ საქმეში მისი კვერის დამკვრელი სამღვდელოება მართლმადიდებელი?!

ერესში მხილებული პატრიარქის მორჩილთა ღვთის კანონის ურჩობის შესახებ ილია მეორეს მორჩილი სამღვდელოების დანაშაული:

ილია მეორეს მორჩილი სამღვდელო იერარქია ასწავლის სიცრუეს თავის მრევლს, რომ ერეტიკოსი პატრიარქისგან განდგომა ეკლესიიდან განდგომას ნიშნავს და უნდა მოხდეს მხილება ეკლესიის შიგნით, ამ პატრიარქისვე მორჩილებაში და რომ საჭიროა, ეკლესიის შიგნით მოხდეს მხილებაც და ყველა დარღვევის მოგვარება; ხოლო ვინც განუდგება თუნდაც ერეტიკოს პატრიარქს, ის მაინც განხეთქილების მოქმედია.

ესეც მორიგი თვალთმაქცობა და სრული უკანონობა რომ არის, ამის დასამტკიცებლად მივაშუროთ ეფესოს **III** მსოფლიო კრების **III** კანონს და ორგზისი წმიდა კრების **XV** კანონს.

ერეტიკოსი პატრიარქის და საერთოდ, ერეტიკოსი იერარქიის მორჩილების უკანონო ეკლესიოლოგიის ბრალმდებელი ეფესოს **III** მსოფლიო კრების **III** კანონი:

„ჩვენ ვბრძანებთ, რომ მართლმადიდებელი მსოფლიო კრების თანამოაზრე წევრნი სამღვდელოებისა არანაირი სახით არ იყვნენ დამორჩილებულნი მართლმადიდებლობისგან უკვე განდგომილ ანდა აწ განდგომად ეპისკოპოსებს".

კონსტანტინეპოლის წმიდა მოციქულთა ტაძარში შეკრებილი ორგზისი წმიდა დიდი კრების **XV** კანონი

„ის, ვინც განუდგება თავის მღვდელმთავართან ზიარებას იმ დროს, როდესაც იგი მწვალებლობას საჯაროდ ქადაგებს და აშკარად ასწავლის ეკლესიაში და საკრებო განჩინებამდე თავის თავს განაშორებს ასეთი ეპისკოპოსის ერთობისაგან, არამცთუ თავისუფალია კანონთამიერი განკანონებისგან, არამედ ჯეროვანი პატივის ღირსია, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისაკენ მისწრაფების მქონე, რადგან განიკითხა არა ეპისკოპოსი, არამედ ცრუეპისკოპოსი და ცრუმოძღვარი და ეკლესიის ერთობა განხეთქილებით კი არ დასერა, არამედ ეკლესია იხსნა განხეთქილებისა და გაყოფისაგან".

ორგზისი კრების **XV** კანონის ეპისკოპოს ნიკოდიმოს (მილაში)დალმატიელ-ისტრიელისეული განმარტება

„თუკი ვინმე ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა ანდა პატრიარქთაგან დაიწყებს მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო რაიმე ერეტიკული სწავლების ქადაგებას, მაშინ, დანარჩენი მღვდელმსახურნი და ეკლესიის მსახურნი უფლებამოსილნი, მეტიც, ვალდებულნი არიან, მაშინათვე გამოეყონ აღნიშნულ ეპისკოპოსს, მიტროპოლიტს თუ პატრიარქს; თანაც, ამისათვის არათუ არანაირ კანონიკურ სასჯელს არ ექვემდებარებიან, არამედ, პირიქით, ქებასაც იმსახურებენ, რამეთუ ამით მათ განიკითხეს არა ნამდვილი, კანონიერი მღვდელმთავრები, არამედ აღსდგნენ ცრუეპისკოპოსებსა და ცრუმოძღვრებზე; და არათუ განხეთქილება მოახდინეს ეკლესიაში, არამედ შეძლებისდაგვარად, ეკლესია იხსნეს განხეთქილებისა და გაყოფისაგან".

<u>კომენტარი:</u> მაშასადამე, არამცთუ უნდა განდგომოდა ქართველი სამღვდელოება ერესში ბრალდებულ ილია მეორეს, როგორც პატრიარქს, არამედ ვალდებული იყო, განდგომოდა, რაც კანონიერად მოიმოქმედეს მამა ბასილმა (მკალავიშვილი), მამა გრიგოლმა (კობახიძე), მამა ზურაბმა და მამა გელასიმ (არეშვილები) და მამა გიორგიმ (სხილაძე) და ამ კანონთა მიხედვით, მათ განხეთქილება კი არ შეუტანიათ ქართულ ეკლესიაში, არამედ, შეძლებისდაგვარად, ეკლესია იხსნეს განხეთქილებისა და გაყოფისაგან. ხოლო ვინც კი მწვალებელი პატრიარქის მორჩილებაში ყოფნას თვლის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად ყოფნად, მაშინ, იგი გმობს და არაფრად მიიჩნევს საეკლესიო კრების მოწვევამდე და ამ კრების სამსჯავროზე მწვალებელ მღვდელმთავართა განკანონებამდე მათგან განდგომის შესახებ ეფესოს კრებისა და ორგზისი კრების კანონთა განჩინებას.

V დანაშაული

„აქ, საღამოს ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. მორიგეობით გალობდნენ ანგლიკანები, შავკანიანები და ჩვენი დელეგაციის წევრები. გაიმართა კონცერტი (რელიგიური), შემდეგ მოვიდნენ შავკანიანები... ისინი გალობდნენ, რაც საერო სიმღერასაც მოგვაგონებდა; მთელი ტანით მოძრაობდნენ, რაც ცეკვასაც მოგვაგონებდა. ყოველივე ეს დიდხანს გაგრძელდა და დიდად კმაყოფილნი დავრჩით" („ჯვარი ვაზისა", **1983**წ., **N2**).

ე) სასულიერო დასისთვის შეუფერებელი ქმედების ბრალმდებელი ლაოდეკიის კრების **54**-ე და კონსტანტინეპოლის სამეუფეო პალატაში შეკრებილ მამათა **50-51** კანონები:

„მღვდლებმა და საეკლესიო დასის სხვა წარმომადგენლებმა არ უნდა უყურონ ქორწილში ან წვეულებაში წარმოდგენილ სანახაობებს, არამედ სანამ შემოვიდოდნენ მსახიობები, უნდა ადგნენ და წავიდნენ; სასულიერო პირთაგან ნურავინ მიეცემა შვება-თამაშს, სახუმარო სანახაობას, მგოსანთა როკვას, ხოლო თუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს... თუ ვინმე სასულიერო პირი იქნება იგი, განიკვეთოს".

კომენტარი: რა გასაკვირია, გარყვნილი (და აქედან გამომდინარე — გამრყვნელი) ფილმების რეჟისორებსა და მსახიობებს „პატრიარქი" ილია მეორე „მნათობთ საქართველოისანთ" რომ უწოდებს? რადგან „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს" (რომელიც დღესაც აერთიანებს ლესბოსელთა და მამათმავალთა სპეციალიზირებულ „ეკლესიებს") ასსამბლეის კონცერტებზე, თურმე, თავს იქცევდნენ შიშველი აბორიგენების უხამსი როკვით აღტაცებული საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წევრები. ისინი, ალბათ, ისევ განიცდიან შიშველ აბორიგენთა და მდიდარი ევროპული სექტების ქალ-ეპისკოპოსთა და სოდომისტ „მღვდელთა" გარემოცვაში დროსტარების ნოსტალგიას და დღეს, უკვე, გართობის ჟინს წმიდა ეკლესიის სამართლის განწესებების საწინააღმდეგო და ბერ-მონაზვნობისთვის ყოვლად შეუფერებელი უზნეო გმობით, ქართული კონცერტებით თუ კინოფილმებითღა იკმაყოფილებენ.

დასკვნითი ნაწილი

სიცრუეს ასწავლის, აგრეთვე, საკუთარ მრევლს ეკუმენისტი სამღვდელო იერარქია, რომ რადგან ილია მეორემ დატოვა „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო", ეს ვითომდაც ნიშნავს იმას, რომ ამით მან მოინანია მწვალებლობა და კვლავაც რჩება კანონიერი მღვდელმთავრის პატივში (ცალკე თემაა, რომ მას ჯერჯერობით არაფერი მოუნანიებია და სინანულიდან თავისი საქმეებით ძალიან შორს დგას). არადა „ე. მ. ს."-ს დატოვების შემდეგ კვლავაც ლოცულობდა მწვალებლებთან და ქართველი ერის უფრო მეტი განმწვალებლობა პან-ეკუმენისტური ქადაგებით და ქმედებებით უფრო აქტიურად გააგრძელა. როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირი კაცის მოკვლის შემთხვევაში (სასჯელის მოხდისა და სინანულის შემდეგაც კი) ვეღარ დაიბრუნებს ამ თანამდებობას ვერასოდეს, მითუმეტეს პატრიარქი, რომელმაც მრავალი სული მრავალი წლის განმავლობაში წარწყმიდა თავისი ერეტიკული საქმიანობით და გადასცა საუკუნო სიკვდილს, რანაირად შეიძლება (სინანულის შემთხვევაშიც კი) დარჩეს ეკლესიის საჭეთმპყრობლად?! ეს რომ ასეა, ყველაზე ცხადად გვიდასტურებს წმიდა გრიგოლ ნოსელის კანონი:

3) მწვალებელ პატრიარქთა საყდარზე დარჩენის უკანონო ეკლესიოლოგიის ბრალმდებელი გრიგოლ ნოსელის ეპისტოლეს პირველი კანონი:

„თუ ვინმე ქრისტეს სარწმუნოებას უარყოფს და ებრაულ სარწმუნოებას, მანიქევლობას ან სხვა ამათ მსგავს უღმერთობასა და ბოროტებას შეუერთდება თავისი სურვილით და საკუთარი ნებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ შერცხვება და მოინანიებს, სინანულის დროდ ჰქონდეს მთელი სიცოცხლე. იგი არასოდეს იქნება ღირსი, საიდუმლო ლოცვის დროს ერთან ერთად თაყვანი სცეს ღმერთს. არამედ უნდა ილოცოს მარტომ, ხოლო სიწმიდის ზიარება, მისთვის საერთოდ აკრძალულია".

კომენტარი: ვფიქრობთ, ის ფაქტი მაინც აღარ გახდება საკამათო, რომ პატრიარქი ილია მეორე, თავის სინოდთან ერთად, თავისი სურვილითა და საკუთარი ნებით შეუერთდა მანიქვლობაზე და იუდევლობაზე გაცილებით უფრო უარეს მწვალებლობას, ანუ როგორც მას ეკლესიაში უწოდებენ, ერესთა-ერესს — ეკუმენიზმს და თანაც, არა მხოლოდ რიგითი წევრი იყო ამ მწვალებლობის მსოფლიო საკერპო შესაკრებლის — „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი", არამედ პრეზიდენტი გახლდათ. გრიგოლ ნოსელის კანონის თანახმად იგი არა მხოლოდ პატრიარქი ვეღარ იქნება, არამედ სინანულის შემთხვევაშიც კი ეკლესიაში ხალხთან ერთად ლოცვაზე დგომის უფლებაც აღარ აქვს და უნდა ილოცოს მარტომ. ხოლო მისი ზიარება საერთოდ აკრძალულია!

ილია მეორესა და მისი სინოდის დანაშაულებრივ, ანტიეკლესიურ ქმედებებსა და მათ მსჯავრდებელ კანონებში არის რაიმე გაუგებარი ან თუნდაც, ოდნავი ეჭვის აღმძვრელი? განა, ცხადზე უცხადესი არ არის ეს ყველაფერი? მაშ, ვინ ბედავს და ეკამათება წმიდა ეკლესიის კანონებს?!

შეიძლება იკითხოს ვინმემ, აბა რა ვქნათ, სად წავიდეთ, რა მოვიმოქმედოთ ყველა ტაძარი თქვენგან მხილებული სამღვდელოების ხელშიაო, მათ ამაზე ვპასუხობთ წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ამ ეკლესიოლოგიით:

„დაე , თუნდ მთელი მსოფლიო ეზიარებოდეს ჭეშმარიტებისაგან განდგომილ პატრიარქთან ერთად, მე მაინც უკუნისამდე არ ვეზიარები მასთან ერთად, თუნდაც სრულიად მარტო დავრჩე! ” (წმ. მაქსიმე აღმსარებელი)

თუ ჩვენ გვსურს რომ ქრისტეს გზით ვიაროთ, საჭიროა ყველამ ერთად ორივე მიმართულებით მართლმხილებითად ვიბრძოლოთ და მოვითხოვოთ, როგორც ღვთისმბრძოლი საერო ხელისუფლების გადადგომა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, ასევე ღვთისმბრძოლი საეკლესიო ხელისუფლების, ერეტიკოსი პატრიარქის და მისი სინოდის გადადგომაც; უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი ძალისხმევა საეკლესიო კრების მოსაწვევად (ახალი რუის-ურბნისის) და სწორედ ამ კრების სამსჯავროზე უნდა მოხდეს საეკლესიო სამართლის მიხედვით ყველა უმაღლესი ერესიერარქის დასჯა განკანონებით, დაგმობა ერესთა-ერესის ეკუმენიზმის და ახალი წმიდა საეკლესიო ხელისუფლების აღსაყდრება, რომელიც განმართავს ჩვენს ტაძრებში საეკლესიო სამართლის თანახმად წმიდა ჭეშმარიტ მღვდელმსახურებას, შეუბღალავს ყოველგვარი ერესისაგან და ჭეშმარიტების სულით ღმერთის თაყვანისცემას და დიდებას! წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის მოკლებული ვიქნებით ღმერთის შეწევნას და მფარველობას, რადგან ერეტიკოსი პატრიარქის სასჯელით ყოველთვის დასჯილი იქნება ჩვენი ერიც. ღმერთი შეეწიოს ყველას ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე.

„დიდგორის” მართლმადიდებლობის განყოფილების პრესსამსახური

ШЕТКОБИНЕБА ТЕЛЕГРАФИТ
ТБИЛИСИ СИОНИС К НР 4
САКАРТВЕЛОС САПАТРИАРКО
КАТОЛИКОС ПАТРИАРКС ИЛИА 2-С

ТБИЛИСИ 8/I790I 96 26 I448

САКАРТВЕЛОС ЕКЛЕСИИС МРЕВЛИС ШЕГНЕБУЛИ НАЦИЛИ САМАРТЛИАНАДАА АГШФОТЕБУЛИ ИМИТ РОМ А Ц 25 26 ИБНИСС СУЛТМОПЕНОБИС ДГЕСАСЦАУЛЗЕ ТКВЕН МОИЦВИЕТ МАМАТМАВАЛИ САМГВДЕЛО ПИРЕБИ АНАНИАШВИЛИ МАХАРАДЗЕ ДЖАФАРИДЗЕ КОЧЛАМАЗАШВИЛИ РИТАЦ ЦАБИЛЦЕТ СИОНИСА ДА СВЕТИЦХОВЛИС ТАДЗРЕБИ АМИТ ТКВЕН ЦДИЛОБТ МАМАТМАВЛОБИС ЛЕГАЛИЗАЦИАС САКАРТВЕЛОС ЕКЛЕСИАШИ РАСАЦ КАРТВЕЛИ САЗОГАДОЕБА АРАСОДЕС АР ШЕЕГУЕБА СУЛИЦМИНДИС НАЦВЛАД АМ ЦМИНДА ДГЕС ТКВЕН МОИКВАНЕТ СОДОМИСА ДА ГОМОРИС СУЛИ РАСАЦ ТКВЕН АРЦ УФАЛИ ДА АРЦ ЭРИ АР ГАПАТИЕБТ ВАЦХАДЕБ САСТИК ПРОТЕСТС МАМАТМАВЛОБИС ЛЕГАЛИЗАЦИИС ЦИНААГМДЕГ ШЕМТХВЕВАШИ МИВМАРТАВ УФРО СЕРИОЗУЛ ЗОМЕБС = ЗВИАД ГАМСАХУРДИА

Копия верна.

Секретарь Католикоса-Патриарха
Грузии: /Мшвидобадзе Гр.Н./

ზვიად გამსახურდიას მიერ 1983 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისადმი გაგზავნილი დეპეშა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30

№223

28.06.83.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს
რწმენისა და საქმეთა სსრ-ში

ძვირფასო ამ ბატონებო

მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ბ.კ. ითხოვს მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს. იგი ლანძღავს საბჭოთა ხელისუფლებას და ეკლესიას, რაც დაუშვებელია სსრკ კონსტიტუციით. ამასთან ერთად წარმოგიდგენთ მის მიერ ბოლოდროინდელ დროს ასრულებულ ასლს.

ვთხოვთ მიიღოთ შესაფერისი ზომები მსგავსი მოქმედებების აღსაკვეთად.

დანართი: დეკანოზის ასლი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიერ ზეპიდ გამოსახურდიას დეკანოზის პასუხად რელიგიის საქმეთა საბჭოში გაგზავნილი წერილი

ო ე ბ ი

№ 1604
[illegible]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის 1977 წლის 16 დეკემბერს დღის 12 საათზე შეიკრა სრულიად საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ:

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია;
2. ბათუმ-შუახევლელი და ყვარლელის მიტროპოლიტი ნიკანორი;
3. ფოთი-ხონელის მიტროპოლიტი ბენიამინი;
4. [illegible] მიტროპოლიტი [illegible];
5. [illegible] ეპისკოპოსი [illegible];
6. [illegible] ეპისკოპოსი [illegible] და
7. [illegible] ეპისკოპოსი ილარიონი;
8. სინოდის [illegible] [illegible] [illegible] კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი ტ. [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მოსაყდრე მიტროპოლიტ ილიას მისკენ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
2. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
3. [illegible] [illegible] [illegible] [illegible].
4. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად. სოხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

ალავერდელი ეპისკოპოსი ბრიგელი ასახელებს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად, სოხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

მეუფე ბიბილი ეპისკოპოსი [illegible] არ ასახელებს პატრიარქად ასარჩევ კანდიდატს.

მიტროპოლიტი გაიოზი არ სცნობს სინოდის სხდომას კანონიერად.

მიტროპოლიტი რომანოზი არ ასახელებს კანდიდატს და ამბობს, რომ აირჩიონ ახალი მოსაყდრე.

მიტროპოლიტი თეონა-წყაროელი ბინობი ასახელებს კანდიდატად კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს სოხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია თანხმობას აცხადებს მის კანდიდატად დასახელებაზე.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი	(ილია)
თეონა-წყაროელი მიტროპოლიტი	(ბინობი)
მანგლელი ეპისკოპოსი	(გიორგი)
ალავერდელი ეპისკოპოსი	(ბრიგელი)
სიმარტივით აღვიარებ წმიდა სინოდზე არავინ დამისახელებია	(ეპისკოპოსი ილარიონი ბიბილი)

ასლი ფლანგან სწორია:

საპატრიარქოს მდივანი: (ბ.მშვიდობაძე)

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში ზვიად გამსახურდია

მახვილი მხილებისა

შეკითხვა: ბატონო პრეზიდენტო! თავისთავად გასაგებია ქართველი მორწმუნე საზოგადოების სურვილი (მით უმეტეს, ყოველივე მომხდარის შემდგომ), გაიგოს თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცისა და პრეზიდენტის კომპეტენტური აზრი იმის თაობაზე, თუ ამჟამად მართლმორწმუნე მამულიშვილმა ღვთისა და ერისადმი სრულყოფილი მსახურებისთვის რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს.

ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. რა იყო პირველ ქრისტიანთა ცხოვრება, თუ არა უღმერთობისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა? ქრისტიანობამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, რამეთუ საღვთო წერილი გვასწავლის: "საჭურველად გარე მოგადგეს ჭეშმარიტებაი მისი", ხოლო სიმართლისათვის დევნა სახარების პირველი ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი, არც ქრისტიანია. ამასთან, ყოველი დროის ტირანები ცდილობდნენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ. როგორც ცნობილია, მოციქულები მოგვიწოდებდნენ ხელისუფლებისადმი დამორჩილებას, რამეთუ, მათი თქმით, ყოველი ხელისუფლება ღვთისგანაა. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ მოციქულთათვის სიტყვა „ხელისუფლება" ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან.

რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს დღეს ჭეშმარიტად მართლმადიდებელმა და საკუთარი ერის მოყვარე ქრისტიანმა? მთავარზე უმთავრესია, ბრძოლა ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღორძინებისათვის, რასაც მრავალ დაბრკოლებას უქმნის ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული ანტი-ქრისტე. ქრისტიანობა არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ საქმით, ბრძოლა სატანასთან, როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ პლანში. უაღრესად საჭიროა ნამდვილი მოძღვარნი, რომელთაც ძალუძთ არა მხოლოდ ლოცვა და ქადაგება, არამედ ეშმაკეულ ადამიანთა განკურნება, მათი სულიერად განწმენდა და გადარჩენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგზორციზმი ახასიათებდა არა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას, არამედ მართლმადიდებლურსაც. ამ თვალსაზრისით უნდა ამოქმედდეს ბასილი დიდის კურთხევანი, თუ, რასაკვირველია, ეკლესიაში შეხიზნულმა ანტიქრისტეს მსახურებმა ეს ტექსტები არ გაანადგურეს. გვახსოვდეს, რომ ასურელი მამები, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები უდიდესი ეგზორცისტები იყვნენ, რაც ჩანს მათი ცხოვრებიდან; ასეთები იყვნენ, აგრეთვე, ჩვენს დიდ მღვდელმთავართა შორის უმეტესნი. მღვდელმთავრის ჩაცმულობაში ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია "ენქერი", რომლის დანიშნულება დღეს მრავალმა სამღვდელო პირმაც აღარ იცის. ენქერი არის სულიერი მახვილი, რომლითაც მღვდელმთავარმა სულიერ პლანში უნდა განგმიროს ბოროტი არსებანი და დათრგუნოს ისინი ამ დედამიწაზე, დღეს კი, სამწუხაროდ, ჩვენ მღვდელმთავართა უმრავლესობა ამ ბოროტ არსებათა მონებად ქცეულან თავად! აი, რაზე უნდა დავცეთ განგაში უწინარეს ყოვლისა, აი, რას უნდა ვუშველოთ! სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღსდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია.

ისტორიულად მრავალგზის დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის გადარჩენისა და აღორძინებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ეკლესიის განწმენდაა საჭირო. მაგრამ, როგორც გვეჩვენება, ჯანსაღი რელიგიური წრეების მხრიდან ჯერჯერობით შედარებითი სიფრთხილე იგრძნობა რჯულის მოღალატე იერარქთა მხილების საქმეში, რაც გამოწვეულია სავსებით გასაგები და გასათვალისწინებელი მიზეზებით. საქმე ის გახლავთ, რომ ფარისევლობაში დაბრძენებული მოწინააღმდეგე (თვით საპატრიარქოს მესვეურთა ხელშეწყობით) ცდილობს ცალკეული უჯერო სასულიერო პირისა და ეკლესიის გაიგივებას რელიგიაში გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში, რათა მათ ამით ერთის სიძულვილით მეორეც შეაჯავრონ, კაცობრივი ცოდვა ღვთაებრივ სიწმინდეს გადააბრალონ...

შეკითხვა: როგორ უნდა მოხერხდეს, რომ მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზე უკეთურნი ბოლომდე ვამხილოთ და ამავე დროს საზოგადოება ჭეშმარიტი, მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ არ დავაბრკოლოთ? ამისთვის მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ რა უნდა მოიმოქმედოს?

მინდა შეგახსენოთ ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისა და ჰაგიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ტერმინი „მართლმხილება", რაც აგრეთვე, ქრისტიანული პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. მაცხოვარი ჩვენი მართლმხილების გამო აცვეს ჯვარს, მართლმხილების ძალამ, ღვთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით და ცად აღამაღლა. მწიგნობართა, ფარისეველთა და ცრუ მღვდელმთავართა მხილება იყო მისი ქადაგებების ძირითადი მიზანი. ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან; ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის, ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობაა. ეკლესია იდეაში არსებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარიც რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავისი მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავის გადაცმული მსტოვრები შეაგზავნოს ტაძარში, ეკლესიაში კი ვერ შეაგზავნის. "ეკლესიის ისტორიას შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტების ისტორია", ამბობდა პასკალი. "ის დევნულებანი, რომელნიც დაატყდნენ თავს ეკლესიას, გვანან იმ ქარიშხლის მოქმედებას, რომელიც ებრძვის ჩაუძირავ გემს". აი, ეს ეკლესიაა დაფუძნებული „კლდესა ზედა", ხოლო კლდე – საღვთო ჭეშმარიტებაა, რაც უფრო მიემსგავსება ფიზიკური ტაძარი ეკლესიას, რაც უფრო მიუახლოვდება ამ იდეას, მით უფრო სრულყოფილია იგი". ღვთის ტაძარში მოკალათებულ ანტიქრისტეს მსახურთა მხილება კი ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა. ამის გამო საუბრობენ ანტიქრისტეს მსახურნი მხოლოდ ტაძარზე (Templum). ეკლესიაზე კი არას ამბობენ, რამეთუ მათთვის მთავარია ნივთიერი და არა სულიერი. სულიერ ეკლესიას კი ებრძვიან აშკარად თუ ფარულად. ამიტომ არის მათი ღმერთი თხის რქებიანი და ჩლიქებიანი ბაფომეტი, ანდროგენული ურჩხული, რომელსაც თავზე ჩირაღდანი ადგას და რომელსაც ისინი უწოდებენ "Templum omnium hominum pacis abbat" („ყოველთა კაცთა მშვიდობის ტაძრის მამა"). "თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ" – ეუბნებოდა იესო ქრისტე ასეთ ადამიანებს. ჩვენთვის კი მამაა ღმერთი, ეკლესიის თავი და არა ცრუ ტაძრის კერპი. ამისთვისაა საჭირო ქრისტიანული განმანათლებლობა, რომელიც განუმარტავს ყოველივე ამას გაუთვითცნობიერებელ ხალხს. მიწიერი ეკლესია, ამქვეყნიური ადამიანებისაგან შემდგარი, უნდა ბაძავდეს ზეციურ ეკლესიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ თითქმის აღარ არსებობს. მიწიერი ეკლესია დაპყრობილია უღმერთოთა ძალების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს საქართველოში აღდგეს მთავარი ეკლესია.

„ცრუ მოციქულნი, მზაკვარნი ღებულობდნენ სახეს ქრისტეს მოციქულისას. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ სატანაც ღებულობს ნათლის ანგელოსის სახეს... მაგრამ მათი აღსასრული საქმეთა მათთაებრ იქნება" – გვასწავლის პავლე მოციქული. მაცხოვარიც ტაძარში ამხელდა ქვაბავაზაკებს. ალბათ, გახსოვთ, თუ ვით აღლესა გრიგოლ ხანძთელმა "მახვილი მხილებისა", ხოლო, უფრო მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა მთელი საეკლესიო კრება მიუძღვნა ასეთ მართლმხილებას. ამის გარეშე დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ერის განწმენდა და აღორძინება.

რაც შეეხება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას, როგორც მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ნაწილი, იგი კვლავ ღვთის მადლის მატარებლად რომ დარჩეს, ამისათვის *საჭიროა „ტაძრის მსახურთა" კეთილმსახურება, ე. ი. ჩვენ შემთხვევაში – ბოროტმსახურთაგან ტაძრის განწმენდა, რასაც მხოლოდ სრული საეკლესიო კრება ახორციელებს, მთელი მართლმადიდებელი ერის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით.*

მართლმადიდებლობას მუდამ ახასიათებდა შემწყნარებლობა სხვა რწმენათა მიმართ. მართლმადიდებლობამ არ იცოდა ინკვიზიციის კოცონები, მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, იმპერატორები და მეფეები უფრო დარწმუნების გზას მიმართავდნენ. ანტიქრისტეს დღევანდელმა მძლავრობამ და საყოველთაო აპოსტასიამ (რაც ნაწინასწარმეტყველია საღვთო წერილში) მრავალი დააბნია და მოსწყვიტა ჭეშმარიტ რწმენას. სამწუხაროდ, მრავალი დადებითი პიროვნება, კარგი მამულიშვილი ან უღმერთოა, ან მცირედ მორწმუნე. ასეთებს უნდა შევაშველოთ ხელი დახმარებისა, ისინი არ უნდა შევიძულოთ, მოთმინებით უნდა ვიზრუნოთ მათი გადარჩენისათვის, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევისათვის. გვახსოვდეს, რომ მაცხოვარიც და მოციქულებიც დიდი ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. ისინი საბოლოოდ არ წირავდნენ არავის ღვთისა და სიკეთის აქტიური მტრების გარდა.

შეკითხვა: დღევანდელი სულიერი სიდუხჭირის ჟამს შეძლებს თუ არა ერი, რომ მისმა ძირითადმა ბირთვმა ეკლესიური და ტრადიციული მართლმადიდებლური ცხოვრებით იცხოვროს, სახელმწიფო კი ამგვარი საზოგადოებრივი ყოფის დამცველი გახდეს, თან ისე, რომ არ შეიზღუდოს არამართლმორწმუნეთა ადამიანური უფლებები?

გავიხსენოთ ქართველი ერის სიბრძნე: „სიბრძნე ებრძვის სიბრიყვეს უთოფოდ და უზარბაზნოდ". ეს უაღრესად ქრისტიანული მიდგომაა. არამართლმორწმუნეებს იდეურად უნდა ვეკამათოთ, მათი ადამიანური უფლებების პატივისცემა ჩვენ მხოლოდ გვაძლიერებს. რაჟდენ მოწამეს, ევსტათე მცხეთელსა და აბო თბილელს არავინ ახვევდა თავს ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ ისინი ქრისტეს მოწამეები გახდნენ. ამაში იყო ძალა ჩვენი სარწმუნოებისა. სხვანი კი ცეცხლით და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას. თორმეტმა ჭეშმარიტმა მორწმუნემ თითქმის მთელი მსოფლიო მოაქცია თავის რწმენაზე. მაცხოვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკეთუ გვექნება სარწმუნოება თუნდაც ქრთილის ოდენი, მთას რომ ვუბრძანოთ, აღიძრება და ზღვად შთაიფხვრება". რწმენას სასწაულები ძალუძს.

1993. 27. თებერვალი

ცრუ წითელი სამღვდელოება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

„შექმნეს ცრუ წითელი სამღვდელოება, რამაც თავი იჩინა ყველაზე მეტად პუტჩის ავბედით დღეებში. ნაცვლად იმისა, რომ იერარქები ჯვრით ხელში ჩამდგარიყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურთიერთდაპირისპირებულ მოძმეთა შორის, ისინი ანტიქრისტეს მხედრობას ამოუდგნენ მხარში – ეკლესიები იარაღის საწყობებად მისცეს, ქაშუეთის ტაძარი ბლინდაჟად აქციეს, საიდანაც ჭურვებსა და ტყვიას უშენდნენ კანონიერ ხელისუფლებას; წმინდა პანტელეიმონის ტაძარში სნაიპერები ჩასვეს და ნაღმტყორცნები ჩადგეს, რომელნიც „კოლხურ კოშკს" უშენდნენ. ზოგიერთი სამღვდელო პირი ავტომატით ხელში იბრძოდა პუტჩისტებთან ერთად. რამდენიმე პატიოსანი სამღვდელო პირი კი, რომელმაც არ უღალატა კანონიერ ხელისუფლებას და ლოცვითა და ქადაგებით ამხნევებდა უზენაესი საბჭოს შენობაში გამომწყვდეულ მის წარმომადგენლებს, პუტჩისტმა პატრიარქმა განკვეთა და გააძევა საქართველოდანაც კი. ასე რომ, სუკ-ი წინ იხედებოდა, როდესაც ცრუ სამღვდელოებას ქმნიდა. წითელი სამღვდელოება სუკ-ის ყველაზე საშინელი დამკვრელი ძალაა"

ზვიად გამსახურდია:

გაქცევა : მთვარის ნიშნობა : ციკლიდან „ტერენტი გრანელი"

ღამე დააბოტებს დაუსჯელ მკვლელივით.
ციხის გალავანი საფარად იფარა,
შენ ჩუმი კანკალით გარიჟრაჟს მოელი,
როგორც ნამკდვრევის სუნს სვავი უტიფარი.

და ყოველი წუთი, ვით ბასრი ბებუთი,
გისერავს გულღვიძლს და გიშფოთებს სულს,
ითვლი მოჩვენებებს მუნჯი გაშმაგებით,
რისხავ ბედისწერას და ღამეს კრულს.

ისმის დერეფანში სიკვდილის ნაბიჯი,
ახლოა კედელი, ნაპრალი ვიწრო,
ვაჰ, თუ ბედისწერამ აგიგდო აბუჩად
და სულთმხუთავმა ზედ კართან მოგისწრო!

საცაა წაგასწრებს ცისკარი თარსი,
დღე ვით მებადრაგე, წაგიჭერს არტახებს,
მაშინ არ გიტირებს არავინ მკვდარსაც კი
და შენს გვამს ჩაიკრავს სანაგვე პარტახი.

შენ ძრწოლით სინჯავ იმედის ჩახმახს,
ხრიალებს ღამე, ვით მომაკვდავი,
ბინდი ჩახვევია სახრჩობელას ახმახს,
და ბილწ მოლოდინში ნერწყვს ყლაპავს ყვავი.

აჰა, გადაცოცდი, საცაა ინათებს,
დილას გაუშლია ბურუსის თმები,
ორმო გიმკითხავა მკითხავმა წინათვე
და მაინც იმედით წინასწარ თბები.

გადადგი ნაბიჯი და მუხლი გებმება,
თითქოს უარგყოფსო ქვეყანა ვრცელი,
შენს ირგვლივ ასტეხეს დგრიალი ჩექმებმა
და კვლავ დაგეწია სიკვდილის ცელი.

გათავდა ყოველი... გაგწირა აისმა,
შავად აღმართულა ციხის ყრუ ღობე,
იცინის ცხაური და მალე მოისმენ
სიკვდილის უკანასკნელ ცნობებს.

ზვიად გამსახურდია

იგავები

ორი ლომის ამბავი

ერთხელ ცირკის მხეცები ზოოპარკში ჩამოატარეს, სურდათ ენახათ, თუ ვით შეხვდებოდნენ მათ გალიაში დამწყვდეული თვისტომნი. ერთი ყველაზე სამაგალითოდ გაწვრთნილი ლომი თავის მოძმის გალიასთან შეჩერდა და უთხრა: „ეჰ, რარიგ მებრალები, ძმობილო, აქ ჩამწყვდეული, გაძვალტყავებულხარ, თვალებში შუქი ჩაგქრობია ნიადაგ ერთ ადგილას გდებით და გალიაში წრიალით. წამოდი ჩვენსას ცირკში, ჩვენი ბატონი კარგად გაჭმევს, არაფერს მოგაკლებს, საზოგადოებაც დიდი გეყოლება. აბა, აქ გდება რას მოგცემს, შენს სანატრელ უდაბნოში, ხომ იცი, მაინც არავინ გაგიშვებს, რახან აქ მოხვედი, სიკვდილამდე აქ უნდა გალიო დღენი შენნი".

„ეჰ, ძმობილო, რარიგ გადაუგვარებიხარ კაცს, თავისუფლება მონობაზე რომ გაგიცვლია. ისევ ის მირჩევნია, აქ ვიჯდე მოწყენით, ვიდრე კაცის მონა ვიყო და მისი მათრახის ტკაცუნზე ვიხტუნო და ვიჯამბაზო. აქ ის მაინც ვიცი, რომ არავის მონა ვარ და იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიძუხო გულდარდიანმა და უდაბნოს სევდა განვიქარვო, შენ კი ხმის ამოღებაც აკრძალული გაქვს, რათა შენმა გრუხუნმა ცირკის მაყურებლები და მომსახურენი არ შეაშფოთოს. ჩვენი მოდგმა მაინც გადაშენების გზაზეა დამდგარი, მალე ასპარეზი ლომ-ვეფხვთა ნაცვლად ვირთხებსა და ტურა-მელიებს დარჩებათ, ასე, რომ, აქაც მშვიდობიანად დავლევ ჩემს დღეებს".

თევზები და გველთევზა

იყო ერთი გველთევზა, რომელსაც ფარფლ-ქერეჭი თევზისა ჰქონდა, შხამი და საზრიანობა კი – გველისა. გველთევზა ნაპირზე ცხოვრობდა და ხანდახან თუ ჩააკითხავდა წყალში თავის მოძმეთ. თევზებმა უთხრეს: „რა გინდა მაგ ხრიოკ ნაპირზე, გადმოსახლდი ჩვენთან, წყალში, განა ვერ ვხედავთ, ვით იტანჯები მანდ უწყლობით, შენ აქ გვჭირდები თევზებს, შენი ადგილი აქ არისო".

განა წყალი არ მირჩევნია ამ უხეირო სამკვიდრებელს, წყლისათვის დავბადებულვარ, მაგრამ ამ ნაპირზე თქვენთვის სახიფათო, ვერაგი მეთევზეები რომ მომრავლებულან, ჯერ იმათ უნდა დავუგესლო ფეხები, რათა ვეღარ შესძლონ წყალში ბადის გადმოსროლა და თქვენი ერთიანად განადგურება. როდესაც მათ ფეხს ამოვუკვეთავ ამ ნაპირზე, მეც თქვენთან გადმოვალო წყალში საცხოვრებლად. მანამდის კი, მეც რომ თქვენსავით წყალში ვიცხოვრო ნიადაგ, შხამს დამიკარგავს წყალი და მტრებს ვეღარ მოგაშორებთ, ამიტომაც გამიწირავს თავი და აქ, ამ ნაპირზე ვარ ჩასაფრებული, ფათერაკი რომ აგარიდოთ. თქვენმა და ჩემმა შემოქმედმა გველად იმადაც მაქცია, რომ თქვენ წყალში იცხოვროთ და განამრავლოთ თევზთა მოდგომა, მე კი აქედან უნდა გიყარაულოთ. საზიანოა ეს ჩემთვის, მაგრამ ჩვენი მოდგომის გადასარჩენად ასე არისო საჭირო".

არწივი და ბაყაყები

ერთ წუმპეში ბაყაყები ამბობდნენ, არასოდეს გვინახავსო არწივის ფრენა. ამის მიზეზი შემდეგი იყო: რამდენჯერაც დააპირა არწივმა აფრენა, ისეთი შხუილი შექმნეს მისმა ფრთებმა, რომ ელდანაცემი ბაყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ. შემდეგ კი, როდესაც ისინი თავს ამოჰყოფდნენ წყლიდან, არწივი უკვე ღრუბლებში იყო. ამის გამო ბაყაყები ამტკიცებდნენ, არწივმა საერთოდ არ იცისო ფრენა (სამაგიეროდ მათთვის ფრენის ხელოვნების მწვერვალი იყო ჭაობის ნემსიყლაპია, რომელიც ჭაობის ზედაპირს არ სცილდება და ამის გამო „გველისთავის მპარსველსაც" უწოდებს ხალხი).

ბრმების ქვეყანა

ბრმათა ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი თვალხილული ექიმი, რომელმაც იცოდა ბრმათა მკურნალობა. ნაცვლად იმისა, რომ მისთვის კლინიკა მიეცათ, იგი შინ ჰყავდათ დამწყვდეული და არ აძლევდნენ უფლებას ხალხში გასულიყო და უსინათლოთათვის ემკურნალა, ვინაიდან ამ ქვეყნის ხელმწიფე და დიდებულნი არწმუნებდნენ ხალხს: „თქვენ თვალხილულნი ხართ, ხოლო ის ერთი მეტიჩარა, რომელიც ვითომდაც თვალის ახელას გპირდებათ, თავად არის ერთადერთი ბრმა ჩვენს სამეფოში და სახლშიც იმის გამო გვყავს დამწყვდეული, რომ თვალხილულები არ დაგვიბრმაოს და გარდა ამისა, თავად არ გადაიჩეხოს სადმე და არ დაშავდესო".

ვიმეორებ, ყოველივე ეს ჩვენი
სამღვდელოების,
განუვითარებლობისა და
გაუნათლებლობის
აუცილებელი შედეგია.
უცოდინარობა გონების
სიბრმავეა, თვალის სიბრმავეზე
უარესი და ბრმა სხვას თვალს
ვერ აუხელს, წინ ვერ გაუძღვება.

ილია ჭავჭავაძე (VII, 17-22)

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: -

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! -
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი, რაც კი არსებობს ირგვლივ, -
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად -
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი!

მუხრანი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” მეათე ყრილობის მასალებიდან

2017 წლის 11 ივლისს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” მორიგი მეათე ყრილობა:

ყრილობაზე მოისმინეს განვლილი პერიოდის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად;

ყრილობაზე დამტკიცდა კავშირის ახალი პროგრამა;

ყრილობამ პრეზიდიუმის წევრებად ერთხმად აირჩია:

ნუკრი ბაღდავაძე, რატი გაგოშიძე, ნოდარ კიკნაძე, მირიან მაღრაძე, მალხაზ მუსერიძე, დავით კაპანაძე და თორნიკე ამაშუკელი;

ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების”

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, ხოლო მოადგილედ ბატონი რატი გაგოშიძე;

ყრილობამ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების”

საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში ერთხმად აირჩია: ნათია მუკბანიანი (თავმჯდომარე), ზარამიძე მანანა (თავმჯდომარის მოადგილე), ხათუნა აგლაძე, მარი ხუციშვილი და დავით ევგენიძე.

ნუკრი ბაღდავაძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების”
თავმჯდომარე,
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

რატი გაგოშიძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების”
თავმჯდომარის მოადგილე,
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

კავშირის პრეზიდიუმის წევრები

ნოდარ კიკნაძე

მირიან მაღრაძე

მალხაზ მუსერიძე

დავით კაპანაძე

თორნიკე ამაშუკელი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი- ეროვნული აღორძინების“ განცხადება

ძვირფასო მეგობრებო და თანამებრძოლებო!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი- ეროვნული აღორძინების“ ინიციატივით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვით იწყება საერთო-სახალხო თანხმობა-შერიგების პროცესები საქართველოში! გამოდინარე ამ ინიციატივიდან, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“, საწყის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, წესდების შესაბამისად, აცხადებს კავშირში ღია, საერთო, თავისუფალ მიღებას, ასევე, კავშირის წევრთა და მხარდამჭერთა რეგისტრაციას და ორგანიზაციის ახალ წევრებთან ერთად, ამ პროცედურის გავლისაკენ მოუწოდებს ყველა მოქმედ ნამდვილ წევრსა და მხარდამჭერებს, ასევე კავშირის ყოფილ, მათ შორის ადრეულ პერიოდებში გასულ, თუ გაყვანილ წევრებს, რათა, მათივე სურვილის შესაბამისად, განხორციელდეს მათი კავშირში დაბრუნება-აღდგენა წესდების შესაბამისად.

დიახ, შემოერთებისა და კვლავ გაერთიანებისათვის მოგმართავთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა იმ წევრს, რომელთაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზითა, თუ საბაბით დატოვეთ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ რიგები, მაგრამ სამშობლოს სიყვარულთან ერთიანობაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იდეა კვლავ თქვენშია.

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ახლა ბრძოლის იმ ეტაპზეა, როცა მას აგრერიგად სჭირდება ერთობა.

ვფიქრობთ არ არსებობს ყოფილი ,,ჰელსინკელი“, ისევე როგორც არ არსებობს ყოფილი ქართველი და მამულიშვილი.

ამიტომაც, ქალბატონებო და ბატონებო, მამულიშვილნო და თანამებრძოლებო, მოგიწოდებთ: კვლავ დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და ერთად განვაგრძოთ ბრძოლა ლეგიტიმური, ეროვნული ძალების აღსადგენად, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იდეის გასავრცელებლად და დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისათვის ბრძოლათა მოსაგებად, რაოდენ, მომავალი არ გვაპატიებს ერთმანეთისგან შორი-შორს დგომას და უმოქმედობას!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“ ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან ერთიანობაში ერთხელ უკვე დაიხსნა საქართველო მარწუხებისგან და ახლა დროა, მეორედ და სამუდამოდ დავამარცხოთ ის ძალა, რაც ასე აუძლურებს ჩვენს ქვეყანას!

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება # P17000134/0-1 (30/08/2017 16:25:30)

რეგისტრაციის შესახებ

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა პირობითი განცხადება NP17000134 (რეგისტრაციის თარიღი: 30.08.2017წ.) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

სახელწოდება: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204907716

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1.რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“;
2.ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
ნინამდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 ::: www.reestri.gov.ge

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მასალებიდან

საკითხი: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" X ყრილობის შემდგომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში ხელახალი რეგისტრაციის გავლის შედეგები და აქედან გამომდინარე, ფაქტობრივ გარემოში (საქართველოში) კავშირის შემდგომი ფუნქციონირების სტატუსისა და ამასთან ერთად, სამართლებრივ-იურიდიულ გარემოში (საქართველოს რესპუბლიკა), კავშირის სტატუსის, ფუნქციონირების, კავშირის პროგრამისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების სქემები, ამოცანები და მიზნები:

როგორც ცნობილია, ა/წ 11 ივლისს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მორიგი X ყრილობა, რომელმაც მიიღო, როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული და სამართლებრივი გარემოს შესაბამისი კანონისა და კავშირის წესდების შესაბამისი გადაწყვეტილებები, არჩეულ იქნა კავშირის ახალი თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კავშირის პრეზიდიუმისა და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის სრული შემადგენლობა, დამტკიცდა კავშირის ახალი პროგრამა და სამოქმედო გეგმები.

მეორე დღესვე, ა/წ 12 ივლისს, კავშირის მიერ, ფაქტობრივ გარემოში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოში, უკვე მეათედ, ზოლო ოცი წლის მანძილზე, კავშირის ხელახალი რეგისტრაციისათვის, შეტანილ იქნა ყველა საჭირო და აუცილებელი დოკუმენტაცია, რომლებიც თავიდანვე, მიღებულ იქნა უპრობლემოდ შემდგომი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელიც ყოველი არჩევნების წინ მოწადინებულია შეინარჩუნოს ძალაუფლება, ყველა ხერხით, პოლიტიკურ პარტიათა და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, არასამართლებრივად, ცვლის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საბუთების შედარებით მართებულებას, დამატებით ითხოვს ყოვლადმიუღებელ, უკვე ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტაციებს, კიდევ უფრო ავითარებს ცრუდემოკრატიულ, ტოტალურ და ავტორიტეტალურ მმართველობითი სისტემას, ცდილობს ხელოვნურად აღმართოს საკანონმდებლო ბარიერები, რომლებიც მიმართული იქნება უმეტესი, ძალაუფლების მქონე ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკურ პარტიების არჩევნებში მონაწილეობისათვის და უფრო მეტიც, ცდილობს მათ სრულიად გაქრობას პოლიტიკური სივრციდან.

საბოლოოდ, საჯარო რეესტრის სააგენტომ, თავიდან, შეაჩერა საქმის წარმოება კავშირის მიმართ და შესაბამისი ახალი საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე და მოითხოვა მათი უპირობო შესრულება, ხოლო მისსავე, 30. 08. 2017 წლის გადაწყვეტილებაში (#P17000134/0-1) რეგისტრაციის შესახებ ვკითხულობთ: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების)რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს #161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება";

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

ანუ, საჯარო რეესტრის სააგენტომ, ერთის მხრივ, რეგისტრაციაში გაატარა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება", ხოლო მეორეს მხრივ კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის დამათებითი ცნობისათვის მოითხოვა აბსურდული, ახალი ყრილობის გამართვა, ახალი წესების თანახმად (ყრილობაზე ნოტარიუსის დასწრებითა და მის მიერ ყრილობის ამ ნაწილისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების დამტკიცება).

რაც შეეხება კავშირის ხელახალ რეგისტრაციას ფაქტობრივ სივრცეში, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი", ამ ეტაპზე, გამოხატავს თავის სამართლებრივ აღშფოთებას ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საბუთების არამართებულ, უსამართლო, ყოვლად მიუღებელ აუცილებლობასთან მიმართებაში.

აქედან გამომდინარე, კავშირი კვლავ ხაზგასმით აცხადებს, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება კიდევ უფრო ავითარებს ცრუდემოკრატიულ, ტოტალურ და ავტორიტეტალურ მმართველობითი სისტემას, ცდილობს ყოველმხრივ ხელოვნურად აღმართოს საკანონმდებლო ბარიერები, რითაც არასამართლებრივად, უხეშად, არღვევს პოლიტიკურ ორგანიზაციათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების პრინციპებს.

ამავდროულად, რაც შეეხება კავშირის ახალი, მორიგი რეგისტრაციის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, სამართლებრივ და კანონიერ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის დამტკიცებისათვის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას, რათა შასაბამისი საკითხი - კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობისა და სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში მისი ხელახალი რეგისტრაციის გავლის შესახებ განხილული და დამტკიცებული იქნას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე.

საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარისა და და თავმჯდომარის მოადგილის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების შემდეგი პროექტი, სადაც ნათქვამია:

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), რომელიც იყო, არის და მუდმივად იქნება თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

იგი, აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, კვლავ მზადყოფნაშია ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ორგანიზებულ ძალად, რომელმაც სხვა პროგრესულ, ეროვნულ ძალებთან ერთად, უნდა გააგრძელოს ბრძოლა მშვიდობიანი, პოლიტიკური გზებით, რათა შექმნას პირობები, საფუძველი და გარანტია სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის გზით ოკუპაცია-ანექსიის დანაშაულებრივი შედეგების ლიკვიდაციისა და საყოველთაო, კანონიერი, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ საქართველოს ჭეშმარიტი, სამართლებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისათვის" უმთავრესი და უპირველესი კვლავ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესებია, მისი სამოქმედო პრინციპები კი მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესები. კავშირი კვლავ განაგრძობს ბრძოლას ისეთი ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახელმწიფოსა და იბერიულ-კავკასიური ერთობის ჩამოყალიბებისათვის, რომელშიც გაცხადდება და განვითარდება როგორც ქართველი ხალხის ნება, ასევე, ისტორიულად არსებული, დღევანდელობის აუცილებლობით გამოწვეული და მომავლის იმედით გაჟღენთილი მთლიანად იბერიულ-კავკასიური ახალი პოლიტიკური, სახელმწიფოთაშორისი ერთობის დაცვის ქვეშ მყოფი კავკასიის გეოგრაფიულ, ეთნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ არეალში მცხოვრებ ყველა ერთა და ეროვნებათა ნება-სურვილი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს კვლავ წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, კავკასიასა და მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

ამავდროულად, კავშირი აღიარებს ადამიანისა და საზოგადოების ღირებულებებს, გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძნებულს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით იცავს და ამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში, ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნულ-სარწმუნოებრივი, სახელმწიფოებრივი ერთობის ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის ამ საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო და კავკასიის ხალხთა ერთობა დაეფუძნება.

ამავდროულად, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" მიზნად ისახავს რა თავის პროგრესულ ორიენტაციას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეით გამსჭვალულ ქართველ ხალხთან ერთად კვლავ აცხადებს, რომ დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა მისთვის და რომ, ამ თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების აშენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქართულ, იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას, იდეოლოგიას და არა რაიმე სხვა, არის მისაღები ვექტორიცა და ორიენტაციაც.

კავშირი იბრძვის და კვლავ იბრძოლებს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო სამართლებრივი კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის.

კავშირი განაგრძობს ბრძოლას საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს და ითანამშრომლებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სამართლებრივი და კანონიერი სახელმწიფოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმებისა და მოცემული წესდების საფუძველზე.

კავშირი მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, პატივს სცემს კავკასიისა და მსოფლიო თანამეგობრობის ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რომ იგი კვლავაც არის საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი და კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია, შექმნილია 1990 წლიდან განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი" თავისი პრინციპებიდან, ამოცანებიდან, მიზნებიდან, სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებისა და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე პროტესტს აცხადებს ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მასთან დაქვემდებარებული სტრუქტურების მიერ არადემოკრატიული, არაჯანსაღი, უზურპაციული, აბსურდული და ყოვლად უკანონო გადაწყვეტილებებისა და არასამართლებრივი პირობების მიმართ, მანამ, სანამ არ მოწესრიგდება შესაბამისი სამართლებრივი კანონმდებლობა და ურთიერთობების ფორმები.

ამავდროულად, რაც შეეხება კავშირის, როგორც მისი, დროში - დღიდან დაარსებისა დღემდე, კანონიერ, სამართლებრივ-იურიდიულ სივრცეში ნამდვილობისა და არსებობის შესახებ, ასევე, კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებების ცნობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩაითვალოს დამტკიცებულად.

საკითხი: საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მიერ დღევანდელი მოღვაწეობის პირობებისა და ვითარების სამართლებრივი შეფასება - „ახალი პოლიტიკური ლევილის" დაფიქსირება.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მოხსენებიდან გამომდინარე:

96 წელი გავიდა, „ლევილის" შექმნიდან . . .

სამწუხაროდ, „ლევილის შატოს" გეგმა სახეცვლილებით, მაგრამ პოლიტიკურად კვლავ განმეორდა. თუ ადრე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა განაწილების გეგმა მოიცავდა მხოლოდ ერთ ადგილს „ლევილს" და ისიც კეთილშობილური და ქვემოქმედებით, სპეციალურად საქართველოს მთავრობის წევრებისათვის, ამჯერად, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრებისათვის დღემდე ვერ მოხერხდა, ერთ ქვეყანაში, ერთ ადგილას თავმოყრა და ისინი ბუნებრივად, თავიანთი საშუალებებით, უდიდესი გაჭირვების შედეგად, განთესილ იქნა და გადანაწილდნენ სხვადასხვა ქვეყანაში და იშვიათად თავშეყრისას და უფრო მეტად ინტერნეტ საშუალებების გამოყენებით ცდილობენ თავიანთი მოვალეობებისა და მოღვაწეობის გაგრძელებას.

წინა ისტორიული პერიოდისაგან განსხვავებით, ამჟამად, ვერც „ახალი პოლიტიკური ლევილის" ქართული სათვისტომოს ფონდიც შეიქმნა.

მაგრამ, საბედისწეროდ, „ახალი პოლიტიკური ლევილი" სამწუხაროდ დღესაც არსებობს. . .

„ახალი პოლიტიკური ლევილი" კვლავ ცოცხლობს, მოღვაწეობს და პოლიტიკურად იბრძვის სხვადასხვა ქვეყანაში . . . ფინეთში, საფრანგეთში, ამერიკაში, შვეიცარიაში, მალტაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში . . . და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს . . . უკანონო, ძალაუფლების მქონე პუტჩისტთა მემკვიდრეებისა და მათი უცხოელ პატრონთა მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოშიც . . .

დიახ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა, მისი ერთგული ჯარისკაცები, დღესაც, ემიგრაციასა და სამშობლოშიც დევნილობაში იმყოფებიან . . .

ისინი დღესაც „ომში" არიან და იბრძვიან სამშობლოს გათავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით შეიარაღებულნი ეროვნული სახელმწიფოსა და მთლიანად კავკასიის ერთობისათვის . . .

„ახალი პოლიტიკური ლევილი" დღესაც არსებობს . . .

დღესაც ომია . . . ომი მამულისათვის . . .

კავშირის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რათა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა მთავრობამ რეალურად შეაფასოს მთავრობის დღევანდელი პირობები და ვითარება, რათა - სამართლებრივადაც მოხდეს „ახალი პოლიტიკური ლევილის" დაფიქსირება.

გამახვილებულ იქნა ყურადღება მასზედაც, რომ, მანამ, სანამ საქართველოში არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლება და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობა, **საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს"** დამფუძვნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ნაწილი შესაძლოა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით.

და, როცა სხვა გზა არაა, სასურველია, **საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობამ საქართველოში და ემიგრაციულმა მთავრობამ საზღვარგარეთ, უწყვეტი მოღვაწეობისათვის, შეჰქმნას და გააძლიეროს თანამედროვე, აქტიურად მომქმედი „ახალი პოლიტიკური ლევილის" ტიპის სამთავრობო, დევნილი, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე-სამყოფელნი, საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა კვლავ იმოქმედებს ე. წ. „რეზიდენტული" წესით.**

შესაძლო აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, უნდა მომზადდეს ე. წ. „ახალი პოლიტიკური ლევილის" - როგორც ემიგრაციული, დევნილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, როგორც მოღვაწეობის შესაძლო ადგილმდებარეობის შერჩევა-განსაზღვრების, მისი მოღვაწეობის პირობებისა და სათანადო წესების შესახებ სათანადო კანონ-პროექტი და დროულად უნდა მოხდეს მისი დამტკიცება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი საკითხის შესახებ:

საქართველოში ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობის პირობებში, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა კვლავ უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. აუცილებლობის შემთხვევაში, მათი ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობამ საქართველოში და ემიგრაციულმა მთავრობამ საზღვარგარეთ, უწყვეტი მოღვაწეობისათვის, უნდა შეჰქმნას და გააძლიეროს თანამედროვე, აქტიურად მომქმედი „ახალი პოლიტიკური ლევილის" ტიპის სამთავრობო, დევნილი, საემიგრაციო მოღვაწეობის სავალდებულო საქმიანობის გაფართოებისა და გაძლიერების სამართლებრივი და პოლიტიკური პირობები, ხოლო საქართველოში მის ზოგიერთი წარმომადგენელს კვლავ შეუძლია იმოქმედებს ე. წ. „რეზიდენტული" წესითაც.

ასევე, სასურველია, შეძლებისდაგვარად შეიქმნას „ახალი პოლიტიკური ლევილის“ სამთავრობო ფონდიც.

საკითხი: პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს" რეკონსტრუქციისა და წარმომადგენლობითი შემადგენლობის განახლების შესახებ.

მიიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს" რეკონსტრუქციის შესახებ.

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოში" „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა” და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ დასახელდნენ შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის გამარჯვებული"

შორენა ხუხუას

წიგნი „შემოვალ ეტლით"

წიგნი, რომელიც დაიწერა იმისთვის, რომ ბესტსელერი გახდეს, მკითხველის მოლოდინშია

ა/წ 15 ნოემბერს, ქ. თბილისში, „ბიბლუსის გალერეაში" გაიმართა დიდი ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორის" ერთ-ერთი გამარჯვებულის - შორენა ხუხუას რომანის „შემოვალ ეტლით" პრეზენტაცია, რომელსაც უამრავი წიგნის მოყვარული დაესწრო.

პრეზენტაციაზე წიგნი წარადგინეს მწერალმა და კონკურსის ფარგლებში შორენა ხუხუას მენტორმა თეონა დოლენჯაშვილმა და გამომცემლობა „პალიტრა L-ის" მთავარმა რედაქტორმა - მაია ალუდაურმა. „პალიტრა L-ის" მიერ გამოცემული წიგნის გარეკანი საქართველოს პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ გააფორმა.

წიგნი, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს - შეზღუდულ შესაძლებლობებს და შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციას ეხება, ავტორმა საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით დაწერა.

„ვარ შეუჩერებელი, ჯიუტი, პრინციპული. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი, მაგრამ ბევრს ვკითხულობდი და ამიტომ სიცელქესაც მპატიობდნენ. 2009 წელს მომხდარმა ფაქტმა კი ჩემი ცხოვრება სრულიად შეცვალა. სახლში მივიჩქაროდი ჩემს შვილთან, რომ მუსიკაზე წამეყვანა. მაგვიანდებოდა, მაგრამ მას დავპირდი, რომ არ ენერვიულა და აუცილებლად მივიდოდი ... თუმცა მე იმ დღეს ვერ მივედი. ჩემი სამყარო შეიცვალა და ხედვა დავიწყე ქვემოდან ზემოთ. მთელი ქვეყანა ზემოდან გიყურებს, ამ სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით. ყველა სიბრალულით გექცევა, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია. ყოველდღე საკუთარ თავს უნდა დაუმტკიცო, რომ ამით ყველაფერი არ მთავრდება. ეს ჯერ საკუთარ თავთან უნდა შეძლო და მერე საზოგადოებაშიც გააკეთებ.

ჩემი წიგნი არის პოზიტივი ყველა ადამიანისთვის, ძლიერისთვის, რომ თავისი ძლიერება გაიხსენოს, სუსტისთვის - გაძლიერდეს, ეტლით მოსარგებლისთვის - კიდევ ერთხელ დაინახოს, რომ ის მარტო არ არის და ეტლში ჯდომა სამყაროს დასასრული არაა. მე ვფიქრობ, ჩემს წიგნს ეყოლება მკითხველი ყველა ასაკში და არა მხოლოდ საქართველოში," - ამბობს კონკურსის გამარჯვებული შორენა ხუხუა, რომელიც გარკვეული პერიოდი ეტლით მოსარგებლე იყო.

რაც შეეხება კონკურსს „გახდი ბესტსელერის ავტორი", ის გამომცემლობა "პალიტრა L-ის" ორგანიზებით ჩატარდა. კონკურსი მარტში დაიწყო და სამი თვე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებინა კონკურსანტების შემოქმედება და საკუთარი პოზიცია გამომცემლობის ვებ-გვერდზე ხმის მიცემით გამოეხატა. ხალხთან ერთად, ნამუშევრები ობიექტურმა და კვალიფიციურმა ჟიურიმაც შეაფასა.

„ცხრამეტი წლისა, ოცისკენ გადაბიჯებული, დაბნეული მივუყვებოდი ცხოვრების სერიოზულ გზას..
დიდი მეგონა თავი.
ოცდაცხრამეტი წელი ორმოცისკენ გადაბიჯებულს . . . პატარა მგონია თავი.
უკან ვიხედები.
დროის იქეთ გადაცვენილან ადამიანები.
წარსულს სიგარეტის ფერფლივით ჩამოეშალნენ სახეები.
ხელებში შემომფშვნეტია დიდობის მსურველი პატარაობა.
ჩაცლილა პატარაობისმსურველ დიდობაში.
„- მამა, ლექსი დავწერე, - სადღაც ხმიანებს 30 წლის წინ გაჟღერებული დიალოგი.
- კარგია. მოთხრობის დაწერა სცადე, აბა.
- როგორ?
- წარმოიდგინე, რომ მეგობარს უყვები რაღაც საინტერესო

- ამბავს, ხომ არაფერს გამოტოვებ?
- არ გამოვტოვებ.
- დაწერე ის ამბები, ფურცლებს მოუყევი.
- შევძლებ?
- დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოგივა. "
და ვწერდი, ვწერდი, ვუკითხავდი, ისევ ვწერდი.
- მწერალი გახდები, მთელი ქვეყანა გაგიცნობს,- მამხნევებდა ჩემთვის შეუვალი ავტორიტეტი და იდეალური ადამიანი - მამა.
გავიზარდე.
მტკივნეულად შევიცანი, არავინ იყო იდეალური.
ვბრაზობდი.
ცოტას ვწერდი.
აღარ მჯეროდა, რომ მთელი ქვეყანა გაიცნობდა ჩემს ნაწერებს.
უფრო გავიზარდე.
მივხვდი, არავინაა იდეალური, არც უნდა იყოს.
ადამიანურობა ბუნებრივი რამაა.
არიდებული მზერა და ცივი ფრაზები დამშრალ მდინარის კალაპოტივით მატყვია სულზე.
რატომ დავიწყე ეს საუბარი?
ორ კვირაში ჩემი წიგნის პრეზენტაციაა.
მაქებენ, ტაშს მიკრავენ.
მკითხველები ელიან ნაწარმოების დასასრულს.
როდის დავიჯერე ისევ, რომ ყველაფერს შევძლებდი და მწერალი გავხდებოდი?
არ ვიცი ... არ მახსოვს.
სამსახურში ორი გარდაცვლილი ადამიანის ფოტო მიკიდია.
მამის და მასწავლებლის.

ომარ ხუხუა

თენგიზ კიკაჩეიშვილი

„- ეცადე, მოუსმინო საკუთარ გრძნობებს, მიუხვდე, სიტყვებად აქციო და წინადადებებად გადმოაწყო სული ფურცლებზე.
- არ იჩქარო, მამა.
- ბევრჯერ წაიკითხე, აქა-იქ გამოჰყვებიან ზედმეტი სიტყვები ნაწერს, ხიჭვებივით უნდა გამოაცალო ტექსტს ისინი, გამიგე?
- ცოტათი. "
„ - გადმოიტანე ფურცლებზე ემოციები. ის, რაც ნამდვილია. ხომ გესმის?
- დიახ.
- მოუსმინე საკუთარ თავს და დაწერე.
- გამომივა, ბატონო თენგიზ?
- დარწმუნებული ვარ".
ირევიან ფერგადაცვეთილი, გარდასული წუთები უკან მოხედვისას.
ასე იყო ზუსტად?
დაახლოებით?
აღარ მახსოვს.
საინტერესოა, როდის გავიზარდე?
ვერ შევამჩნიე საერთოდ.

მარად მოსაგონარნი

გიორგი ზარზმელი



თითქმის ორ ათეული წელზე მეტი ხნის მანძილზე სამცხეში, ზარზმის მონასტერში მოღვაწეობდა, მამა გიორგი-ზარზმელი (ერისკაცობაში ლევან ხაბეიშვილი). ეს ადამიანი 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული სამხედრო გადატრიალების გამო დაუპირისპირდა საპატრიარქოს და პირადად პატრიარქს, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ, ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველ ტრაგედიაში.

ჩაიბარა რა ნახევრად დანგრეული ტაძარი, გაპარტახებული, საქონლის სადგომად გადაქცეული ეზოთი, საკუთარი სახსრებით, მრევლის დახმარებით, უდიდესი ძალისხმევისა და მრავალგვარი დაბრკოლების გადალახვით, რამდენიმე წელიწადში მონასტერი წალკოტად აქცია.

90-იან წლებში ძალოვნებმა საპატრიარქოს დავალებით არაერთხელ სცადეს მისი გამოძევება მონასტრიდან, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა წინ აღუდგა მოძალადეებს: - „ჩვენს მამა გიორგის არავის დავაჩაგრინებთო“. ქომაგთა შორის იყვნენ არა მხოლოდ მისი მრევლის წევრები, არამედ, მეზობელი სოფლებიდან მოსული ხალხი, მათშორის მუსლიმანთა თემის წარმომადგენლებიც. ეს საყოველთაო სიყვარული მან პატიოსნებით, ყველას მიმართ გულმოწყალებით, ღვთისა და ერის თავდაუზოგავი სამსახურით მოიპოვა. ამის გამო, ერთხელ ასეთი რამ ვკითხე მამა გიორგის:

- „მამაო, ამ ჩვენს მუსლიმანებს (აჭარიდან ჩამოსახლებულებს) ასე რომ უყვარხარ, მართმადიდებლურად არ ინათლებიან-მეთქი?

- იმისთვის, რომ ადამიანმა ასეთი ნაბიჯი გადადგას, ჯერ უნდა თვალნათლივ დაინახოს, რომ ქრისტიანები ბევრად უკეთესნი არიან, ვიდრე მუსლიმანები. აბა გადახედე ჩვენს ხალხს, ჩვენს ეკლესიას, ვართ კი ჩვენ რამე სიკეთით გამორჩეულნი. უმთავრესი მიზეზი ჩვენი უბედურებისა, ჩვენი სულიერი სიდუხჭირე, დედა ეკლესიის სისუსტეა. მრევლის, მღვდელმსახურთა, ეკლესია-მონასტრების სიმრავლე, სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ ქრისტეს მცნებათა განუხრელად აღმსრულებელნი, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ვართ. ამიტომაც არის ჩვენს თავს ასეთი განსაცდელი“ - მითხრა მან, სევდიანი თვალები ზეცას მიაპყრო და პირჯვარი გადაიწერა.

არაფრით არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი აღარ იყო. მისი დაბრუნების და ქვეყნის გადარჩენის იმედი ჰქონდა. ამისთვის ლოცულობდა დღე-ღამ, ამ იმედით აღსავსემ მიაბარა სული უფალს 2003 წლის 29 სექტემბერს.

პეტრე (ბონდო) ტონია

ათი წელი გავიდა მას შემდეგ . . .
მუხლს ვიყრით შენს წინაშე
სამშობლოსათვის თავგანწირულო
დიდო ქართველო!
დაივანე და განისვენე!
ა მ ი ნ!

მითხარი ვინ აირჩიე და გეტყვი ვინ ხარ შენ

მოხდა აშკარა და დაუჯერებელი რამ: ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმა მისცა „მოქალაქეთა კავშირს“.

კიდით - კიდემდე რომ ფეხით დაიარო საქართველო და გამოკითხვები ჩაატარო, მცირედზემცირე გამონაკლისის გარდა ვერ შეხვდები ადამიანს, რომელიც მოქკავშირს, მის დამაარსებელს და საერთოდ დღევანდელ - ხელისუფლებას დადებით შეფასებას მისცემს. მაშ რა მოხდა? საიდან ასეთი მოღვაებული სიმპატიები „მწვალებები“ პარტიებისადმი? საიდან ასეთი ერთგულება რეჟიმისადმი?! საიდან არ უნდა იყოს ის რეალობა, რომ ფულით, ტელევიზიით, ნაცადი ყალბი დაპირებებით, კბილებამდე შეიარაღებულმა მოქკავშირმა წინა საარჩევნოკამპანია „უმაღლეს“ დონეზე ჩაატარა, და თითქოს გასაკვირიც არაფერია: ძალა და ფული აღმართსა ხნავს - ხმების უმრავლესობა მიიღეს. გასაკვირი მხოლოდ ისაა, როგორ დავცემულვართ ამ წლების განმავლობაში, სადღაა 1990-91 წ. წ. აღმაფრენა. ვისღა ახსოვს „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და საერთოდ ეროვნული მოძრაობა. სადაა ხალხის სიფხიზლე, მისი ელიტის გონი, ეროვნული სიმტკიცე და ქუდზეკაცი! - სამშობლო ქვეყნის ისეთ საბედისწერო ეტაპზე რომელზეც ის ახლა იმყოფება?...

სწორეი შენიშვნაა: „ქრისტიანმა კაცმა როგორი სინდისით უნდა გადაისახოს პირჯვარი იმ ხელით, რომლითაც საარჩევნო ბიულეტენში მოქკავშირი შემოხაზაო. სრულიად ვეთანხმები ამ გამონათქვამს და მინდა მოვიყვანო მცირე ამონარიდი ჩემივე წინასაარჩევნო დაწერილი და მიზეზთა გამო გამოქვეყნებული წერილიდან. „სარწმუნოების აღორძინება იხსნისო საქართველოს, ბრძანებს ზვიად გამსახურდია, სრული ჭეშმარიტებაა. ხოლო ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოების აღორძინების აკვანი, დღესაც მართლმადიდებლობისთვის დევნილ, ღია ცისქვეშ მოქმედ ეკლესიაში ირწევა და დიდის რწმენით, თავგანწირვით, მამობრივ-დედობრივი ერთგულებით და რაც მთავარია უსაზღვრო სიყვარულით აღტყინებული ღვთიურ იავნანას უმღერის მოძღვარი თავის მრევლთან ერთად. ყური მიუგდეთ ამ ტკბილ ჰანგებს და ყურადღება მიაქციეთ ამ ეკლესიის მიერ წამოწყებულ მისიონერულ მოღვაწეობას. შორს არ არის ის დღე, როცა არ დანთებული პატარა სანთელი, დიდი კელაპტრად აჩირაღდნდება და ჟეშმარიტი ქრისტიანული მადლით გაანათებს მთელ საქართველოს“.ვერც მოქკავშირის დაპირებები, ვერც „მრეწველთა" მოწოდება მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ვერც ვერანაირი ეკონომიკური აღზევება და დოვლათის შექმნა ვერ გამოგვიყვანს ამ საშინელი კრიზისიდან. ჩვენი ხსნა მხოლოდ ღვთის რწმენისაკენ მობრუნებაში, ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებაში, დანგრეული ეკლესიების - აღდგენა-რესტავრირებასა და ახლების მშენებლობაში, „საქართველოს ისტორიული მისიის“ გაცნობიერებასა და მისი ავტორის მიერ მინიშნებული გეზით მსვლელობაშია.

ჩვენთან არს ღმერთი!

პეტრე (ბონდო) ტონია

თემურ ქორიძე

ა.წ. 27 ოქტომბერს, 63 წლის ასაკში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის მკვლევარი თემურ ქორიძე გარდაიცვალა.

ქორიძე გახლდათ საქართველოს რეპუბლიკის პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს წევრი, განათლების კომიტეტის თავჯდომარე და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" გამეობის წევრი 1989–1993 წლებში.

იმ საღამოს უნივერსიტეტის ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორიაში დანიშნული იყო მისი შეხვედრა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან. როდესაც სახლში მიაკითხეს, სავარძელში მჯდომი გარდაცვლილი დახვდათ. გლდანში, ერთოთახიან ბინაში გაატარა თითქმის მთელი ცხოვრება ადამიანმა, რომელსაც ეროვნულ მთავრობაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოზიცია და თანამდებობა ეკავა. მან უარი განაცხადა სამოთახან ბინაზე ქალაქის პრესტიჟულ უბანში. „ადამიანმა უნდა გვერდზე გადასდოს ყოველივე პირადული, თუ ის სახელისუფლებო, ან საეკლესიო იერარქიის წევრია" – აცხადებდა და ამ პრინციპით ცხოვრობდა ის. სტუდენტობის დროიდანვე გამოირჩეოდა ფანტასტიური ცოდნით, ერუდიციით, წესიერებით. ახალგაზრდობაშივე ჩადგა ეროვნული მოძრაობის ავანგარდში. იყო უკომპრომოისო, პრინციპული. შეუძლებელია, უფროსი თაობის ადამიანთა მეხსიერებას არ შემორჩენოდა სახე იმ პიროვნებისა, ვინც 80-ანი წლების ბოლოსა და თხმოცდაათიანების დასაწყისში თავისი შთამბეჭდავი ორატორული ხელოვნებით ათასების მხურვალე სათქმელს გამოხატავდა და უანგარო მამულიშვილობის მაგალითს იძლეოდა. იმ პერიოდში თემურ ქორიძე სამჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ ამას არც ამხელდა და არც შერყეული ჯანმრთელობის გამო საყვედური არ დაცდენია. სამშობლოს სამსახურს ის მუდამ თავგანწირვისთვის მზადებას უკავშირებდა და ეს განცდა მასში იშვიათ თავმდაბლობასთან იყო შერწყმული.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა მისი ჩანაწერების წიგნი „კაცი არ ყველა სწორია", რომელშიც საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებთან ერთად, საქართველოს უახლესი ისტორიის დრამატულ ეპიზოდებსა და მის ცალკეულ დეტალებზე მოგვითხრობს.

„ჩვენ მოვკალით ილია, მოვკალით ზვიადი, მაგრამ კათარზისი უცილებლად მოვა, განვიწმინდებით. ჩვენი ქვეყნის მომავალი კარგად აღზრდილმა ახალგაზრდებმა უნდა გამოჭედონ" – ამ იმედით ცოცხლობდა, ამისთვის იღწვოდა.

ნოდარ კიკნაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი

ვახტანგ ბახტაძე
ჟურნალისტი, პუბლიცისტი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის
ზვიად გამსახურდიას პრეს-სპიკერი,
საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი

მერაბ კოსტავა - ქართველთა გაუტეხელი სინდისი



ჟურნალისტის და პუბლიცისტის *ვახტანგ ბახტაძის* წერილი „მერაბ კოსტავა _ ქართველთა გაუტეხელი სინდისი“ 1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებისა და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენების გააზრების მცდელობაა.

(საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას გახსენება გარდაცვალების სამი წლის თავის გამო).

წერილი (წინათქმის მაგიერ, ვრცელი ვერსია), „მერაბ კოსტავა _ ქართველთა გაუტეხელი სინდისი“ გადმობეჭდილია წიგნიდან „გამოთხოვება საქართველოს ეროვნულ გმირთან მერაბ კოსტავასთან“ (1989 წლის 13 ოქტომბერი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი).

წიგნის (დაიბეჭდა საკუთარი ხარჯებით) შემდგენელ-რედაქტორია ვახტანგ ბახტაძე (1992), აიწყო, მომზადდა და გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობაში, დაიბეჭდა ქ. თბილისის №1 სტამბაში 1992 წლის დეკემბერში.

მერაბ კოსტავა – ქართველთა გაუტეხელი სინდისი

(1991 - 92 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებისა და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენების გააზრების მცდელობა).

საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გახსენება გარდაცვალების სამი წლისთავის გამო.



„დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწრთვნელად. ყოველივე ეს დიდხანს, კიდევ ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო“.

(სიტყვები, რითაც თავადი ილია ჭავჭავაძე გამოეთხოვა გაბრიელ ეპისკოპოსს)

წინა საუკუნეებში არაერთი თავდადებული მამულიშვილის მსგავსად, სამშობლოს თვითმყოფადობის დაცვის, თავისუფლებისა და სიყვარულისთვის ვრცელ რუსეთში დიდი ხნით გაციმბირებული (განგების ნებით გადარჩენილი) და საქართველოში ღირსეულად დაბრუნებული, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული მერაბ კოსტავა სრულიად საქართველოსთვის უმძიმეს დღეებში, მისმა უდიდე-ბულესობა ქართველმა ერმა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხა.

მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან ორი (არასრული) წლისთავზე (1991 წ. 21. V.) რადიო-ეთერში მიწვეულმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: `მერაბი ძალიან დააკლდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა . . . საქართველო, ალბათ, სხვა იქნებოდა დღეს, რომ მერაბი გვყოლოდა გვერდით. დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა, დიდი გოდოლი, რომელიც მართლაც დიდი ბურჯი და იმედი იყო ჩვენი!“

ასეც ხდება, რომ ერის ჭეშმარიტი რაინდი მისი ნაოცნებარი დედა-იდეის _ „ქართლის ცხოვრებისეული“ „ყოველთა-ქართველთა“ ერთობის (ვაგლახ, რომ გაელვებასავით ცოტახნით) საკუთრება ხდება _ „ხმა ღვთისა _ ხმა ერისა“.

1939 წლის 26 მაისს მოევლინა მერაბი ქვეყნიერებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და თავისუფლების მოპოვების აღმნიშვნელი უძვირფასესი თარიღი 1918 წლის 26 მაისი მთელი თავისი სიდიადით სიმბოლურად, შარავანდედად დაადგა თავზე ბორკილდადებულ ჩვენს დიდ მამულიშვილს. ასე ისურვა უფალმა, ამადაც ინება მოვლინებოდა იგი, წუთისოფელს სწორედ ამ დღეს! (საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების დღეს), რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „წითელ ურჩხულს“, პლანეტარული გველეშაპის განსაგმირავად.

„მერაბ, შენ რეფერენდუმი არ გჭირდება, დღეს მთელმა საქართველომ გაღიარა შენ დამოუკიდებელი საქართველოს რაინდად, საქართველოს ეროვნულ გმირად! . . .“ (ზვიად გამსახურდია).

ამ დღეს, ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ააფრიალა სამფეროვანი დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. როგორც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმადგენელი პრეზიდენტი, დევნილობისას წერს: „კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურებას, მან ქრისტეს ჯვრის ნაცვლად ... კომუნისტური წითელი ვარსკვლავი დაუსახა იდეალად ქართველ ერს, ქრისტეს გზა, კაცთმოყვარეობის გზა შეიცვალა ანტიქრისტეს, ბარაბას დამღუპველი გზით. მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, კვლავ აჟღერდა ჰიმნი „დიდება“.

ერთი იმპერია დაემხო, მორე კი განაგრძობს ერთა უფლებების დათრგუნვას.

. . . კვლავ აბორგდა კაენის სული.[1.]

ახლო ნათესავების თქმით, მერაბი ყმაწვილობიდანვე უცნაური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან იმ პერიოდში საბჭოთა სტანდარტებიდან სრულიად ამოვარდნილი იყო. იგი, გარეშემყოფების მიერ არანორმალურად შერაცხული, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დადის, ლოცულობს, სანთლებს ანთებს, სახლში არაერთი ხატი უკიდია, ქართული საგალობლების შესწავლას ეწაფება, ბევრს კითხულობს, ძირითადად ეკლესიურ და ფილოსიფიურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ღამის საათებში, სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ფიქრობს.

[1] გაზ. „აღდგომა“, # 4 მაისი, 1992წ.

და, ალბათ, მაინც უმთავრესი: კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, ზვიადს, გიჟურად გადაეკიდაო (შემდგომში ისინი, უკვე ორივენი დიდ თავსატეხს გაუჩენენ სუკისტებს). ცოტა ხანში, უკვე თავად დიდი კონსტანტინესგან მადლიერების გრძნობით მოისმენს და მიიღებს ღირებულ გაკვეთილებს და საჭირო რჩევა-დარიგებებს.

სამწუხაროდ, საბჭოთა ათეისტური პროპაგანდით დაბანგული ადამიანებისგან ამგვარი აზრი არც იყო გასაკვირი, მერაბის რელიგიური და ეროვნული ცნობიერების გაღვიძება და ყმაწვილის არასაბჭოური ცხოვრების წესი მათ იმთავითვე აფრთხობდათ.

მართლმადიდებლობა ის ქვაკუთხედი და ხერხემალია, რომელსაც საუკუნეებია ეფუძნება, და, მომავალშიც დაეფუძნება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართველი ერის ისტორია სამშობლოს თავგანწირული სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოებდა. ქრისტიანობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, ისტორიული ბედ-იღბლის, მისი ჭირ-ვარამის განმსაზღვრელი ფაქტორია.

მერაბ კოსტავა მთელი არსებით ქრისტიანი კაცი იყო. იგი ძალიან ცოტას ითხოვდა ცხოვრებისგან. ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული, ყველაფრის მიუხედავად თამამად ამბობდა სიმართლეს. ბოლომდე შეინარჩუნა გაუბზარავი მსოფლხედვა, გამბედაობა, ზომიერების გრძნობა, მოყვასის გაგებისა და მიტევების უზადო ნიჭი, სულის სიწმინდე და სიწრფელე.

მერაბ კოსტავა ლმობიერი და სამართლიანი კაცი იყო, როგორც დიდი ძველბერძენი მოაზროვნე ადამიანი [2.] ამბობდა: „სამართლიანი კაცის ზნეობრივი თვისებები სავსებით ცვლიან კანონებს“. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ესწრაფოდა ჭეშმარიტების შეცნობას, ებრძოდა უსამართლობას და ამკვიდრებდა ამ ბრძნული აზრის უტყუარობას. რადგანაც სრულიად გააზრებული ჰქონდა, კანტიანური ჭვრეტით რომ ვთქვათ, „როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს რაიმე ღირებულება მისცეს.“

სიმართლემ მისცა მას ყოველივე ამის უშრეტი ძალა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალტიელი (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) რესპუბლიკების პოლიტპატიმართაგან ხშირად გვსმენია, რომ მერაბ კოსტავა კომუნისტური „სიკვდილის ბანაკებში“ და შორეულ გადასახლებებში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნისას ყველასგან გამორჩეული და გაუტეხელი ქართველი კაცი იყო, „უშიში ვითარცა უხორცო“, დინჯი და აუჩქარებელი. თითქმის ყველა პატიმარს სურდა მასთან საუბარი და, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ერთმანეთთან საერთო ენას პოულობდნენ. მისგან რაღაც არაჩვეულებრივად გადამდები, ჭეშმარიტად ქრისტიანული იმპულსი მოდიოდა. ჩვენ მას მეტსახელად „სინდისს“ ვეძახდითო.

„სინდისი სიმართლის ხმაა“ – იტყვის შემდგომ ერთგან მერაბ კოსტავა.

ცოტა ხნის შემდეგ კი, უკვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების ჟამს (1988 წ.), ქართველი ხალხი მას „ერის გაუტეხელ სინდისს“ უწოდებს.

როგორი გვახსოვს მერაბი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამებრძოლთ? იგი მუდამჟამს „ყოველთა _ ქართველთა“ ერთობის მომხრე გახლდათ, თავს არ გახვევდა საკუთარ თვალსაზრისს, მაგრამ იმთავითვე მისი თვალთახედვა უჩინრად გიპყრობდათ. მოკამათეში თითქმის არ ეძებდა მოწინააღმდეგეს; თუ ეროვნული გრძნობის გამოვლენას შენიშნავდა, არასოდეს მალავდა აღფრთოვანებას. თუ რაიმე მოეწონებოდა, დიდი სითბო ჩაუდგებოდა თვალებში. ციური ღიმილით გაშუქებული სახე ჰქონდა, მისი ეს გამოხედვა, უთუოდ, დაუვიწყარი დარჩება ყველასთვის. მეგობართა წრეში უკმაყოფილებას ხშირად დუმილით გამოხატავდა.

[2] მენანდრე _ დიდი ძველბერძენი დრამატურგი და კომედიანტი, მოღვაწეობდა ძვ. წ/აღ. 342 _251 წ.წ.-ში.

მერაბ კოსტავას საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან და გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდეგ, თავის წრეში უყვარდა ქართული ისტორიოგრაფიის მშვენებაზე, ჩვენი წერილობითი ძეგლის საისტორიო თხზულების _ „ქართლის ცხოვრების“ შესახებ საუბარი. იგი გატაცებით ჰყვებოდა რომ, ცხრა საუკუნეზე მეტია, ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ საუნჯეს _ „ქართლის ცხოვრებას“. მას უყვარდა ამ სიტყვების განმეორებით თქმა: „ესე არს წმინდა და პატიოსანი წიგნიო“ _ ამბობდნენ ძველ საქართველოში და ამით მისადმი უდიდეს მოწიწებას გამოხატავდნენ“-ო.

გთავაზობთ ერთ ამონარიდს ჩემი ჩანაწერებიდან, სადაც მერაბის აზრებია დოკუმენტირებული (1988 წელი, 29 დეკემბერი, თბილისი).

„XI საუკუნეში, როცა ქვეყანა გაერთიანდა, საჭირო გახდა ისეთი საისტორიო თხზულების შექმნა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა არა ცალკეული მხარეების, არამედ მთლიანი საქართველოს წარსული, ხაზგასმული იქნებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი ერთი დედის _ ქართველი ერის უბიდან არიან გამოსული და ქვეყნის ერთიანობა, ქართველთა ეს დიდი ისტორიული მონაპოვარი, უცხო და შინაურ მტრებთან ხანგრძლივი ბრძოლით იქნება მიღწეული“.

„იცოდეთ ძმებო“, _ ამბობდა იგი _ „ქართლი“ აქ ნიშნავს საქართველოს, ხოლო „ცხოვრება“ ისტორიას.

დასასრულ, მერაბი მისთვის განსაკუთრებულად სანუკვარი სიტყვებით ამთავრებს საკუთარ სახლში ვიწრო წრის შეხვედრას:

„მამულიშვილნო! უცილობლად საჭიროა ეროვნული ერთიანობის გაფრთხილება, იცოდეთ, იგი ხელშეუხებელი და წმინდაა!“

ზოგჯერ მოულოდნელად ჩაფიქრდებოდა და ერთგვარი გულდაწყვეტით, მოჭრილად იცოდა თქმა: „აქ უფრო ძნელი ყოფილა, ძმაო, ცხოვრება, ვიდრე იქ ... მერჩივნა, ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავ!“

როგორი მძიმე უნდა ყოფილიყო მისთვის აქაურობა, რომ იქ, „კომუნისტური გულაგის“ „სიკვდილის ბანაკებში“ ყოფნა ერჩია.

დღესაც ძნელია აქ ცხოვრება, მერაბ!

_ ამას წინათ ახალგაზრდა ქალმა მითხრა: „როგორ გვჭირდება მერაბი! ჩვენი მერაბი ცოცხალი რომ იყოს!..“

ძალზე ძნელია ადამიანი გაპარტახებულ ქვეყანას უმზერდე და ვერარას შველოდე. მყისიერად არ შეიძლება არ გაგახსენდეს აკაკის სიტყვები: „უღირსი აქებს უღირსებს, ქურდი ქურდს მოწმობს ფიცითა, ვინ სტყუა, ვინ მართალია? ვიბნევით, აღარ ვიცითა! . ."

მძიმე ასატანია, როცა მწუხარე ადამიანის მზერას იარაღის ცივ ლულას შეაგებებენ. იქ სადაც კრიმინალური ბანდების თარეშია, რომელნიც მხოლოდ იარაღის ენაზე მეტყველებენ და რასაც ყოვლისმომცველი ანარქია, ქაოსი და საყოველთაო განუკითხაობა მოაქვს (რომელიც ხასიათდებება მასიური უმძიმესი პოლიტიკური რეპრესიებით და ადამიანის უფლებების ყველა ნორმათა უხეში დარღვევებით), იქ ცოტა სიმართლე თუ ითქმის.

არავითარი მიკიბ-მოკიბვა, ყველაფერი სრულად და ობიექტურად უნდა წარმოჩნდეს, მსოფლიოს ჭეშმარიტად კეთილი ნების ადამიანების წინაშე.

სხვაგვარად ავი დროება არ დაცხრება, არ დამშვიდდება.

და მაინც, ალბათ ყოველი ჩვენთაგანი (ერიც და ბერიც), ასე თუ ისე დამნაშავეა. მთელი იმჟამინდელი პროცესების დროს, კრიტიკულ მომენტებში უპატიებელმა უმოქმედობამ, სრულმა წაყრუებამ, როგორც ჩვენი დედა-ეკლესიის საჭეთმპყრობელი მწყემსმთავრის, ისევე წმინდა სინოდის მაღალი იერარქების მხრიდან. ფაქტიური უარის თქმა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების შემაკავებელ, ერთადერთ შესაძლო მცდელობაზე, ფაქტიურად გასამხედროებულ „ოპოზიციასთან“

ერთად ქართული სახელმწიფოებრიობის შტურმს ნიშნავდა; თანაც კრიმინალური ხუნტის ბანდფორმირებების გამოყენებით. [3.]

როგორც XVIII საუკუნის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, კათალიკოსი ანტონ პირველი იტყოდა: „საწუხ არს ესე“.

ვერ დავიცავით ბოლომდე უდიდესი მონაპოვარი - ახლადშემდგარი ქართული სახელმწიფოს ლეგიტიმური საფუძვლები! [4.]

ვიდრე ჩვენს წილ დანაშაულს გულწრფელად არ მოვინანიებთ, ვერც მიტევებას ველირსებით და ვერც სულიერ სიმშვიდეს.

უკეთურება, რომელიც დღეს ქართველებმა, საკუთარ თავს დავმართეთ, მართლაც რომ უმძიმესია!

მომხდარი ეროვნული ტრაგედია პირდაპირი შედეგია საქართველოს უახლესი ისტორიის 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებული სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების და „სისხლიანი ზამთრის“ შემდგომ განვითარებული მოვლენებისა. მისი მთავარი „შემოქმედნი“ იყვნენ ერთი მხრივ, „ერთმორწმუნე“ მეზობელი ჩრდილოელი ქვეყნის „პოლიტიკური კაბინეტი“ თავისი ლიდერითურთ, და, მეორე მხრივ კი, ვაგლახ, რომ ისინი ამ შემთხვევაში სამართლიანად იმსახურებენ მოვიხსენიოთ როგორც ეგრეთ წოდებული „თავისუფლების მებაირახტრე“,

[3] ამგვარი ქმედება (მთელი ამ სამარცხვინო პროცესების დასასრულ, ისევე როგორც ლეგიტიმური პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას და ეროვნული ხელისუფლების საქართველოდან განდევნის აღსანიშნავად გამართული „ტრაპეზის“ თუ ღრეობის მოწყობა) აღმაშფოთებელი და დასაგმობი ფაქტია ყოველი ქართველის, ყველა ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი ადამიანისგან, რომელიც ეროვნული ტრაგედიის მიზეზი შეიქმნა.

[4] სამწუხაროდ, ქართველი ხალხის ერთ ნაწილს, კრიტიკულ მომენტში, არ აღმოაჩნდა, სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მნიშვნელობის შესაბამისი წვდომა და პოლიტიკური ალღო. ცენტრმა (კრემლმა) საქართველოსთვის მეტად დრამატულ მომენტში, საკუთარ დამქაშ შავბნელ ძალებთან ფარული ალიანსით, პროფესიონალ პროვოკატორთა მიერ ბინძური ჭორების გავრცელებით და ცრუ პროპაგანდით, ათასგვარი ინსინუაციით, ასევე ადგილობრივ პოლიტიკურ-სექსოტთა ერთჯერადი (იყვნენ მრავალჯერადნიც) პატარ-პატარა ჯგუფების გამოყენებით, შეძლეს ხალხის ნაწილის დარწმუნება, „იმ ერთი“ ცრუმაფიცარი „დიდპოლიტიკოსი“ შევას (შევარდნაძისთვის დასავლეთში შერქმეული სახელი) უძლეველობაში. დაიჯერეს! მსოფლიოს „დიდ პოლიტიკოსებთან“ ნაცნობობა _ ჩაძმაკაცების გამო. მანაც, მისთვის ჩვეული სიცრუით დააჯერა ისინი, რომ: სულ რაღაც რამოდენიმე წელში, ქართველებს ევროპა-ამერიკულად კარგად „დავარცხნილ“ ქვეყნას „ჩააბარებდა“. მხოლოდ ამის შემდეგ, საქართველოს აღორძინებისთვის დამაშვრალი მოხუცი შევა, ღვაწლმოხდილი გავიდოდა ღირსეულ პენსიაზე.

ვერ დავიცავით „ოფიციალური თბილისის“ პოლიტიკური ეპიცენტრი – რუსთაველის პროსპექტი! ვერ ვიხილეთ ქართველი ხალხით გადაჭედილი პროსპეპექტები, მოედნები, ქუჩები. ვერა და ვერ ველირსეთ სამშობლოს გასაჭირის ჟამს ერის და ბერის ერთობას! მწყემსმთავარი და წმინდა სინოდის მაღალი იერარქები, ბერ-მონაზვნები _ წინა ხაზზე ანთებული სანთლებით და ჯვრებით ხელში! ვერა და ვერ მოვისმინეთ და წავიკითხეთ ეკლესიებსა და ღია ცის ქვეშ (ისე როგორც პოლონეთში თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობის“ საყოველთაო აღზევების ჟამს) საჯაროდ ლოცვა-კურთხევა, საყოველთაო ეროვნული თანხმობის სამოქალაქო მშვიდობისთვის გაწეული მუდმივი ზრუნვა. (თუნდაც ისე, როგორც ეს ვილნიუსის ცნობილი მოვლენებისას ლიტველმა ხალხმა გმირული თავგანწირვის ფასად შეძლო).

სამწუხაროდ, ხალხის ეს ნაწილი ადვილად დაიღალა და გატყდა. იმპერიული ძალების დეზინფორმაციულმა მანქანამ თავის უგვან მიზანს მიაღწია. თავი იჩინა კრიმინალისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, თანდათან იმძლავრა ქართველების ჩვეულმა სენმა _ უდარდელობამ და უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ ზერელე დამოკიდებულებამ კანონის სამართლის და
კანონიერებისადმი უპატივცემულობამ. საპირისპიროდ იქცეოდა ხალხის მეორე ნაწილი, რომელიც არნახული სიმტკიცით და სიმამაცით გამოირჩეოდა. პრეზიდენტის 1991 წლის, 25 დეკემბერის განცხადების „მიმართვა ქართველ ერს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, (N252, 25.12.1991 წ.), წაყრუებამ და უპასუხისმგებლობამ („...შავი დღე დაუდგა საქართველოს“ – ზვიად გამსახურდია) სავალალო შედეგები გამოიღო, რაც თავგანწირვის, გმირობის ფასად უცილობლად უნდა დაგვეცვა, ვაგლახ, რომ ვერ გადავარჩინეთ!

ოკეანის გაღმა ზესახელმწიფო ქვეყნის „პოლიტიკური კაბინეტის“ ადმინისტრაცია – თავისი მეთაურით. მათ დაგეგმეს და სისრულეში მოიყვანეს ვერაგული გლობალისტური მეგაპროექტი (პირობითი სახელდებით „ახალი საქართველო–ორმხრივი დერეფნით“). ცხადია, არც ორმხრივი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები დავიწყებიათ. მეგაპროექტი განხორციელდა ნამდვილად ავაზაკ-ავანტიურისტთა მიერ ფარული შეთქმულების გზით, მზაკვრული გარიგებითა და გვარიანი ხელისმოთბობით. იგი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან შავბნელი ძალების მიერ იყო ინსპირირებული და იმპორტირებული ე. წ. „დემოკრატიული რევოლუციის“ ნიღაბქვეშ. შემსრულებლებად მოგვევლინენ, კანონონიერების და სამართლიანობის მოძულე ნეოკომუნისტური კლანების მიერ დაფინანსებული, უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებები და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ ჩანერგილი აგენტურა. კანონიერი კონსტიტუციური ხელისუფლება მათ სასტიკი ძალადობის გამოყენებით დაამხეს (სამხედრო-კრიმინალურმა პუტჩი). შეთქმულების მიზანი იყო ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ახლადშემდგარი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები – თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. პუტჩისტებმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის უკეთური დღეები გაუთენეს, რათა მეტროპოლიისთვის გაეადვილებინათ მიზნის მიღწევა. ამგვარი ვერაგული ქმედება აუცილებელი შეიქნა, რადგან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებმა თავისი სუვერენული ნების გამოხატვით, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დაუკავშირეს საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წ.წ.) და მოახდინეს მასთან იდენტიფიცირება სახელმწიფო განგრძობადობის საფუძველზე. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, შემდეგ კი ფაქტობრივი ანექსია. საინტერესოა, რომ ამ მომენტისთვის (1921 წლის თებერვალი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები. 1991 წლის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ აღადგინა საერთაშორისო სამართლსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. ეს უდიდესი აქტი განხორციელდა ხალხის თვითგამორკვევისა (1918-21 წ. წ.) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების საფუძველზე (1990-1991 წ.წ.).[5.]

[5] აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ხელისუფლების ორგანოებმა 1991 წლის 25 დეკემბერს არსებობა შეწყვიტეს (როგორი ძალადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართლებრივი გზით იგი შეიქმნა, ისეთივე ძალადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართლებრივი გზითაც იგი დაიშალა.) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის დაშლის გაფორმების პროცესსა და ისევე „დსთ“-ს (მათი მხრიდან იგივე მეთოდოლოგიის გამოყენების გამო) შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია (ამ შემთხვევაშიც კრემლის მხრიდან, იგივე „მეთოდოლოგიის“ გამოყენების გამო). ეს კი ნიშნავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა გაემიჯნა საბჭოთა კავშირის დემონტაჟის პროცესს. ყოველივე ზემოთ თქმული პირდაპირ უკავშირდება 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში განხორციელებულ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებას.იგი აგრეთვე უშუალო კავშირშია„დსთ“-ს შექმნასთან (1991წ. 21. XII), რომლის შემადგენლობაშიც შესვლაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ხელისუფლებამ, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ელცინის თხოვნის მიუხედავად, კატეგორიული უარი განაცხადა (პრეზიდენტ გამსახურდიას პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო, „ჯერ სცანით ჩვენი დამოუკიდებლობა და მერე მიუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას“).

სახელმწიფო – საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების და მისი ლიდერის ზ. გამსახურდიას (1990წ.) პოლიტიკური და სამართლებრივი პოზიცია, როგორც მანამდე ისე მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეუცვალად მტკიცე და თანმიმდევრული იყო. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე ზ. გამსახურდია აღნიშნავდა: „ვინაიდან საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია უკვე გააკეთა 1918 წელს. იურიდიულად ეს დეკლარაცია დღესაც ძალაშია და განმეორებითი დეკლარაცია ჩვენ აღარ გვჭირდება. საქართველო იურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და დღესაც დამოუკიდებელია. ოღონდ სხვა საქმეა დე-ფაქტო – ე.ი. ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. ეს არის ჩვენი მიზანი – ფაქტობრივი აღდგენა სახელმწიფოებრიობის, რომელიც ჩვენ ანექსიის შედეგად დავკარგეთ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №1(21) 1991 წ.).

საქართველოს „ურჩი“ რესპუბლიკის ლიდერი ზ. გამსახურდია სსრკ კავშირის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვს 1991 წლის 12 იანვარს წერს: „ჩვენ 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულება მიგვაჩნია უკანონოდ საქართველოს მიმართ, რადგან იგი დაიდო საქართველოს ოკუპაციის პირობებში. ქართველი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად... – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა და დააკანონა გარდამავალი პერიოდი სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ თავს ვცნობთ სსრკ-ს შემადგენლობაში იმ პირობით, რომ სსრკ აღიარებს ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებას მთლიანად აღიდგინოს ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობა... სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით...

დარწმუნებული ვართ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს“(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“№10, 1991.).

1991 წლის 25 დეკემბერს მოსკოვში, კრემლში უკანასკნელად შეიკრიბა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი პალატა – რესპუბლიკების საბჭო. ამ სხდომაზე (სხვა დოკუმენტებთან ერთად) მიღებული იქნა „დეკლარაცია საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაუქმების შესახებ“(142-Н)… 1991 წლის 12 დეკემბერს რსფსრ პარლამენტმა მოახდინა სსრკ შექმნის შესახებ, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსანცია რსფსრ გამოვიდა სსრკ შემადგენლობიდან. ხოლო 1991 წლის წლის 25 დეკემბერს სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა ხელი მოაწერა თავისი უფლებამოსილებების შესახებ განკარგულებას და გადადგა(УП-3162). ამით სსრკ-მ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

სსრკ დაშლის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკა იქნა ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი და მათ შორის აშშ-მა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებამდე ე.ი. კანონიერი ხელისუფლების არსებობის დროს. 1991 წლის 22 დეკემბერს უკანონო შეიარაღებულმა ბანდფორმირებებმა დაიწყეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტსა და პრეზიდენტზე შტურმი. დაიწყო შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება (პუტჩი). (შენიშვნა მომზადებულია გელა ჩორგოლაშვილის წიგნის - „სინანულის გადასახედიის“, (თბ., 2011 წ.) წერილის „სადაც არ არის კანონი, არ არის სახელმწიფო“-ს მიხედვით).

საგულისხმოა, რომ საქართველოს რესპუბლიკა და მისი ლეგიტიმური ხელისუფლება დევნილობაში სადღეისოდ ფლობს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტურ და ორგანულად გამგრძელებელ სახელმწიფოს, სრულად პასუხობს საერთაშორისო სამართლსუბიექტობის უკლებლივ ყველა საერთაშორისო სტანდარტს და არ საჭიროებს დამატებით ლეგიტიმაციას. თანაც, რაც არსებითია, ამ ორ რესპუბლიკას შორის არსებობს უწყვეტი სამართლებრივი მემკვიდრეობითობა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი უწყვეტობის მყარი საფუძველია. მხოლოდ ამ გზით წარმოადგენს იგი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს და შესწევს უნარი საკუთარი ხალხის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა.

ვინც ნამდვილ ისტორიას აყალბებს (ნებსით თუ უნებლიეთ), ერის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და სუვერენობას კი არ იცავს, არამედ ძლიერ საფრთხეს უქმნის მას... საზოგადოების თავისუფლება ყოველთვის არასრული იქნება, თუ მთლიანად არ გათავისუფლდა თავად ის – სიმართლე.

გვჯერა, შენ ამას დაგვიდასტურებდი, მერაბ!

აი, რას წერდა მერაბ კოსტავა გულის დაწყვეტით 1988 წელს, პარიზში გამომავალ ჟურნალ „გუშაგის“ [6.] რედაქტორს, ჟურნალისტს და პუბლიცისტს ბ-ნ გიორგი წერეთელს (წერილი, რომელსაც პირველად წავაწყდი პარიზში, მის ბინაში ჩემი ყოფნის დროს. გთავაზობთ, პატარა ნაწყვეტს ამ წერილიდან): „...გულის სიღრმემდე აღწევს სამშობლოს მონატრებული, ბედიღბლობისადმი მზერამოგეზებული თანამემამულის ხმა. ბუნებრივია, რომ განვიცდი იმ, გაყოფისა და უთანხმოების, ლანძღვისა თუ „ურთიერთშემკობის“ ამბებს... ვისი ბრალია ეს ყოველივე? ვინ არის დამნაშავე?

ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი... სხვადასხვა საკითხების გარკვევა შეიძლება მოლაპარაკებითაც, ურთიერთის ლანძღვის გარეშე მაღალი შედეგების მიღწევითა და დიდი ეფექტით. ამგვარი დაყოფა არ იქნებოდა დანაშაული... რა არის ეს, თუ არა კომკავშირელობანა, ბოლშევიკობანა, პლუს არასერიოზულობა, უმწიფარობა გონისა (ამას მე პირში ვეუბნები ჩემს მეგობრებს)...

ყოველივე ეს გახურებული ტვინის მოქმედებაა და სხვა არაფერი; ...არ ვიცი, მომავალში რა გზით განვითარდება ეს ურთიერთობები. მე ვცდილობ და ყოველთვის შევეცდები მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას“.

უდავოდ, „სიძულვილის ანატომიის“ ამგვარი გამოვლინებები, რომელიც სხვადასხვაგვარად და თანაც მაღალი პოლიტიკური დუღილის „ტემპერატურით“ არსებობდა [7.] და არსებობს დღესაც (ფორმის გამოხატვისა თუ ეთიკური ნორმის უარყოფის თვალთახედვით). და გამოიხატება შეუწყნარებლობით განსხვავებული აზრის მიმართ, რაც ხელს უწყობს ადამიანური ზადის — აგრესიულობის მკვეთრ გამოვლენას. თავის მხრივ კი, აგრესიულობა ბადებს ძალადობას — რაოდენ ტრივიალურიც არ უნდა იყოს, ვფიქრობთ, რომ ეს ასეა. ძალადობა ადამიანური აგრესიულობის მწარე ნაყოფია. ამას თან ერთვის ყოველივე, რაც სიმხდალითაა განპირობებული. მრავალი უნდილი და უმწიფარი სულისათვის სიმხდალე სისასტიკის, ძალადობის, ფანატიური სიძულვილის გამომწვევი მიზეზი გამხდარა [8.] („სისასტიკე ყოველთვის შედეგია შიშის, სისუსტის და სიმხდალის“_ჰელვენიუსი.) სანამ შევძლებდეთ მის თავიდან აცილებას, უწინარესად უნდა ვიცოდეთ, აგრესიული ქცევის ფესვები. ეს არის ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ ჩვენთვის დატოვებული სავალალო მემკვიდრეობა. რეჟიმი, რომელიც ახშობდა პიროვნების მოქალაქეობრივ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და მის თვითმყოფადობას... და ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა დიდი დრო და შესაშური ძალისხმევა დაგვჭირდება მის აღმოსაფხვრელად. უკმარისობა სამოქალაქო კულტურისა დღესაც არ გამქრალა და დღევანდელივით ჟღერს მერაბის გუშინდელი ნათქვამი.

უმწეო მრისხანება ყოველთვის ეძებს მეხამრიდს.

შეგონებასავით გაისმა მაშინ, მერაბ, შენს მიერ თქმული სიტყვები: „თუ ჩვენ არ გავერთიანდებით და ერთად არ ვიმოქმედებთ, განგება ისეთ გამოცდას მოგვიწყობს, რომ შეიძლება ერთმანეთს ვეძებდეთ ხელის ცეცებით.“

ვერც მერაბს ვუსმინეთ, ვერც გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც უფრო ადრე გვაფრთხილებდა: „თუ ჩვენ ერთი-მეორეს დავუწყეთ ხოცვა, მაშინ რაღად გვინდა ან ეროვნული თავისუფლება და ან რომელიმე სოციალური იდეალების განხორციელება: ერთი-მეორის შინაგანს ბრძოლაში გაჟლეტილ ერს აღარც პირველი ეჭირვება და აღარც მეორე“. [9.]

ოღონდ „ყოველთა-ქართველთა“ ერთობის მოსურნე საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ დამნაშავენი ქრისტიანული მორალის შესაბამისად აუცილებლად დაისჯებიან, ადრე თუ გვიან ყველანი დავისჯებით.

რამეთუ, უფლის ყოვლისმხედველმა თვალმა ყოველივე უწყის. – „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, არცა საიდუმლო, რომელი არა განცხადდეს“.

ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ამ პიროვნების საზოგადოებასთან მიმართების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფორმა. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ჰარმონია მყარდება მაშინ, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთდათმობისა და ურთიერთანგარიშგაწევის თაობაზე. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება იყოს ძალისმიერი რომელიმე მხრიდან, რადგანაც იგი აღარ იქნება შეთანხმება, იგი იქცევა იძულებად, რომელიც ურთიერთმტრობისა და უნდობლობის უშრეტი წყაროა.

რიტორიკულად ისმის კითხვა? რა არის სიტყვის თავისუფლების საფუძველი: იურიდიული კანონი, რომელიც ადამიანს აძლევს სიტყვის თქმის უფლებას, თუ ზნეობრივი ნორმა, რომელიც ადამიანს არა მარტო უფლებას აძლევს, არამედ, რაღაც ფორმებში ზღუდავს კიდეც. ცნობილია, რომ ზნეობა (ანუ მორალი) ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. ისევე როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი კონცეფცია. ზნეობა გამოხატულია სათანადო ნორმებში, ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობას საზოგადოებაში.

[6] წერილი მოგვიანებით გამოქვეყნდა ჟურნალში „გუშაგი“ N20 (ქართული ეროვნული პოლიტიკის და ლიტერატურის ორგანო. პარიზი, საფრანგეთი).

[7] თუმც, თავის მხრივ მსურს აღვნიშნო, რომ სიძულვილის ანატომიის” ამგვარი პოლიტიკური გამოვლინებები თავისი დაპირისპირებებით როგორც საქართველოში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ერთნაირად მოუწესრიგებელი იყო. დაახლოებით ისეთივე მტკივნეული პროცესები პოლიტიკური დუღილის „მაღალი ტემპერატურით“ მიმდინარეობდა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად: ბალტიის ქვეყნებში (ლაიტვა, ლატვის, ესტონეთი), პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში (გდრ-ი). ქართველები ამ მხრივ არ ვიყავით განსაკუთრებულად გამორჩეულნი”. თითქმის ყველგან ყველანი ერთმანეთს ლანძღავდნენ და ჩხუბობდნენ, კამათობდნენ ყოველგვარი ეთიკური ნორმების დარღვევით... შემდგომში პარტიები მრავალგზის „იხლიჩებოდნენ“ პატარ-პატარა ნაწილებად. ყველგან დაახლოებით ამგვარად ხდებოდა. ცხადია, პოლიტიკოსებს ქცევის კოდექსის დაცვა ესაჭიროებათ, ამას გარდა, მათ ერთგვარი პოლიტიკური თამაშის წესების დაცვა მოეთხოვებათ. ეს თემა პოლიტიკურ კულტურას განეკუთვნება და ცალკე გასარჩევი საკითხია. ამას კი არ ეგების არც ძალზე გამძაფრება და არც მისი იგნორირება.

სამწუხაროდ, პოლიტიკურ თემაზე დისპუტისას ექსპერტები და პოლიტოლოგები იშვიათად, ან საერთოდ არ საუბრობენ, პოლიტიკური კამათის მთავარ ნაწილზე, მის აზრობრივ მხარეზე, მათი მნიშვნელობის აუცილებლობაზე: რომელიც ძალზე დელიკატური და უფრო სიღრმისეული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და ჩვენ წარმოგვიდგენია. რამეთუ, იგი უკავშირდება ორი ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკურ _ მსოფლმხედველობითი (პირობითად) სკოლის _ ხედვის და პრინციპების კონცეპტს. ეს ეხება „რეალი _ პოლიტიკის“ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს: გეოპოლიტიკის, გეოსტრატეგიის, გეოეკონომიკის ცოდნას და წარმოდგენებს. ის მოითხოვს პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმართების დადგენას, ასევე სხვადასხვა მეცნიერებათა და დისციპლინათა სიღრმისეულ ცოდნას (რელიგია, ღვთისმეტყველება, კულტუროლოგია და სხვ.) ის უცილობლად მოითხოვს აზროვნების სიზუსტეს, დამოუკიდებველი ქართული სუვერენული სახელმწიფოს შექმნა-დამკვიდრების მისაღწევად.

როგორც ცნობილია, ერის მიერ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა (საქართველოს შემთხვევაში ესაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა _ და არა სხვა რამ! ვთქვათ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი „ახალი სახელმწიფო“.) ეს კი, სამწუხაროდ, ხანგრძლივი საერთაშორისო პროცესია. პროცესის დაწყების აუცილებელი პირობა იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განცხადება _ ისეთი დეკლარციის მიღება, რომელიც არ დაარღვევდა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და არ გამოიწვევდა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, იგი მოითხოვდა სრული დამოუკიდებლობის ფაქტის დადგენას, რაც ჩვენს შემთხვევაში მოხდა კიდეც! (საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესრულების გამო), 1991 წლის 25 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კანონიერი ხელისუფლების და სუვერენული სახელმწიფოს, აწ უკვე ახლადშემდგარი დე-ფაქტო მდგომარეობით!

განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1991 წლის 24 დეკემბერს, თბილისში ცეცხლმოკიდებული მთავრობის სახლის შენობაში, საომარი მოქმედებების ფონზე, ასეთი იურიდიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტები საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ გადასცა საქართველოში საგანგებოდ ჩამოსულ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურ წარმომადგენლებს, გაეროსთვის წარსადგენად, რაც, „სატიტულო ნაციის“ სტატუსისთვის (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის) უცილებელი პირობა იყო.

რჩებოდა მხოლოდ დასკვნითი ეტაპი _ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღიარების] იმპლიმენტაციის პროცესის დაგვირგვინება.

1991 წლის 23 ნოემბერს, პრეზიდენტი ზ. გამსახურდია აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯიმი ბეიკერის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არცერთ ხელისუფლებას ან პოლიტიკურ ლიდერს არ ძალუძს ამ პოლიტიკური პროცესის უკან შემოტრიალება“.

ამ პირობებში დამღუპველი იყო დესტრუქიული ძალების მოქმედებანი, რომლებიც ძალადობის გამოყენებით იბრძოდნენ სხვადასხვა ფიქტიური იდეალების განსახორციელებლად.

იმედს გამოვთქვამთ, მომავალში ამ საკითხს უსათუოდ დაუბრუნდება ჭეშმარიტად ქართული გონი.

ზნეობის ნორმებში მოცემულია ადამიანთა წარმოდგენები წესიერებასა და უწესობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ხოლო ზნეობრივი ნორმების პარალელურად საზოგადოებაში მოქმედებს სამართლებრივ-იურიდიული ნორმები (რომლის განმახორციელებელი არის სახელმწიფო), რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას როგორც პიროვნებათა, ასევე საზოგადოებას შორის.

ცნობილია, რომ სამართლებრივი ნორმები გაჩნდა ზნეობრივი ნორმების უკმარისობის საფუძველზე. იურიდიული კანონების შექმნამ აიძულა მორალური კანონების დამრღვევნი დამორჩილებოდნენ კანონმორჩილი საზოგადოების მოთხოვნებს. განვითარებულ დემოკრატიულ, სახელმწიფოებში ცივილიზებული საზოგადოება მივიდა იქამდე, რომ მას (საზოგადოებას), დღეს მართავენ სამართლებრივი კანონები, ხოლო ზნეობრივი კანონები ფიგურირებენ როგორც მათი ერთგვარი დამხმარე ძალა.

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი, თავის წიგნში „ენა“, ამბობს, რომ სიტყვა არის აზრის მოსახმარი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ აზრი თავისთავად არაფერია, თუ ის არ გაცხადდა სიტყვებში და მერე არ იქცა საქმედ. სიტყვის თავისუფლება არის თავისუფალი მოქმედების საწყისი ეტაპი. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ დაეუფლება სიტყვის თავისუფლებას, ვინ რისთვის გამოიყენებს მას _ საკუთარი, პირადი ანგარებით მიზნების მისაღწევად, თუ ერისთვის, ხალხისთვის საზოგადოებრივი სასარგებლო და სასიკეთო საქმის გასაკეთებლად.

სიტყვის თავისუფლება რეჟიმის დემოკრატიულობის საზომია: თუ რეჟიმი მართლაც დემოკრატიულია, სიტყვის თავისუფლებაც რეალურია, მაგრამ თუ რეჟიმი არსებითად ტოტალიტარულია, სიტყვის თავისუფლება მისი კოსმეტიკური შელამაზების ერთ-ერთი კომპონენტია და მოწოდებულია ამტკიცოს იმის არსებობა, რაც არ არსებობს.

ქართველი ერის ულმობელი ბედისწერის საკითხი მერაბს ერთ-ერთ თავის ნააზრევში ამგვრად წარმოედგინა: „ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდები არ მობეზრდება. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუკი ისედაც ბინდისფერი სოფელი უფრო და უფრო დაგვიბინდდება, ნუმც მომხდარიყოს ის, რაც აროდეს მომხდარა. დაე, განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად, რომ შეუპოვრად კვლავ ჰუნე ჩვენი შავის ბედის წინ გამოგვიქროლდეს. უარესისთვის მზადყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია. ამიტომ მხიარულის გულით ამასაც ვიტყვით: უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.“

სიტყვას უზარმაზარი ძალა აქვს, არა იმას მარტო, რომელი იყო „პირველთაგან და რომლისა მიერ ყოველი შეიქმნა“, არამედ ჩვენს კაცობრივ სიტყვასაც. ეს ძალა აღმშენებელიც შეიძლება იყოს და დამანგრეველიც.

[8] ასეთ პიროვნებათა ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიტიკური კვლევა-დაკვირვებანი დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია, რაც ღრმადაა შესწავლილი და ამ საკითხზე არაერთი ღირსეული ნაშრომია დაწერილი, როგორც საფრანგეთის რევოლუციების სასტიკ და სისხლიან რევოლუციონერებზე, ისე რუსეთის იმპერიის ბოლშევიკი მამამთავრებზე და ფიგურანტებზე ფსიქოლოგიური პორტრეტებია შექმნილი. ამ თვალსაზრისით, სწავლულებს არც შემდგომითაობის, კომუნისტური ელიტის გენსეკების და „პოლიტბიუროტჩიკების“ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა დავიწყებიათ. ამ სახელების და გვარების ჩამოთვლას ჩვენ აქ აღარ შევუდგებით...

9 გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 15-28 თებერვალი.

სიტყვა გაუკუღმართდა, და გვახსენდება ვაჟას სასოწარკვეთით ნათქვამი სიტყვები:

მე კაცთა შორის მეტი ვარ
უნდა გავიჭრე ველადა,
რაკი გადიქცა ეშმაკი
ტკბილმოსაუბრ ეგველადა
და თანამოძმე ეს ჩემი
მის ყურისმგდებელ ევადა,
როს გახდა საქვეყნო საქმე
უსუსურთ საღეჭ კევადა.
(„სიყრმე სიბერედ ვაქციე“)

ვინაიდან განუმარტავ-გაუშინაარსებელი სიტყვა ხომ მხოლოდ „ბგერათა კომპლექსია“ და სხვაარაფერი. სწორედ ასეთ დროს უწევს ხოლმე საქართველოს ნამდვილი ტრაგიკული პარადოქსები.

განა კი ტრაგიკული პარადოქსი არ არის, რაც ჩვენს გარშემო ხდება?

ახლა ასე მოგმართავდი, მერაბ!

საქართველოს რესპუბლიკის ანტიკომუნისტ ლიდერს არაერთხელ დაბეჯითებით უთქვამს: „იმპერიული ძალების მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომია გაჩაღებული, ნამდვილი ომი ყველა თვალსაზრისით, ომი – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.“

ინფორმაციული ომი, რომელიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე დამდგარ პატარა საქართველოს გამოუცხადეს სამართლიანობის, ჰუმანურობის და კანონმორჩილი კაცობრიობის მოძულე ძალებმა. მუდამჟამ შავ ლაქად გაყვება მსოფლიო ისტორიას. კომუნისტური ნომენკლატურის მიერ წაქეზებული და მოტყუებული ხალხის ნაწილი გაუგონარი შურისგებამ და უმადურობამ მოიცვა. მათ, ამ უდიდესი საერო საქმის მრავალი წლის ღვაწლდამდების და ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი (მერაბ კოსტავასთან ერთად) თავკაცის მიმართ ნამდვილად ავი ზრახვანი ამოძრავებდათ და ვახმე, რომ მიაღწიეს კიდეც საწადელს.

ის კი (ზვიად გამსახურდია), იმ „სისხლიანი ზამთრის“ უმძიმეს დღეებში ქართველ ხალხზე განაწყენებულთა მიმართ, მაინც ჯიუტად ამას უბნობდა: „ყველამ იცოდეს, უფალს, იმაზე უკეთესი არაფერი არ შეუქმნია ამ ქვეყანაზე, ვიდრე ეს ქართველი კაციაო!“ [10]

საქართველოსთვის ასეთ დრამატულ ვითარებაში შენი `ქრისტესმიერი ძმის” მიერ ესოდენ საჩინო სიტყვების გაგონებით, შენ ხომ ძალიან გაიხარებდი მერაბ!

შენ ყოველთვის გაურბოდი ნახევრად სიმართლეს! ეუბნებოდი თანამოძმეებს, არა ეცათ ფუჭი თაყვანი კერპებისადმი. გვთხოვდი _ „მე კი ნუ მისმენთ, ლოგოსს მოუსმინეთო“, და ვითარცა ძველი ათენის ფილოსოფოსი, ნოსტალგიას _ მამულთან აიგივებდი; სევდას _ სწრაფვასთან; რათა სამყაროში, როგორც მშობლიურ საცხოვრისში, ადამიანს გაეშალათ თავისი ერთ-ერთი არსებითი უნარი _ შინ ყოფნის უნარი. სწორედ „ლოგოსის მოსმენის“ უნარი უდევს საფუძვლად ადამიანის დამოკიდებულებას სამშობლოს ფენომენთან.

ახალგაზრდობიდან დაწყებული მათ არ დაკლებიათ მძლავრობა მტარვალთაგან.

[10] საუბარი შედგა 1991 წლის დეკემბრის ბოლოს, (ცეცხლში გახვეული პარლამენტის და მთავრობის სახლის შენობების დაბომბვის შემდეგ, რომლის დროს გამოყენებული იყო ქვემეხები, სარაკეტო დანადგარები და ჯავშან-სატანკო ტექნიკა) პრეზიდენტის მეგობრის და დიდი მხარდამჭერის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნათელა ქუთელიას, მეტადრე აღელვებული და ფრიად გაცხარებული საუბარი ზვიად გამსახურდიასთან (ხალხის დიდი ნაწილის უმოქმედობის გამო), რომელიც საუბრის დროს, ქართველი ერის შეფასებისას ხშირად იმეორებდა აკაკის ცნობილ სიტყვებს <...>. (საუბარი შედგა 2007 წელს, თბილისში _ ჩემი ჩანაწერებიდან _ ვ. ბ.)

როგორც ჭეშმარიტად გაუტეხელმა ქართველმა რაინდმა, მერაბ კოსტავამ ყველა სიძნელეს გაუძლო _ ხელისუფალთაგან არნახულ დევნა-შევიწროებას, თბილისის ფსიქიატრულ საავადმყოფოში პოლიტიკური ნიშნით სპეციალურ შესწავლას, სუკ-ის „სანაქებო“ ჯურღმულებში ყოფნას, დამცირებასა და ფიზიკურ ძალდატანებას საბჭოთა საკონცენტრაციო „სიკვდილის ბანაკებში“, ხანგრძლივ შიმშილობის აქციებს და სხვა.

მერაბ კოსტავას სამშობლოზე უკეთ არასოდეს არ უცხოვრია.

მან ყველაფერი შესწირა სამშობლოს _ ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, ოჯახი, თვით შვილიც კი, და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლე.

მან თავის „ქრისტესმიერ ძმასთან“ ზვიადთან ერთად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განაახლა და გამოაღვიძა. მათი ღვაწლი განუსაზღვრელია, მათ შეუძლებელი შეძლეს!

ერთი ყოფილი საბჭოთა პოლიტპატიმარი იხსენებს: პერმის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას მერაბ კოსტავა ძალიან ვიწრო კარცერში ჩააგდეს, ტრუსების ამარა, 45 გრადუსიან ყინვაში. მთელი ღამე მერაბმა ხტუნვაში გაატარა. როცა დილით ციხის ზედამხედველები მოვიდნენ პატიმრის „გამოსატანად“, გაოგნებულნი დარჩნენ, მერაბი მათ მაინც მედგრად დახვდა და ამაყად უთხრა: „პრივეტ, ბრატცი!“

მერაბმა ისე მოიარა და გაუძლო ყველა განსაცდელს, როგორც წამებულმა გმირმა!

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართველ ხალხს მიტინგებიდან უკვე კარგად დაამახსოვრდა ის, როგორც წარმოსადეგი, სულიერად მტკიცე, შეუდრეკელი ძე ქარიშხლისა თავისი ხავერდოვანი, ლამაზი ხმით, დაუვიწყარად შესრულებული „შავლეგოთი“, რომელიც მაშინ ერთგვარ ეროვნულ - პატრიოტულ ჰიმნად აღიქმებოდა და მისი უფაქიზესი სულიდან მოდიოდა.

მეყვსეულად გვახსენდება აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის მეტად შთამაგონებელი შეფასება (1987 წ. რადიო „თავისუფლება“, მიუნხენი), ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტპატიმრებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების დახასიათებისას: „...ქართველი მერაბ კოსტავა, ეს მართლაც რკინის ადამიანი, მან სამშობლოს მაღალი იდეალებისა და უფლებათა დაცვის გამო, „კომუნისტურ ჯურღმულებში“ არნახულ ტანჯვას გაუძლო, მე აღფრთოვანებული ვარ ამ კაცის სიმტკიცით.“

აღსანიშნავია, რომ 1978 წლის ზაფხულში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია აშშ-ის კონგრესის მიერ წარდგენილი იყვნენ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე. ხოლო, მერაბი, ამის შემდეგ კიდევ ორჯერ იყო ამავე პრემიაზე წარდგენილი.

განგებამ მას ეკლიან გზაზე სიარული არგუნა, მაგრამ, მითხარით გეთაყვათ, ეკლიანი გზა განა რჩეულთა ხვედრი არაა?

მერაბ კოსტავა.

რით დაიმსახურა მან „ყოველთა _ ქართველთა“ ერთობის ესოდენ საჩინო პატივისცემა?

განა რა ასეთი განსაკუთრებული კვალი გაავლო ქართულ მიწაზე?

ამ და სხვა კითხვებზე, მომავალში უფრო უკეთ, უთუოდ გვმართებს მკაფიო პასუხის გაცემა.

... და მაინც ვინ იყო მერაბ კოსტავა?

მარად ჟამს ფხიზელი სინდისი ჩვენი.

ქართველი ერის გაუტეხელი სინდისი.

_ შენ დაიფერფლე, მერაბ, შენივე ლექსში:

მთაწმინდის თეთრი ბილიკების ამონაყარზე
ვინ დაიფერფლა და თბილისის იქცა მფარველად,
ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა,
იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს,
მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა,
ლოცვა წართქმული წმიდა ბაგით - მამა-დავითის.

(„ღირს მამა დავითს“)

მერაბ კოსტავას, როგორც ქართველი კაცის კაცობრიული უმაღლესი მისსია, ზვიად გამსახურდიამ თავისი „წამებული ძმისადმი“ (1986 წ.) მიძღვნილი ლექსის სტრიქონებში გამოხატა: „ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მყოფთ ისევ აღვუნთოთ კვარი, და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.“

მერაბ კოსტავამ თავის სასამართლოზე (1983 წ.) [11.] ვრცელი სიტყვის ნაცვლად მოკლე და მრავლისმეტყველი განცხადება გააკეთა:

„თქვენ ისე მექცევით მე, როგორც რუსეთი საქართველოს!“

მერაბმა და ზვიადმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საბჭოურ წყვდიადში, ტირანიის სრული აღზევების შემდეგ, სიბნელესა და უმეცრების ჭაობში ააგიზგიზეს მამულის სიყვარულის ნამდვილი ლამპარი.

ძმაო, მერაბ! არაერთი ძე შეცდენილი და სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური სექსოტი, სუკ-ის ინსპირირებით ყოველთვის ლამობდა თქვენი (მერაბის და ზვიადის) ერთგული და შეურყვნელი ძმობის მოშლას, თქვენს შორის, თუნდაც ოდნავი ხინჯის შეტანას.

... მაგრამ, სულ ამაოდ!

შენი წასვლა ამა სოფლიდან, იქნებ იმ საზიზღარი „ოცნების“ აღსრულების ბოროტისეული გაგრძელება იყო?

მე ეს, სრულებითაც არ გამიკვირდებოდა?!

ახლა ასე მოგმართავდი, მერაბ!

ვალმოხდილი მიუხვალ, ძმაო, ჩვენს დიდ წინაპართა წმინდა აჩრდილებს.

შენ ყოველთვის და ახლაც სრულიად საქართველოსი ხარ!

მეციხოვნე იყავ მამულის და ასეც დარჩი, ბორკილებდადებულო დარდო ჩვენო და სიამაყევ!

შენი ცხოვრების დევიზი იყო ხალხური „ხმით ნატირალი“: „სიკვდილო, ნურც შენ მოგწონ თავი, სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ...“

„უფალო ღირს მყავ ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ“ _ ეს სიტყვები ჭეშმარიტ ქრისტიანს, მერაბ კოსტავას ეკუთვნის.

„დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო“.

[11] ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი გენსეკი, იური ანდროპოვი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, (ისევე როგორც, სუკის შეფის პოსტზე მისი მრავალწლიანი „სანიმუშო“ მოღვაწეობის პერიოდში) გამოირჩეოდა პოლიტპატიმრებისადმი განსაკუთრებით „სათუთი“ მოპყრობით, ახალი ფაბრიკაციული „ნოვაციური“ მეთოდოლოგიის დანერგვით. მაგალითად პოლიტპატიმრის ვადის ამოწურვამდე, რამდენიმე ხნით ადრე, მათ ისევ განმეორებით ამწესებდნენ ციხეში.

თბილისი, აგვისტო (მარიამობისთვე), 1992 წ.

1991 წლის 11 სექტემბერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" № 176 (196) გამოქვეყნდა საქართველოს გმირის - მერაბ კოსტავას დედის - ქალბატონ ოლღა დემურია-კოსტავას წერილი სათაურით „ჩემო შვილებო!"

„მე, მერაბ კოსტავას დედა თავს უფლებას ვაძლევ საქართველოსთვის ამ მძიმე დღეებში, როცა ქართველმა ქართველზე აღმართა ხელი, ამ წერილით მოგმართოთ და კეთილგონიერებისკენ მოგიწოდოთ.

ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის იმის, თუ შუღლს და მტრობას რა ზიანი დაუტეხია თავზე ჩვენი ჯვარცმული მამულისათვის ჩვენი უთვალავი მტერი ჩვენს დაჩოქებას, ყოველთვის ჩვენს შორის უთანხმოებისა და განხეთქილების ჩამოგდებით ახერხებდა და აღწევდა.

დღეს, როგორც არასდროს, თითოეულ ჩვენგანს ისტორიაში ამ მწარე გაკვეთილებიდან დასკვნების გაკეთება და ერთ მუჭად შეკვრა გვმართებს, რათა სანუკვარ მიზანს – საქართველოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მივაღწიოთ.

ჩემი მერაბი ჩვენი მამულის თავისუფლების ერთადერთ გზას ქართველების ერთიანობაში ხედავდა და მთელი თავისი მოწამეობრივი ცხოვრება ამ მიზნის მიღწევას მიუძღვნა.

დღეს ამ გზიდან გადახვევა სამშობლოს ღალატია და შთამომავლობა ამას არ გვაპატიებს.

დღეს მერაბის აჩრდილი მოგიწოდებთ მთელ ქართველობას, განვდევნოთ პირადი ამბიციები, დავივიწყოთ ურთიერთ წყენა, დავირაზმოთ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და გავერთიანდეთ ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტისა და მთავრობის გარშემო. დღეს ჩვენი სალოცავი მამული თავისუფლების კარიბჭესთან დგას და თითოეული ჩვენგანის თანადგომას საჭიროებს. ვერაგი და მუხანათი მტერი ყველა ხერხს და საშუალებს მიმართავს, რომ ეს კარიბჭე არ შევაღოთ და მონობის უღელი არ გადავაგდოთ.

ნუ, ნუ, დავასხამთ მტრის წისქვილზე წყალს, ნუ ვათქმევინებთ მსოფლიოს, რომ ჩვენ თავისუფლების ღირსნი არა ვართ.

ჩემო შვილებო, ამ თხოვნით მოგმართავთ არა მარტო მერაბის დედის სახელით არამედ ყოველი ქართველი დედის სახელით, რომლებისთვისაც თქვენ საყვარელი და ძვირფასი შვილები ხართ.

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!"

იბერიელთა ლოცვა

დიდო დედაო, ცაო მშვენიერო
მომცველო ყოველივესი,
შემქმნელო და დამბადებელო,
უსასრულო სამყაროში
დაუტეველო,
უმცირესში ჩატეულო,
ნათლით გამოვლენილო
ერთო და ერთთა ერთობაო!
მომეც უფლება უფლებათა დავრჩე
მართალი ჩემსთა უფალთან
რათა დავიცვა ცის სიწმინდე
და ვიყო თავისუფალი
ვითარცა შენ, ცაო თავნებაო!

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; რატი გაგოშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე; კლარა ტონია - პასუხისმგებელი მდივანი; დავით კაპანაძე - საინფორმაციო და კომპიუტერული უზრუნველყოფა; ზაზა კორტანელი - რედკოლეგიის წევრი საზღვარგარეთ.